

ვიდრე პარლამენტში ანტრაქტია...

A2



ფრთხილად, ისტორიაა!..

A7



ბედინაძის ბედი ვერცხლი ყოფილა

C1


# 24 საათი

www.24saati.ge

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 26 სექტემბერი, 2006 წელი. №212 (1364) | ფასი 50 თეთრი



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge


CanArgo

კანარგო ენერჯი კორპორეიშენს ბენზინგასამართ სადგურებში ბიზნესინტერესი არ გააჩნია

A7


თიბისი ბანკი TBC Bank

### თიბისი-ფოსტა

**გაქვთ სურვილი ისარგებლოთ საბანკო მომსახურებით, მაგრამ არ გაქვთ ბანკთან ურთიერთობის გამოცდილება?**

**გაინტერესებთ საბანკო სფეროში მომხდარი სიახლეები და ცვლილებები?**

**გინდათ პირადად გაესაუბროთ საქართველოს წამყვანი ბანკის ექსპერტებს?**

გამოაგზავნეთ შეკითხვები გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის №51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86) და სულ მალე, ყოველ პარასკევს რუბრიკაში "თიბისი-ფოსტა" თქვენს კითხვებს უპასუხებენ საბანკო საქმის ექსპერტები.


## პენ-კლუბისა და "24 საათის" ინიციატივა

**ქართული პენ-კლუბი და გაზეთი "24 საათი" გამოდიან კოდორში, ზემო აფხაზეთში თანამედროვე, მრავალფეროვანი ბიბლიოთეკის დაარსების ინიციატივით. მსურველებს წიგნების მოტანა, შემოწირულობის სახით, შეუძლიათ "24 საათის" რედაქციაში, თანამედროვე ავტორებს და გამომცემლებს კი ვთხოვთ, მოგვაწოდონ საკუთარი გამოცემები.**

*მისამართი:*
*თბილისი, ირაკლი გამრეკელის ქ. 51, "24 საათის" რედაქცია.*

## ამინდი

| | 26/09 | 27/09 |
|---|---|---|
| თბილისი | 25 | 26 |
| ბათუმი | 28 | 22 |
| სოხუმი | 27 | 22 |
| ქუთაისი | 29 | 22 |
| გორი | 23 | 20 |
| ონი | 20 | 16 |
| ზუგდიდი | 30 | 22 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7375 |
| ევრო | 2.2212 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.3066 |
| რუბლი | 0.0652 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| რეკლამა | A 5 |
| პროექტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| რევიუ | A 8 |


# კონფლიქტების მოწესრიგება რუსეთის გარეშე

*სუამ-ის ქვეყნები საერთაშორისო თანამეგობრობას კონფლიქტების მოგვარების საკუთარ კონცეფციას შესთავაზებენ, რომელშიც რუსეთის სამშვიდობო ძალებისათვის ადგილი აღარ იქნება.*

საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა და მოლდოვას საგარეო საქმეთა მინისტრები ნიუ იორკში, გაერო-ს გენერალური ასამბლეის 61-ე სესიის ფარგლებში შეიკრიბნენ. სხდომის შემდეგ, მისი შედეგების გამოცხადებამდე, სუამ-ის ქვეყნების საგარეო უწყებების ხელმძღვანელებმა კონსულტაციები აშშ სახელმწიფო მდივნის მოადგილესთან დინ ფრიდთან გამართეს. ეს შეხვედრა თბილისის დროით გვიან საღამომდე გაგრძელდა. სუამ-ის მინისტერიალის რეზოლუციის მთავარი პუნქტი წინასწარვე იყო ცნობილი - სუამ-ის ქვეყნების საერთო ხედვა აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, მთიანი ყარაბაღისა და დნესტრისპირეთის კონფლიქტების მოწესრიგების თაობაზე. ამ ხედვას საფუძვლად კონფლიქტების ზონებიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანა დაედო.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა დათმობოდა სუამ-ის არეალში არსებული კონფლიქტების მოგვარების, სუამ-ის სივრცეში არსებული გაჭიანურებული კონფლიქტების და საერთაშორისო მშვიდობასთან, უსაფრთხოებასა და განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობას. დაგეგმილი იყო ამ მიმართულებით სუამ-ის წევრი ქვეყნების ერთობლივი ღონისძიებების განხილვა შესაბამისი რეზოლუციის პროექტის მომზადებისა და საერთაშორისო მხარდაჭერის შემდგომი გაფართოების უზრუნველყოფის მიზნით.

სხდომაზე გათვალისწინებულია სუამ-ის სამდივნოს პერსონალის შესახებ დებულების, ორგანიზაციის 2007 და 2008 წლების ბიუჯეტის და სუამ-ის ფარგლებში არსებული დარგობრივი თანამშრომლობის სამუშაო ჯგუფების დებულების პროექტების განხილვა და დამტკიცება. იგეგმებოდა ორგანიზაციის ფარგლებში მიმდინარე უწყებათაშორისი თანამშრომლობის არსებული სტრუქტურის სისტემატიზაციისა და სუამ-ის სხვა ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საკითხების განხილვა. სხდომაზე ასევე სუამ-ის გენერალური მდივანი და სამდივნოს პროექტების კოორდინატორები უნდა არჩეულიყვნენ.

დღის წესრიგის სხვა საკითხებს შორის, საქართველოს საგარეო უწყების ცნობით, არის სუამ-ის კიევის სამიტის გადაწყვეტილებების რეალიზაციის შედეგების შეაფასება და სამომავლო თანამშრომლობის გეგმების განხილვა.

განსაზღვრული იყო სუამ-ის მინისტრთა საბჭოს სხდომის შედეგების მიხედვით ოქმის ხელმოწერა, ასევე სუამ-აშშ-ს ერთობლივი განცხადების მიღება.

*24 საათი*

# ფინიშის სწორზე

*როგორც იქნა, არჩევნების წინ ოპოზიციურმა პარტიებმა მეტ-ნაკლებად მკაფიოდ ჩამოაყალიბეს საკუთარი წინასაარჩევნო პროგრამები. როგორც მოსალოდნელი იყო, ძირათადი აქცენტი ხელისუფლების კრიტიკასა და მის ფუჭ დაპირებებზე გაკეთდა. თუმცა დაპირებებიც გაისმა, რომელიც, ძირითადად, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას ეხებოდა, მაგრამ რამე განსაკუთრებული და ორიგინალური ამ კუთხითაც არაფერი თქმულა. სამაგიეროდ, ხელისუფლებამ კვლავ რამდენიმე წარმატებული პიარ-აქცია ჩაატარა, რომელიც თავად მიხეილ სააკაშვილმა რიყეზე ყურძნის დაწურვით დაასრულა.*

თამარ ასათიანი

გასულ კვირას ხელისუფლების მისამართით ერთადერთი, მეტ-ნაკლებად ყურადსაღები ბრალდება საარჩევნო ბლოკ "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის" ლიდერებისაგან გაისმა.

საუბარია "ენერგო-პრო"-სა და საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებულ ხელშეკრულებაზე, რომელიც, ამ საარჩევნო ბლოკის ლიდერების მტკიცებით, საკმაოდ დიდი ენერგოაფიორის მიზეზად იქცა. კობა დავითაშვილმა ამ 300-მილიონიანი "აფიორის" ავტორიც დაასახელა - პრემიერი ზურაბ ნოღაიდელი, რომელმაც, როგორც დავითაშვილი ამტკიცებს, ამ გარიგების შედეგად რამდენიმე მილიონით გაიუმჯობესა საკუთარი მატერიალური მდგომარეობა.

ამ ბრალდებას ხელისუფლება არ გამოხმაურებია. თავად პრემიერ-მინისტრი კი აქტიურად იყო ჩართული წინასარჩევნო კამპანიაში და ოპონენტების თავდასხმა არც კი შეიმჩნია. მან ორი დღე აჭარაში დაჰყო, ავტონომიური რესპუბლიკის ხუთივე რაიონის მოსახლეობას შეხვდა და მათ არჩევნებზე მისვლისაკენ მოუწოდა. მანვე ამომრჩევლებს სოციალური პრობლემების მოგვარება აღუთქვა.

გასულ კვირას კვლავ ყურადღების ცენტრში იყო თბილისის მერი გიგი უგულავა, რომელმაც წინასაარჩევნოდ კიდევ ერთი წარმატებული სვლა გააკეთა: მან "ზამთრის გათბობის" პროგრამის მიმდინარეობის პროცესი პირადად გააკონტროლა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# სტატუს-კვო თუ ატლანტიზმისკენ შემობრუნება?



ანგელა მერკელი





ნიკოლა სარკოზი

გოგი თუშმალიშვილი

*მერკელის კანცლერობა გერმანიაში და სარკოზის შესაძლო პრეზიდენტობა საფრანგეთში, სავარაუდოდ, მოაბრუნებს ამ ქვეყნების საგარეო კურსს ატლანტიზმის პრინციპებისკენ. რამდენად საფუძვლიანია ეს ვარაუდი?*

### "ერთმანეთის იმედად"

მსგავსი მოსაზრება განსაკუთრებით საყურადღებოა საფრანგეთის პრეზიდენტობის მთავარი ფავორიტისა და მოქმედი შინაგან საქმეთა მინისტრის, ნიკოლა სარკოზის ამერიკის შეერთებულ შტატებში ამასწინანდელი მოგზაურობის ფონზე. საქმე ის არის, რომ ჯერ ერთი, მოგზაურობის დროს სარკოზის მიერ გაკეთებული განცხადებები მთავრობის (ან სულაც სახელმწიფოს) მეთაურისას უფრო წააგავდა, ვიდრე (თუნდაც ყველაზე გავლენიანი) მინისტრისას. და მეორეც, მას ხაზგასმით გულთბილი შეხვედრა გაუმართა პრეზიდენტმა ბუშმა, რაც არცთუ პატარა ამბავია იმის გათვალისწინებით, რომ სარკოზი (ჯერ) არც პრეზიდენტია და არც პრემიერ-მინისტრი.

ეს ყოველივე შეიძლება ნიშნავდეს, რომ, ერთი მხრივ, ვაშინგტონი და, მეორე მხრივ, საფრანგეთში არსებული ტრანსატლანტიკური კავშირების მომხრე ძალები სერიოზულ იმედებს ამყარებენ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების

გაგრძელება A3 გვერდზე

# "მშვიდად, აუღელვებლად და მიზანდასახულად"

**"ვერ მივართვით!"** - ასე უპასუხა საქართველოს პრეზიდენტმა თავის რუს კოლეგას, რომელმაც მიხეილ სააკაშვილის გაეროში გამოსვლის მკაცრი ტონი და ბრალდებები რუსეთის მიმართ "კავკასიურ სიფიცხეს" მიაწერა.

მართალია, მიხეილ სააკაშვილს ვლადიმირ პუტინის სახელი არ უხსენებია, თუმცა "ერთ-ერთი კოლეგის" განცხადება გაიხსენა იმის შესახებ, რომ **"საქართველოს პრეზიდენტი ცოტა ემოციური და თავგაცხელებული კაცია. და საერთოდ კავკასიაში ასეთი თავგაცხელებული ხალხი ცხოვრობს"**.

**"ჩვენ ძალიან გეგმაზომიერად, ძალიან მშვიდად, აუღელვებლად და მიზანდასახულად მივდივართ ჩვენი მიზნისკენ. ვერავინ გამოგვიყვანს მწყობრიდან, და ისღა დარჩენიათ, თვითონ იძახონ, რომ ჩვენ ვართ არაპროგნოზირებადი და ტვინგაცხელებული ხალხი. დანარჩენ მსოფლიოს სულ სხვა შთაბეჭდილებები აქვს,"** - განაცხადა პრეზიდენტმა.

პრეზიდენტის თქმით, გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში "გაყინული კონფლიქტების" საკითხის შეტანას დიდი წინააღმდეგობა შეხვდა. **"ჩვენ წინასწარ გაგვაფრთხილეს, რომ ეს იქნებოდა არამეგობრული ნაბიჯი ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს მიმართ. ჩვენ ვუთხარით, რომ ეს არის ძალიან პრინციპული საკითხი,"** - განაცხადა სააკაშვილმა.

ნატო-სთან საქართველოს ინტენსიური დიალოგის დაწყებას პრეზიდენტმა დიდი გარღვევა და **"ნატო-ში ინტეგრაციის შეუქცევადობის დასაწყისი"** უწოდა.

მისი თქმით, ინტენსიური დიალოგი პირველმა ჩეხეთმა გაიარა, და მას ნატო-ში გაწევრიანებამდე ორი თუ სამი წელი დასჭირდა. **"ვერ ვხედავ მიზეზს, რატომ უნდა გაჭიანურდეს საქართველოს გაწევრიანება,"** - აღნიშნა სააკაშვილმა.

მისი თქმით, საქართველოსთან ინტენსიური დიალოგის დაწყებას **"ისტერიული წინააღმდეგობა შეხვდა იმ სახელმწიფოსაგან, რომელიც საერთოდ არ არის ნატო-ს წევრი და ფორმალურად არავინ ეკითხება, ვიქნებით თუ არა ნატო-ში"** და საქართველოს ნატო-სთან დაახლოების მოწინააღმდეგეები ყველანაირ საშუალებას იყენებდნენ ამ პროცესის ჩასაშლელად. მათ შორის საქართველოს დისკრედიტაციას მისთვის არასტაბილური ქვეყნის იმიჯის შექმნის მცდელობით.

პრეზიდენტმა ნატოს-თან ინტენსიური დიალოგის დაწყების არაჯეროვანი შეფასების გამო ოპოზიციასაც და მედიასაც უსაყვედურა:

**"თუ ეს დიდი ამბავი არ არის, რატომ აქვს ზოგიერთ ძალიან გავლენიან ფიგურას მსოფლიო პოლიტიკაში ატეხილი ასეთი ამბავი ამის გარშემო? რატომ ეჩვენებათ ეს მსოფლიოს ზოგიერთ დედაქალაქში მნიშვნელოვნად და მათთვის ძალიან საგანგაშო ამბად?"**

*24 საათი*

# 27 მილიონი ევრო გერმანიიდან

## ბანკების საკრედიტო რესურსები 9 მილიონით გაიზრდება

**B**

*ფინანსთა სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე ფინანსთა მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა და საქართველოში გერმანიის ელჩის მოადგილემ კრისტიან პერნფორსტმა მედიის წარმომადგენლებს გერმანია-საქართველოს სამთავრობო მოლაპარაკებების შედეგები გააცნეს, მოლაპარაკება თბილისში 21-22 სექტემბერს გაიმართა, რომელზეც შეთანხმდა გერმანიის მხარდაჭერით საქართველოში დაფინანსებული საინვესტიციო და ტექნიკური მხარდაჭერის პროექტები და საქართველოსთან გერმანიის ფინანსური და ტექნიკური თანამშრომლობის სამომავლო გეგმები.*





# სააგიტაციო ბუკლეტი - სამართლებრივი დევნის მიზეზი

*"ხელისუფლება შანტაჟსა და ტერორზეა გადასული და პროკურატურა ყველანაირად ცდილობს იმ ადამიანების დაშანტაჟებას, რომლებიც "ნაცმოძრაობის" შეხედულებების გაზიარებაზე უარს აცხადებენ. მოვუწოდებთ ყველას, მოვიდნენ 5 ოქტომბერს საარჩევნო უბნებში და ხელისუფლების ტერორის მიმართ საკუთარი პროტესტი გამოთქვან," - ასეთი პოლიტიკური განცხადებები გაკეთდა "რესპუბლიკური პარტიის" წევრების მხრიდან თბილისის საქალაქო სასამართლოში.*

საქმე ისაა, რომ მათ დახმარებისა და მხარდაჭერისთვის მოქალაქეებმა გიორგი ოთიაშვილმა და სარქის შაროიანმა მიმართეს. ოთიაშვილს და შაროიანს, სასამართლოს გადაწყვეტილებით, 2-2 ათასი ლარის გირაო დაეკისრათ. მოსამართლემ პროკურატურის მიერ მოთხოვნილ 3 ათას ლარს მხოლოდ ათასი ჩამოაკლო. ბრალდებულებმა მართლმსაჯულების მიერ დაკისრებული თანხა გენპროკურატურის ანგარიშზე 15 ოქტომბრამდე უნდა გადარიცხონ.

გიორგი ოთიაშვილმა და სარქის შაროიანმა გუშინწინ შეიტყვეს, რომ მათზე სამართლებრივი დევნა იყო დაწყებული. ყველაფერი კი მათთან სახლში "ნაციონალური მოძრაობის" მხარდამჭერების სააგიტაციო ვიზიტით დაიწყო.

გაგრძელება A4 გვერდზე

## თავისუფალი სიტყვა

**რადიო "უცნობის" გადაცემა "თავისუფალის სიტყვის" წამყვანია ჟურნალისტი თამარ ჩიქოვანი ("რადიო თავისუფლება"), სტუმარია რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი, დეპუტატი ივლიანე ხაინდრავა.**

**თამარ ჩიქოვანი:** ბიჭვინთაში კონფერენციაზე იმყოფებოდით, როგორია ბიჭვინთა დღეს?

**ივლიანე ხაინდრავა:** წმინდა ვიზუალურად, განსხვავებები იმ ბიჭვინთისგან, რომელიც ჩვენ გვახსოვს, არ არის. ეს ზონა საომარი მოქმედების დროს არ დაზარალდა, თუმცა სიახლეც არაფერია, ერთი ახალი პანსიონატია მხოლოდ აშენებული. დამსვენებლები იყვნენ ძირითადად რუსეთის პროვინციიდან - საშუალო, დაბალი ფენის წარმომადგენლები. საბჭოთა პერიოდის სულისკვეთება ყველაფერში იგრძნობა - მენიუში, მომსახურე პერსონალის ქცევაში, სასადილოში... საუბარი რუსული, ამინდი და ბუნება მშვენიერი...

**თამარ ჩიქოვანი:** როდესაც მომსახურე პერსონალი იგებდა, რომ თბილისიდან ხართ, რა რეაქცია ჰქონდათ?

**ივლიანე ხაინდრავა:** აბსოლუტურად იგივე დამოკიდებულება ჰქონდათ, როგორც სხვების მიმართ. ქართულ საუბარზე არანაირი ნეგატიური რეაქცია არ ჰქონიათ არც ბიჭვინთაში და არც სოხუმში.

**თამარ ჩიქოვანი:** თუ გეკითხებოდნენ რა ხდება თქვენთან თბილისში, როგორ ცხოვრობთო, თუ იჩენდნენ ინტერესს?

**ივლიანე ხაინდრავა:** პრაქტიკულად არა. ერთი მხრივ ეს არის აფხაზური მხარის სტრატეგიის ნაწილი - თქვენ სხვა სახელმწიფო ხართ და არ გვაინტერესებს რა ხდება თქვენთან. მეორე მხრივ, ყველას ვისაც ეს ეხება, ამომწურავი ინფორმაცია აქვს რა ხდება თბილისში, საქართველოში, რა პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობს. შეიძლება ნაკლები ინფორმაცია ჰქონდეთ რა ხდება ხელოვნებასა და კულტურაში, როგორ მიმდინარეობს ნორმალური ცხოვრება პოლიტიკის მიღმა.

**თამარ ჩიქოვანი:** სამაგიეროდ, ჩვენ ვართ ცუდად ინფორმირებული აფხაზური პოლიტიკის შესახებ. აფხაზებს რა არ უნდათ ვიცით - საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება. არ ვიცით, კონკრეტულად რა სურთ. როგორი აფხაზეთი უნდათ აფხაზებს?

**ივლიანე ხაინდრავა:** აფხაზებს აქვთ კატეგორიული, ზედმეტად კატეგორიულიც, პოზიცია, რომ აფხაზეთი არის დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც განმტკიცებულია რეფერენდუმით და აფხაზი ხალხის ნება რევიზიას არ ექვემდებარება. ასეთი პოზიცია აქვთ მათ ნებისმიერ შეხვედრაზე. სინამდვილეში რა ხდება იქ - აფხაზებმა იომეს დამოუკიდებლობისთვის, იომეს დემოგრაფიული მდგომარეობის შესაცვლელად, რომ აღარ ყოფილიყვნენ უმცირესობაში, თუმცა ამას ვერ მიაღწიეს. ვერბალურად ისინი ამბობენ, რომ რუსეთი არის მათი სახელმწიფოებრიობის გარანტი, ის, ვინც შეაჩერებს საქართველოს რევანშისტულ ძალებს. თუმცა თუ უფრო ღრმად ჩავიხედავთ - მათ ეშინიათ რუსეთისაც. ეშინიათ, რომ ეს ქვეყანა მათ ჩაყლაპავს და ეს პროცესი უკვე მიმდინარეობს. დამრჩა განცდა, რომ მათ დღეს ქართული სამხედრო და დემოგრაფიული რევანშის უფრო ეშინიათ.

**თამარ ჩიქოვანი**: ქართველებისადმი უნდობლობა ომის შემდეგ გასაგებია, მაგრამ რატომ აქვთ ასეთი ნდობა რუსეთისადმი და რატომ არ ენდობიან საერთაშორისო ორგანიზაციებს, ზოგადად დასავლეთს?

**ივლიანე ხაინდრავა:** იმიტომ რომ, კონფლიქტის დროს და მის შემდგომ წლებში დასავლეთი შორიდან უყურებდა აფხაზეთში მიმდინარე პროცესებს, სამაგიეროდ რუსებმა აფხაზებს აღმოუჩინეს სერიოზული სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური და ფინანსური დახმარება. ასე რომ, აფხაზებს სხვა არჩევანი არც ჰქონდათ. ევროსტრუქტურების წარმომადგენლობითი ხარისხი იქ დღესაც ძალიან მცირეა. რაც მთავარია ევროსტრუქტურები აღიარებენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, რაც აფხაზებს აიძულებს, მათთანაც თავდაცვის პოზიციაში ჩადგნენ, მაშინ, როცა რუსეთის პოზიცია საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით ფრიად ორაზროვანია.

**თამარ ჩიქოვანი:** აფხაზური მთავრობა ძალიან ძლიერი და ერთმანეთისგან განსხვავებული მოსაზრებების მქონე ფიგურებისგან შედგება: ლაკობა, ანქვაბი, ბაგაფში. აფხაზური ხელისუფლება არის ერთიანი გუნდი?

**ივლიანე ხაინდრავა:** საქართველოსთან დამოკიდებულებაში კონსოლიდაციის ხარისხი ძალიან მაღალია და განსაკუთრებული განსხვავებები არა მხოლოდ ოფიციალურ დონეზე, არამედ პირად საუბრებშიც არ არის. განსხვავებაა რუსეთის მიმართ დამოკიდებულებაში. რუსეთის მიმართ შიში არსებობს, ეს არის მზარდი შიში და ეს აშკარად ჩანს. იმ აფხაზებს, რომელთაც რუსეთის უფრო ეშინიათ, იმედი აქვთ, რომ ქართველებთან მოილაპარაკებენ. თუმცა ქართველებიც სხვანაირად უნდა მოიქცნენ. მათ სურთ ისეთ საქართველოსთან ურთიერთობა, რომელიც აფხაზურ ეთნოსს, მათ ეროვნულ თვითიდენტიფიკაციას ხიფათს არ შეუქმნის.

■ დღეს ქალების რაოდენობა ადგილობრივ თვითმმართველობაში 12 % არ აღემატება

**ხმა მიეცით ქალებს!**

**გააძლიერე ქალით ქართული პოლიტიკა**

■ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები თანაბარი შესაძლებლობები და უფლებებია ქალისა და მამაკაცისათვის

UNDP Sida

საინფორმაციო კამპანიის მხარდამჭერია პროექტი "გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში"

www.genderandpolitics.ge

# ვიდრე პარლამენტში ანტრაქტია...

გიორგი ასანიშვილი

საქართველოს პარლამენტის საშემოდგომო სესია ოფიციალურად 5 სექტემბერს გაიხსნა, თუმცა დღემდე ერთი პლენარული სხდომაც კი არ გამართულა და საერთოდ, კანონშემოქმედებითი საქმიანობა, პრაქტიკულად, შეჩერებულია: დეპუტატებმა გადაწყვიტეს, მუნიციპალური არჩევნებით დაკავდნენ და ამიტომ, სესიის გახსნისთანავე, ერთთვიანი ტაიმ-აუტი აიღეს.

ძნელი სათქმელია, რამდენად გამართლებულია ყველაზე დაბალი "რანგის" არჩევნების მომიზეზებით ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს მუშაობის შეწყვეტა. უმრავლესობის მიერ მიღებულ ამ გადაწყვეტილებას, თავის დროზე, ოპოზიციამაც წაუყრუა და თავი არ გამოუდია, დროზე დავიწყოთ საშემოდგომო სესიაო.



პარლამენტში გამეფებული "მდუმარება" ნაწილობრივ ბიუროს გუშინდელმა სხდომამ დაარღვია, რომელიც უფრო რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების გამო გაიმართა, ვიდრე კანონშემოქმედებითი აუცილებლობიდან გამომდინარე. განსხვავებული გამოდგა სხდომის ფორმატიც: ჩვეულებრივ, ის დაახლოებით ორი საათი მაინც გრძელდება ხოლმე, გუშინ კი საკითხების განხილვა სულ რაღაც 20-25 წუთში დასრულდა.

ბიუროს ღია ნაწილი (მოგვიანებით, ის ჟურნალისტებისთვის დაიხურა), ძირითადად, გასული კვირის უმნიშვნელოვანესი მოვლენების შეფასებებს დაეთმო.

პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ საკმაოდ ვრცლად ისაუბრა "ინტენსიურ დიალოგზე" გადასვლისა და გაერო-ს გენერალური ასამბლეის სესიაზე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გამოსვლის მნიშვნელობაზე, აგრეთვე ბიუროს წევრებს გააცნო გერმანიაში გამართული საერთაშორისო კონფერენციის ზოგიერთი ასპექტი.

**"ჩვენ გავედით ნატო-სთან თანამშრომლობის ახალ ფაზაზე, რომელიც უფრო მეტ მოთხოვნებს გვიყენებს და მეტ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. მიუნხენში ჩემი ვიზიტის დროს ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა მაღალი შეფასება მისცეს ინტენსიურ დიალოგზე გადასვლას,"** - აცხადებს ნინო ბურჯანაძე.

ამასთან, საქართველოს პარლამენტის სპიკერის თქმით, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სიტყვამ, რუსეთის სამხედრო ძალების მიერ სამშვიდობო მანდატის შეუსრულებლობასთან დაკავშირებით, **"მთელ მსოფლიო თანამეგობრობას დაუდასტურა, რომ სამშვიდობო მანდატი სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს"**. ნინო ბურჯანაძე იმედოვნებს, რომ კონფლიქტებთან დაკავშირებით საერთაშორისო მიდგომები აუცილებლად გადაიხედება.

პარლამენტის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ ევროპა ცვლის საკუთარ პრიორიტეტებს და მიდგომებს რუსეთის მიმართ.

**"მიუნხენის ფორუმზე პირველად მოვისმინე კითხვები რუსეთის მომავალ როლთან დაკავშირებით. ევროპა ფიქრობს საკუთარ მომავალზე, საზღვრების გაფართოებაზე და შესაბამისად, შეიცვლება ყველანაირი მიდგომა ევროპის სახელმწიფოების, მათ შორის რუსეთის მიმართაც,"** - გერმანიიდან ოპტიმისტური განწყობით დაბრუნდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

ნინო ბურჯანაძე არანაკლები ოპტიმიზმით ხვდება 5 ოქტომბრის მუნიციპალურ არჩევნებს. ბიუროს გუშინდელ სხდომაზე მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარება მისი პირადი ღირსების საქმეა და წარმოადგენს პრიორიტეტს, რომელსაც იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

სპიკერმა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს ლევან ბეჟაშვილს დაავალა, რომ მოაგროვოს სრული ინფორმაცია არჩევნებთან დაკავშირებული პრეტენზიების შესახებ, რათა ჰქონდეს სრული წარმოდგენა, შეესაბამება თუ არა წინასაარჩევნო კამპანია საერთაშორისო სტანდარტების ნორმებს. ნინო ბურჯანაძე დარწმუნებულია, რომ ადგილობრივი არჩევნები დემოკრატიულად და გამჭვირვალედ ჩატარდება და ამაში თავის წვლილს საერთაშორისო დამკვირვებლებიც შეიტანენ.

რაც შეეხება ბიუროს სხდომაზე განხილულ საკანონმდებლო საკითხებს, მათ შორის აღსანიშნავია კანონპროექტი "საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობის დამტკიცების შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე. ამჟამად საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 26 ათასი სამხედრო მოსამსახურე ირიცხება, აღნიშნული ცვლილებების შემდეგ კი მათი რაოდენობა ორი ათასით გაიზრდება.

# ფორმალური ფორმატი

### შსკ-ს მორიგი სხდომა 12-13 ოქტომბერს ვლადიკავკაზში გაიმართება

*26-27 სექტემბერს დანიშნული შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა, რომელიც ცხინვალში უნდა გამართულიყო, გადაიდო. სხდომის გადადების მიზეზი კი ქართული მხარის მოუცლელობა გახდა. რუსული საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შსკ-ს მორიგი სხდომა 12-13 ოქტომბერს ვლადიკავკაზში გაიმართება.*

ნათია მსხილაძე

ქართული მხრიდან შსკ-ს სხდომაში მონაწილეობაზე უარის ერთადერთი მიზეზი მოუცლელობა გახდა. ყოველ შემთხვევაში, ასეთ განმარტებებს კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში აკეთებენ. **"ამ პერიოდში გადატვირთული სამუშაო დღეებია. რამდენიმე ხნის წინ იგივე შემოუთვალა ქართულ მხარეს ჩოჩიევმაც** (თანათავმჯდომარე ოსური მხრიდან)**, რასაც ქართული მხარე გაგებით მოეკიდა. ანალოგიური შემთხვევები დიპლომატიურ პრაქტიკაში არის,"** - აცხადებენ სახელმწიფო მინისტრის აპარატში.

ზედიზედ უკვე მეორედ, შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა მხარეების "ახირებების" მიზეზით იშლება. ორი კვირის წინ ცხინვალში დაგეგმილი შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა სწორედ სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების ინიციატივით ჩაიშალა. ოსური მხარისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ქართული დელეგაციის ერთ-ერთი წევრის, სამშვიდობო ძალების ბატალიონის სარდლის, პაატა ბედიანაშვილის შეხვედრაში მონაწილეობა.

როგორც ბორის ჩოჩიევი აცხადებდა, ქართული მხარე ამის შესახებ წინასწარ იყო ინფორმირებული. არადა, ქართული მხარის მტკიცებით, სხდომის დღის წესრიგი დე ფაქტო ხელისუფლებასთან ჯერ კიდევ 14 სექტემბერს შეთანხმდა, სადაც გათვალისწინებული იყო დელეგაციაში სამშვიდობო ძალების ქართული ბატალიონის სარდლის შეყვანა და მოლაპარაკებების პროცესში მონაწილეობა. ოსურმა მხარემ პაატა ბედიანაშვილთან ერთად მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომა არ ისურვა.

ორი კვირის წინ ჩაშლილ სხდომაზე, საქართველოსთვის აქტუალური საკითხები უნდა განეხილათ. სავარაუდოდ, საუბარი უნდა ყოფილიყო საქართველოსა და დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა მინისტრების შესაძლო შეხვედრაზე. რაც მთავარია, სხდომაზე უნდა ემსჯელათ საქართველოს თავდაცვის მინისტრის ვერტმფრენზე თავდასხმის ინციდენტზეც. ასევე, შსკ-ს სხდომაზე ოთხმხრივი საკონტროლო კომისიის ფორმატის გაფართოების და ეუთოს მისიის მხარის სტატუსით ჩართვის საკითხიც უნდა განხილულიყო.

შერეული საკონტროლო კომისიის სხდომების ჩაშლა უკვე პერმანენტულ ხასიათს იძენს. რა ბედი ეწევა მორიგ სხდომას, უცნობია. რუსული სააგენტოების ცნობით, შსკ-ს მომდევნო სხდომა ვლადიკავკაზში გაიმართება. **"თანხმობა ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების შერეული საკონტროლო კომისიის სხდომაში მონაწილეობაზე კომისიის ყველა თანათავმჯდომარემ გამოთქვა - რუსეთის, საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის, ასევე ეუთო-ს წარმომადგენელმა. არ გამორიცხავს საკუთარ მონაწილეობას ევროკავშირის დამკვირვებელიც,"** - აცხადებს შსკ-შ თანათავმჯდომარე ჩრდილოეთ ოსეთის მხრიდან მურატ ხოსტოვი.

# კობა დავითაშვილი ამომრჩეველთა ერთიან სიაში არ აღმოჩნდა

საარჩევნო ბლოკის "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის" ერთ-ერთი ლიდერი კობა დავითაშვილი ამომრჩეველთა ერთიანი სიიდან ამოვარდნილია. ამ საკითხთან დაკავშირებით იგი პროკურატურას სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოითხოვნით მიმართავს. დეპუტატობის კანდიდატის თქმით, ცოტა ხნის წინ მან საკუთარი მოთხოვნის საფუძველზე, ამომრჩეველთა სიაში თავი აღიდგინა, თუმცა დღეს აღმოაჩინა, რომ სიიდან ის კვლავ ამოღებულია.

თბილისის გარდა, "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის" საარჩევნო ბლოკი ხმაურიან საარჩევნო კამპანიას საქართველოს რეგიონებშიც ეწევიან. გუშინ მათ ბათუმი და ქუთაისი "დალაშქრეს". ბათუმში ჟურნალისტებისთვის სპეციალური ბრიფინგი გამართეს და პირველი პლაკატი სიმბოლურად ზუსტად იმ კედელზე გააკრეს, საიდანაც "რესპუბლიკელებმა" 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, ბათუმში წინასაარჩევნო კამპანია დაიწყეს.

საარჩევნო პლაკატებზე დავით ბერძენიშვილთან ერთად ბლოკის სხვა მაჟორიტარი კანდიდატებიც არიან აღბეჭდილი. ქუთაისს კი ბლოკის მძიმეწონიანი ლიდერები ესტუმრნენ და ქუთაისის ტექნიკურ უნივერსიტეტში საკუთარ ამომრჩევლებს შეხვდნენ. შეხვედრაზე მისულ ქუთაისელებს ლევან ბერძენიშვილმა აუწყა, რომ **"ხელისუფლება ქუთაისის როლს, დამსახურებასა და წარსულს საერთოდ ვერ ხედავს"**. ბერძენიშვილი ქუთაისელებს დაპირდა, რომ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში აპირებს ქუთაისის, როგორც ქვეყნის მეორე ქალაქის ფუნქციის დაბრუნებისთვის იბრძოლოს. მხარდამჭერების გარდა, ქუთაისის ტექნიკურ უნივერსიტეტში შეხვედრას პროფესორ-მასწავლებლებიც დაესწრნენ. ანალოგიური შეხვედრები ბლოკის წევრებმა ქუთაისის სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც გამართეს.

*24 საათი*

## მოკლედ

### "ნაციონალები" გორში

გუშინ გორში "ნაციონალური მოძრაობა" ამომრჩევლებს შეხვდა და საკუთარი მაჟორიტარი კანდიდატები და პარტიული სია გააცნო. შეკრებილი ხალხის უმრავლესობას გორის და გორის რაიონის სკოლების პედაგოგები წარმოადგენდნენ. კანდიდატების წარდგენას პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე ესწრებოდა. ამომრჩევლებს კანდიდატები პრეზიდენტის რწმუნებულმა შიდა ქართლის მხარეში მიხეილ ქარელმა გააცნო და ხელისუფლების მიერ მირწეულ წარმატებებზე ისაუბრა.

"ნაციონალების" პარტიულ სიებში გორში არსებული თითქმის ყველა საბიუჯეტო სამსახური უფროსები არიან შეყვანილნი. ასე რომ, არჩევნებამდე გორში სამსახურებს ხელმძღვანელების ნაცვლად მოადგილეები მართავენ.

"ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატები გორსა და გორის რაიონში გივი თარგამაძემაც მოიწონა. როგორც მან შეხვედრაზე განაცხადა, მათ უმრავლესობას პირადად იცნობს და სჯერა, რომ მათზე დაყრდნობა ყოველთვის შეიძლება. თარგამაძემ შეკრებილ საზოგადოებას საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების გზაზე მიღწეული წარმატებები მიულოცა.

**"საქართველოს ინდივიდუალურ გაწევრიანების პროგრამაში შესვლა იყო ჩვენი დიდი გამარჯვება და ველარავინ დაგვაბრკოლებს. რუსეთის მხრიდან ისტერიკა ნიშნავს, რომ ჩვენ სწორი გზით მვდივართ. როცა რაღაც კეთდება, ხალხი უფრო მეტს ითხოვს, და ეს კარგია,"** - განაცხადა თარგამაძემ.

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ხალხს შეჰპირდა, რომ გორში აშენებული სამხედრო ბაზა სენაკის ბაზაზე უკეთესი იქნება.

*24 საათი*

### ეუთო-ს დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელი საქართველოს რეგიონებს ეწვევა

დღეს 5 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ეუთო-ს დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელი გეერტ არენსი ბათუმს, სენაკს, ქუთაისს და გორს ეწვევა.

ეუთო-ს დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელის რეგიონებში ვიზიტის მიზანია ადგილებზე გაეცნოს საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას.

იგეგმება არენსის შეხვედრები ბათუმის, სენაკის, ქუთაისის და გორის ადგილობრივი ხელისუფლების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

ეუთოს დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელი აცხადებს, რომ მის ხელთ არსებული ფაქტების საფუძველზე, საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას რაიმე სერიოზულ დარღვევას ჯერჯერობით ადგილი არ ჰქონია და წინასაარჩევნო სიტუაცია მთლიანად შეესაბამება ეუთო-ს მიერ დადგენილ სტანდარტებს.

რეგიონებში არენსის ვიზიტების ორგანიზებას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო განახორციელებს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### განახლებული "სოკოს სკვერი"

**"თბილისში ბოლო დროს ბევრი სკვერი იხსნება, მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ისაა, რომ საჯარო სკვერის მოწყობაზე კერძო კომპანიამ იზრუნა. კარგი იქნება, თუკი "ჯეოსელის" წარმოწყებას სხვებიც შეუერთდებიან და თავიანთი ოფისების ირგვლივ თითო სკვერს მაინც მოაწყობენ,"** - ეს განცხადება გუშინ თბილისის მერმა გიგი უგულავამ ბაქოს ქუჩაზე ერთ-ერთი სკვერის გახსნაზე გააკეთა.

უკვე დიდი ხანია, რაც აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზირების გადაკვეთაზე ე.წ "სოკოს სკვერი" მდებარეობს, თუმცა მისი რეკონსტრუქცია და განახლება კომპანია "ჯეოსელის" ინიციატივით მოხდა. როგორც "ჯეოსელის" გენერალურმა დირექტორმა ოსმან თურანმა განაცხადა, მათ რიგით მეთორმეტე ოფისი (რომელიც სკვერთან ახლოს მდებარეობს) ერთ სტანდარტქვეშ მოაქციეს და სკვერის რეკონსტრუქციაც სწორედ ამ ფაქტს დაუკავშირეს. ჰაი-ტეკის სტილში მოწყობილი ოფისი უახლესი ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი.

*24 საათი*

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# სტატუს-კვო თუ ატლანტიზმისკენ შემობრუნება?

პირველი გვერდიდან

გაუმჯობესებაზე, სარკოზის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების პერსპექტივით. "სარკოს" მიერ მოგზაურობისას გაკეთებული განცხადებები ამის საფუძველს აშკარად იძლევა. ვაშინგტონის American Girls of the Revolution Museum-ში სტუმრობისას სარკოზიმ განაცხადა, რომ მომავალში საფრანგეთ-ამერიკას შორის არსებული უთანხმოებები კრიზისში აღარასოდეს უნდა გადაიზარდოს, ხოლო ნიუ-იორკში ყოფნისას სარკოზიმ მერის, მაიკლ ბლუმბერგის თანდასწრებით, საფრანგეთის უმაღლესი ჯილდო, ღირსების ლეგიონის ორდენი გადასცა ქალაქის პოლიციის უფროსს რაიმონდ კელის და იქვე განაცხადა, რომ "ამიერიდან ამერიკელები ყოველთვის უნდა იყვნენ საფრანგეთის იმედად ისე, როგორც საფრანგეთი იყო ხოლმე ამერიკის იმედად გაჭირვების ჟამს". სარკოზის საპრეზიდენტო წარმატებაზე გათვლებს აკეთებს ფრანგული ბიზნესიც, ვინაიდან 2003 წლის თებერვლიდან, ანუ იმ დროიდან, როდესაც მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი, დომინიკ დე ვილპენი ვეტოს უფლებით დაემუქრა ერაყში კოალიციური ჯარების ინტერვენციის პერსპექტივას, ამ ქვეყნის საექსპორტო მაჩვენებლები საგრძნობლად დაეცა აშშ-ში.

ამავე დროს, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ვაშინგტონთან დაახლოების პოლიტიკას აუცილებლად შეეწინააღმდეგება ანტიამერიკულად განწყობილი ფრანგული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი. სოციალისტთა ერთ-ერთმა ლიდერმა ლორან ფაბიუსმა უკვე მოასწრო განეცხადებინა, რომ "საფრანგეთს არ სჭირდება პრეზიდენტად ამერიკის ლეკვი". ხოლო როდესაც სარკოზი შეხვდა ნიუ-იორკის ებრაელთა ასოციაციების წარმომადგენლებს, მას პირდაპირ დაუსვეს შეკითხვა - ხომ არ მიაჩნია ბატონ მინისტრს, რომ მისი პროამერიკული და პროისრაელური შეხედულებები პრობლემებს შეუქმნის საკუთარ ქვეყანაში? ამაზე სარკოზის პასუხი იყო, რომ იმ "პატარა ელიტას", რომელიც ქადაგებს "დიდი სატანისა" და მისი ახლოაღმოსავლური მოკავშირის წინააღმდეგ, არანაირი მხარდაჭერა არ აქვს ფრანგთა უმრავლესობის მხრივ და რომ ამის დასტურია მისი, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატის, მაღალი რეიტინგი.

### საიმედო მოკავშირე ჭირვეული პარტნიორის ნაცვლად

ყოველივე ზემოხსენებულის მიუხედავად, იბადება შეკითხვა: რამდენად რეალურია, რომ ახლო მომავალში საფრანგეთის პოლიტიკურმა ელიტამ გაატაროს ბრიტანეთის მსგავსი ტრანსატლანტიკური კურსი და უკუაგდოს მეხუთე რესპუბლიკისთვის დამახასიათებელი ტრადიციული დისტანცირება ვაშინგტონთან? საკმარისია გავიხსენოთ, რომ, პრაქტიკულად, ნახევარი საუკუნის განმავლობაში საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა მოქმედებდა დე გოლისეური ევროპის, როგორც "მესამე პოლუსის" (აშშ-სა და სსრკ-ს შორის) პრინციპით. უფრო მეტიც, ფრანგი გენერლის გამონათქვამებით, რუსეთი განუყოფელი ნაწილია ევროპისა ("ევროპა ატლანტიკიდან ურალამდე განსაზღვრავს მსოფლიოს მომავალს"). ამასთანავე, საჭიროა გავიხსენოთ, რომ ფრანგული საგარეო პოლიტიკის ასპექტები ხშირად ნიუანსირებულიც იყო. მაგალითად, ცნობილია, რომ იგივე გენერალი დე გოლი კარიბის კრიზისის დროს (1962 წელს) დაუკავშირდა პრეზიდენტ კენედის და აღუთქვა მხარდაჭერა აშშ-სა და სსრკ-ს შორის კონფლიქტის შემთხვევაში, ხოლო სოციალისტი-პრეზიდენტი ფრანსუა მიტერანი მომხრე იყო თეთრი სახლის ისეთი ინიციატივებისა, როგორც იყო "პერშინგის" ტიპის რაკეტების განლაგება დასავლეთ ევროპაში ან ანტიერაყული კოალიციის შექმნა სპარსეთის ყურის პირველი ომისას. ყოველივეს გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, ნიკოლა სარკოზიმ და მისმა გუნდმა, სადაც გამოირჩევა საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის დეპუტატი და ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე პიერ ლელუში, გაატარონ მკვეთრად "ატლანტისტური" პოლიტიკა. ამ შემთხვევაში, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პროცესის გათვალისწინებით, მეტად ჭირვეული პარტნიორის სანაცვლოდ, როგორიც დღევანდელი საფრანგეთია, მივიღებდით გაცილებით საიმედო და გავლენიან მოკავშირეს.

### ღერძი ბერლინი-პარიზი-ლონდონი-ვარშავა?

გასულ შემოდგომაზე ანგელა მერკელის გერმანიის კანცლერად არჩევისას, მისმა თანაპარტიელმა ვოლფგანგ შოიბლემ, რომელიც ქრისტიან-დემოკრატიულ კავშირში საგარეო ურთიერთობებს კურირებდა, ხოლო დღევანდელ კოალიციურ მთავრობაში შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი უკავია, განაცხადა, რომ ამჟამად პოლიტიკურ არენაზე აღარა აქვს ადგილი ღერძს პარიზი-ბერლინი-მოსკოვი, რომელიც ექს-კანცლერ შრიოდერისა და ჟაკ შირაკის ინიციატივით შეიქმნა 2003 წელს ვაშინგტონისადმი ოპოზიციის აღსანიშნავად. "ჩვენ წინააღმდეგი ვართ რუსეთთან განსაკუთრებული ურთიერთობებისა," - განაცხადა მან. შოიბლემ აღნიშნა აგრეთვე, რომ შრიოდერი, ისევე როგორც შირაკი, ითხოვდა თავიანთი ევროპელი პარტნიორებისგან, რომ მათ გაეკეთებინათ არჩევანი ევროპასა და აშშ-ს შორის. მართლაც, წინასაარჩევნო კამპანიისას, ქალბატონი მერკელი ხშირად საყვედურობდა თავის წინამორბედს ევროკავშირის მცირე ქვეყნების ინტერესების იგნორირებისა და ხშირად მათი დამცირების გამოც კი. გერმანიის დღევანდელი კანცლერი საჯაროდ აცხადებდა, რომ ფრანგულ-გერმანულ ალიანსს ის ამჯობინებდა ღერძს ბერლინი-პარიზი-ლონდონი-ვარშავა, რომელსაც უნდა დაებალანსებინა ერთმნიშვნელოვნად რუსეთისკენ მიმართული შრიოდერისეული საგარეო პოლიტიკა. მაგრამ, რამდენად თავისუფალია ქალბატონი მერკელი თავის ქმედებებში? არ უნდა დავივიწყოთ, რომ არჩევნების მხოლოდ ძალიან მცირე უპირატესობით მოგების გამო, ქრისტიან-დემოკრატებს მოუწიათ კოალიციური მთავრობის შექმნა თავიანთ ძირითად მეტოქე, სოციალ-დემოკრატებთან ერთად. კოალიციურ მთავრობაში კი საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი სოციალ-დემოკრატებს ერგოთ, ხოლო მინისტრად ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი დაინიშნა - კაცი, რომელიც წლების განმავლობაში გერჰარდ შრიოდერის მრჩევლად გვევლინებოდა საგარეო პოლიტიკის საკითხებში. სავარაუდოდ, ეს ერთ-ერთი მიზეზია, რომლის გამოც ქალბატონ მერკელს უჭირს საგარეო პოლიტიკის კურსის მკვეთრი შეცვლა, მაგრამ არსებობს კიდევ უფრო სერიოზული ფაქტორებიც.

### "აღმოსავლეთით არაფერი შეცვლილა"

მიმდინარე წლის მარტის ბოლოს გერმანიის ექს-კანცლერი გერჰარდ შრიოდერი ერთხმად იქნა არჩეული ჩრდილო-ევროპული გაზსადენის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ. შეგახსენებთ, რომ ეს ის გაზსადენია, რომლის მშენებლობაც 2010 წელს უნდა დასრულდეს და, რომელიც ბალტიის ზღვის ფსკერზე გავლით შეაერთებს რუსულ ვიბორგსა და გერმანულ გრაისვალდს. გაზსადენის მშენებლობით დაკავებულია ერთობლივი რუსულ-გერმანული საწარმო North European Gas Pipeline Company, რომლის კაპიტალში რუსულ გაზპრომს 51 პროცენტი ეკუთვნის, ხოლო გერმანულ BASF-სა და EON Ruhrgas-ს 24-24 პროცენტი. ექს-კანცლერის ესოდენ მსხვილი საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნა, უთუოდ უნდა მივიჩნიოთ პუტინის საჩუქრად თავისი პირადი მეგობრისადმი. შრიოდერის მართვის პერიოდში, თვით სოციალ-დემოკრატთა ზოგიერთი წევრი გამოთქვამდა გაკვირვებას იმ ხაზგასმული სიახლოვის გამო, რომელიც ორი ქვეყნის ლიდერს აკავშირებდა. ბევრის აზრით, ავტორიტარული პუტინი და პატივმოყვარე შრიოდერი სულ უფრო ემსგავსებოდნენ ერთმანეთს, რაც აშკარად ჩანდა დემოკრატიული პრინციპების იგნორირებაში როგორც ერთი, ისევე მეორე მმართველის მიერ. 2005 წლის 18 სექტემბერს შრიოდერმა თავი გამარჯვებულად გამოაცხადა არჩევნებში, იმისდა მიუხედავად, რომ მეტოქეებმა 450 ათასი ხმით მეტი მოაგროვეს. ბუნდესტაგის რეგლამენტის შეცვლის იდეა, რომლის მიხედვით CDU/CSU აღარ იქნებოდა ყველაზე ძლიერი ფრაქცია, ჟურნალი Focus-ის აზრით, თავისუფლად შეეძლოთ მოეფიქრებინათ კრემლის პოლიტტექნოლოგებს. გამოითქვა ეჭვიც (რომლის ავტორი რუსი პოლიტოლოგი ანდრეი პიონტკოვსკია), რომ სუკ-ში მოღვაწეობისას პუტინს ასწავლიდნენ დასავლელი პოლიტიკოსების გადმობირებისა და ზომბირების ხელოვნებას და რომ შრიოდერი ამ ხელოვნების მწვერვალია. მაგრამ, პუტინისა და შრიოდერის ნახევრადანეკდოტურ ურთიერთობებს რომ თავი დავანებოთ, ფაქტად რჩება რუსეთსა და გერმანიას შორის არსებული მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები. სტატისტიკური მონაცემებით, რუსეთს არც ერთ ქვეყანაში არ გააქვს იმდენი საქონელი, რამდენიც გერმანიაში და არ შემოაქვს იმდენი, რამდენიც გერმანიიდან.

2005 წელს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბალანსმა 39 მილიარდი ევრო შეადგინა. ამ პირობებში, კანცლერ მერკელს, რა თქმა უნდა, გაუჭირდება გერმანული ბიზნესის მოთხოვნების იგნორირება და რუსეთთან დისტანცირება, ვთქვათ, ამ ქვეყანაში დემოკრატიული სტანდარტების იგნორირების მიზეზით. ჟურნალი Handelsblatt-ის თქმით, "აღმოსავლეთით არაფერი შეცვლილა. ხელისუფლებაში შრიოდერი იქნება თუ მერკელი, გერმანიას სჭირდება რუსული გაზი და ნავთობი, რუსეთს კი გერმანული ავტომობილები და დანადგარები".

### რუსეთის, როგორც მედიატორის ფაქტორი

მას შემდეგ, რაც ენერგორესურსებზე ფასების ზრდამ დაუბრუნა რუსეთს რეგიონული ლიდერის სტატუსი, შეიმჩნევა დასავლეთის მცდელობა, გამოიყენოს რუსეთი, როგორც შუამავალი ახლო აღმოსავლეთისა და ირანის პრობლემატურ საკითხებთან მიმართებაში. ფაქტობრივად, ამაში მდგომარეობს დასავლური დემოკრატიების დილემა: ერთი მხრივ მათ სჭირდებათ რუსეთის მხარდაჭერა "ჰამასის" ცივილიზებულ ჩარჩოებში მოსაქცევად და ირანის ბირთვული პროგრამის გასაკონტროლებლად. მეორე მხრივ კი, ისეთი ლიდერები, როგორიც ანგელა მერკელია, გრძნობენ აუცილებლობას, მიუთითონ რუსეთის მხარეს, რომ დასავლური დემოკრატიის თვალსაზრისით, პუტინის ადმინისტრაციამ სახელმწიფო განვითარების არასწორი, ავტორიტარული გზა აირჩია. ამ მხრივ, შესაძლოა, ველოდოთ მერკელის გააქტიურებას 2007 წლის პირველ ნახევარში, როდესაც გერმანია ევროკავშირის თავმჯდომარეობას ჩაიბარებს.

## ისტორიული პარტიული კონფერენცია ბრიტანეთში

ბრიტანული გაზეთების ფურცლები ქვეყნისთვის ისტორიული მნიშვნელობის მქონე ლეიბორისტული პარტიის კონფერენციის განხილვას ეთმობა. ისტორიული მნიშვნელობა ამ კონფერენციამ იმიტომ შეიძინა, რომ იგი შესაძლოა, ბრიტანეთის ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდეს. სხდომა მანჩესტერში გაიმართა.

**"ფინანსთა მინისტრი მანჩესტერის კონფერენციაზე მნიშვნელოვანი სიტყვით წარდგა თანაპარტიელების წინაშე. გორდონ ბრაუნმა თავისი პოლიტიკური შეხედულებების შესახებ ისაუბრა და საკუთარი მანიფესტი წარადგინა. იგი შესაძლოა, ლეიბორისტული პარტიიდან მეექვსე იყოს, რომელიც პრემიერ-მინისტრის პოსტს დაიკავებს. ბრაუნის თქმით, ამ პოსტზე იგი "ახალი ბრიტანეთის" განვითარებას შეძლებს, რაც გლობალური ეკონომიკის ასპარეზზე ნაციონალურ იდეაზე დაყრდნობით მოხდება,"** - წერს გაზეთი "თაიმს"-ი.

**"მაშინ, როცა ზოგიერთები პოლიტიკას სპექტაკლად აღიქვამენ, ჩემთვის პოლიტიკა სახელმწიფო სამსახურია, რადგან მხოლოდ ასე შევძლებთ ჩვენს პროგრესს, რაც ხალხს საკუთარი ცხოვრების დადებითი მიმართულებით შეცვლაში დაეხმარება,"** - განაცხადა გორდონ ბრაუნმა.

საკუთარი პოლიტიკური გეგმების წარმოდგენის პარალელურად კი გორდონ ბრაუნს არც ტონი ბლერის დამსახურებების აღნიშვნა დავიწყებია. ბრაუნის თქმით, პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ტონი ბლერმა თავისი 10 წლიანი სამსახურის პერიოდში ბევრი რამ გააკეთა ქვეყნისთვის. ამ ხნის განმავლობაში დიდ ბრიტანეთში ბევრი სასიკეთო ცვლილება მოხდა თუნდაც ეკონომიკის სფეროში. ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრი მიიჩნევს, რომ პრემიერ-მინისტრის უდიდესი დამსახურებაა ის ფაქტი, რომ ბრიტანეთი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სტაბილურ ქვეყნად განიხილება. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ბრაუნი მიიჩნევს, რომ აუცილებელია გაგრძელდეს და კიდევ უფრო გაფართოვდეს "ახალი ლეიბორისტების" პოლიტიკა, კიდევ უფრო მოქნილი გახდეს ქვეყნის ეკონომიკა, გაუმჯობესდეს მომსახურების სექტორის ხარისხი და შემცირდეს მეტოქეობა საზოგადოებრივ და კერძო სექტორს შორის ბრიტანელთა ზოგადი სტაბილურობისა და მათი კეთილდღეობისთვის.

რამდენად შეძლებს გორდონ ბრაუნი არა მარტო თანაპარტიელების, არამედ ზოგადად ბრიტანელთა დარწმუნებას საკუთარ შესაძლებლობებში, დროის საკითხია და ექსპერტები ამას არაერთგვაროვნად აფასებენ. ჯერჯერობით კი ორგანიზაციის "YouGov" მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგებით ცნობილია ის, რომ საზოგადოებაში ნდობის ხარისხმა ამ პოლიტიკოსის მიმართ უკანასკნელ ხანს საკმაოდ იკლო, კერძოდ, 36-დან 27 პროცენტამდე დაეცა, ხოლო იმ ხალხის პროცენტული რაოდენობა, რომლებიც გორდონს პრემიერ-მინისტრის თანამდებობისთვის შეუფერებლად მიიჩნევენ, 11 პროცენტით გაიზარდა, 33-დან 44 პროცენტამდე.

"თაიმს"-ის მიხედვით, გორდონ ბრაუნი თავისი პოპულარობის მიუხედავად დღემდე მაინც გამოცანად რჩება ბევრისთვის, როგორც პოლიტიკოსი და მას პოლიტიკურ რენომეზე კიდევ ბევრი მუშაობა დასჭირდება. "თაიმს"-ის მოსაზრებას იზიარებს მეორე ბრიტანული გაზეთი "დეილი ტელეგრაფ"-იც.

დიდი ბრიტანეთის ამჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა კი კონფერენციაზე დაადასტურა ის ინფორმაცია, რომ იგი დაახლოებით ერთი წლის ვადაში დატოვებს პოსტს, მაგრამ თავი შეიკავა პოლიტიკური მემკვიდრის ვინაობის გამხელისგან.

**"პარტიის ლიდერის საკითხი საჭირო მომენტში თავისთავად გაირკვევა,"** - განაცხადა ტონი ბლერმა.

ბლერის აზრით, ამჟამად პარტიის მთავარი ამოცანა იმ საკითხების გადაჭრაა, რაც ხალხს ყველაზე მეტად აღელვებს, კერძოდ, იმიგრაციის პრობლემა და ტერორიზმთან ბრძოლა, რადგან შიდაპარტიულმა დაპირისპირებამ ისედაც დიდი დარტყმა მიაყენა ლეიბორისტული პარტიის რეიტინგს.

*24 საათი*

# ფინიშის სწორზე

პირველი გვერდიდან

თავად ეს პროგრამაც წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი წარმატებული კომპონენტია, რომლის ავტორად თბილისის მერია მოგვევლინა და რომელიც თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, საბავშვო ბაღების და მუსიკალური სკოლების მასწავლებლებისთვის და ტექნიკური პერსონალისთვის, ასევე თბილისის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებისთვის და ტექნიკური პერსონალისთვის საჩუქრად 100-ლარიანი დანარიცხის გადაცემას ითვალისწინებს. შაბათის მონაცემებით, ამ პროგრამაში უკვე 12 ათასი პედაგოგი ჩაერთო.

რაც შეეხება დასაქმების სახელისუფლებო პროგრამას - მის ფარგლებში, ოფიციალური ინფორმაციით, უკვე 42 ათასი ადამიანია დასაქმებული, რაც წინასაარჩევნოდ ხელისუფლების კიდევ ერთ წარმატებულ სვლად შეიძლება მივიჩნიოთ.

რაც შეეხება ოპოზიციურ პარტიების წინასაარჩევნო პროგრამებს.

"ლეიბორისტები" ამომრჩევლებს მკურნალობის ხელმისაწვდომობას, პენსიონერებს ელექტროენერგიის გადასახადზე ყოველთვიურ კონპენსაციას და სხვა შეღავათებს შეჰპირდნენ. **"ყველა თბილისელი პენსიონერი გაზრდილი ენერგოტარიფების საკომპენსაციოდ 20-ლარიან დანამატს მიიღებს. გამარჯვების შემთხვევაში სტაციონარული მკურნალობა საზოგადოების ყველა ფენისათვის გახდება უფასო, ხოლო ჩვენი ქალაქის ყველაზე ლამაზ ნაწილს, ვგულისმობ, თბილისელ ბავშვებს, ყველა სასკოლო სახელმძღვანელო ექნებათ უფასო,"** - ეს სიტყვები "ლეიბორისტების" ერთ-ერთ სახეს ჯონდი ბაღათურიას ეკუთვნის.

**"ადგილობრივი წარმოების განვითარება და ბევრი სამუშაო ადგილი,"** - ასე ჟღერს საარჩევნო ბლოკ "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის" მიერ წარმოდგენილი დასაქმების პროგრამის დევიზი.

**"საქართველოს უამრავი პროფესიონალი ჰყავს, თუმცა ხელისუფლებამ ისინი მოიცილა. ჩაგვჩიჩინებენ, რომ საქართველოს კვალიფიციური პერსონალი არ ჰყავს. თუმცა მათ ავიწყდებათ, რომ თუნდაც "ელიავას" ბაზრობაზე უამრავი პროფესორი, მეცნიერი და სხვა პროფესიონალი ადამიანი ვაჭრობს,"** - განაცხადეს ბლოკის ლიდერებმა პროგრამის პრეზენტაციისას. კობა დავითაშვილმა კი "კვალიფიკაციის ამაღლება" თავად ხელისუფლების წარმომადგენლებს შეჰპირდა და განაცხადა, რომ ეკონომიკის სწორად წარმართვით უამრავი ადამიანის დასაქმებაა შესაძლებელი.

გასულ კვირას გააქტიურდა არასამთავრობო სექტორიც, მაგრამ მათ მიერ აღმოჩენილი დარღვევები, წინა არჩევნებთან შედარებით, საკმაოდ უმნიშვნელოა.

ასე, მაგალითად, თუკი ნებისმიერი წინა არჩევნების დროს მთავარი აქცენტი ამომრჩეველთა სიებში პერმანენტულ დარღვევებზე კეთდებოდა, ახლა არასამთავრობოები მხოლოდ ცალკეულ საარჩევნო უბნებზე აღმოჩენილ დარღვევებზე საუბრობენ. ეს კი ნიშნავს, რომ ცესკომ, პირველად ბოლო 10 წლის განმავლობაში, რეალურად სცადა საარჩევნო სიებში არსებული სრული ქაოსის გამოსწორება, რაც, უდავოდ, წინ გადადგმული ნაბიჯია.

რაც შეეხება არასამთავრობო სექტორის მიერ აღმოჩენილ დარღვევებს. საერთაშორისო ორგანიზაცია "სამართლიანმა არჩევნებმა" ამომრჩეველთა ერთიან სიას არასრულყოფილი უწოდა და მასში სასწრაფო შესწორებების შეტანა მოითხოვა. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელის თამარ ჟვანიას განცხადებით, დარღვევების ამ ეტაპზე აღმოფხვრა არჩევნების ობიექტურად ჩატარების ერთ-ერთი პირველი წინაპირობა იქნება. ამავე დროს, მან ყურადღება გაამახვილა მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე და განაცხადა, რომ სიები ერთხელ და სამუდამოდ უნდა შესწორდეს, რათა, საპარლამენტო არჩევნებისთვის ისინი სრული იყოს და წლების მანძილზე არსებული უზუსტობები კი აღმოფხვრილი. მოყვანილი იყო კონკრეტული მაგალითებიც. თუმცა ეს ორგანიზაცია უფრო უზუსტობებზე აკეთებს აქცენტს, ვიდრე ერთიან სიაში მონაცემთა შეგნებულ გაყალბებაზე.

არასამთავრობო ორგანიზაციამ "ახალი თაობა - ახალი ინიციატივა" კი თბილისსა და ქვეყნის 13 რეგიონში 80 დამკვირვებლის მიერ წინასაარჩევნო მონიტორინგი განახორციელა, რომლის დროსაც შემდეგი სახის დარღვევები აღმოჩნდა: საარჩევნო უბნებზე არ იყო სარეგისტრაციო ჟურნალი, საკანცელარიო ნივთები, ინვენტარი. ზოგიერთ უბანზე არ იყო ტელეფონი და ელექტროენერგია. ზოგიერთი საარჩევნო უბნის შენობა კი არჩევნების ჩასატარებლად შესაფერისი არ იყო. მონიტორინგის შედეგებით, შედარებით უკეთესი სიტუაცია დაფიქსირდა ისნის, კრწანისის, ოზურგეთის, ახალციხის, ზუგდიდის და ფოთის საარჩევნო უბნებში. საინტერესოა, რომ ამ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათ მიერ აღმოჩენილი დარღვევების გამოსწორება შესაძლებელია, თუ ამის ნება იქნება.

# საგარეო უწყებების ომი

ნიუ იორკში საქართველოსა და რუსეთის საგარეო უწყებების ხელმძღვანელები ერთმანეთს მეტად დაძაბული ვითარების ფონზე შეხვდნენ. ამ შეხვედრის შესახებ ინფორმაცია რუსეთის საგარეო საქმეთა უწყებამ გაავრცელა.

რუსეთის საგარეო უწყების განცხადებით, გელა ბეჟუაშვილისა და სერგეი ლავროვის საუბრის მთავარი თემა საქართველოში არსებული კონფლიქტები და მათი დარეგულირების პერსპექტივები იყო. ლავროვი-ბეჟუაშვილის შეხვედრა ნიუ იორკში, გაერო-ს გენერალური ასამბლეის 61-ე სესიის ფარგლებში გუშინ შედგა.

როგორც სერგეი ლავროვმა შეხვედრამდე განაცხადა, მან გაერო-ს გენერალური მდივნის საქართველოს მეგობართა ჯგუფს უკვე ამცნო "ქართული მხარის მიერ შეთანხმებების დარღვევის შესახებ". კერძოდ, საუბარია კოდორის ხეობაში ქართული შეიარაღებული ფორმირებების შეყვანაზე.

ასევე, გააცნო პარტნიორებს ის ფაქტი, რომ საქართველო "სწრაფი ტემპებით დიდი რაოდენობით შეიარაღებას იძენს".

გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი ლავროვის განცხადებას გამოეხმაურა.

საგარეო პოლიტიკური უწყებისთვის გაუგებარია, კოდორის ხეობაში რომელ საგანგაშო ფაქტებზე საუბრობს სერგეი ლავროვი.

სამინისტროს განცხადებით, კოდორის ხეობაში ანტიკრიმინალური ოპერაციის მიმდინარეობის შესახებ საქართველოს ხელისუფლებამ საერთაშორისო თანამეგობრობას სათანადო ინფორმაცია მიაწოდა.

"ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობა აუცილებლად გადავა კოდორის ხეობაში. იქ განთავსებული პოლიციის ქვედანაყოფების ფუნქცია რეგიონში ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებისა და მართლწესრიგის დაცვაა. მიმდინარეობს კონსულტაციები საქართველოში გაერო-ს სადამკვირვებლო მისიასთან მონიტორინგის ჩატარების თაობაზე, ხოლო საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელებს უახლოეს მომავალში საშუალება მიეცემათ პირადად დარწმუნდნენ იმაში, თუ რა კეთდება ხელისუფლების მიერ ზემო აფხაზეთში. კეთილი ნების შემთხვევაში, რუსეთის მხარეს შეუძლია გაერო-სთან, ეუთოსთან, ევროკავშირთან და მეგობართა ჯგუფის ქვეყნებთან ერთად თანაბრად იტვირთოს სამშვიდობო პროცესის გარანტორის და ხელშემწყობის როლი", - აღნიშნულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

*ინტერპრესნიუსი*

■ დღეს ქალების რაოდენობა ადგილობრივ თვითმმართველობაში 12 % არ აღემატება

## ხმა მიეცით ქალებს!

გააძლიერე ქალით ქართული პოლიტიკა

■ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები თანაბარი შესაძლებლობები და უფლებებია ქალისა და მამაკაცისათვის

UNDP Sida

საინფორმაციო კამპანიის მხარდამჭერია პროექტი "გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში"

www.genderandpolitics.ge

# ნორა კვიციანს წინასწარი პატიმრობის ვადა გაუგრძელეს

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სოფელ ჩხალთის ყოფილ გამგებელს ნორა კვიციანს წინასწარი პატიმრობის ვადა კიდევ ერთი თვით გაუგრძელდა.

მოსამართლემ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა, საპატიმრო ვადის გაგრძელების თაობაზე, თუმცა არ დააკმაყოფილა ბრალდებულის ადვოკატის პაატა ბუჩუკურის მოთხოვნა, ნორა კვიციანისთვის აღმკვეთის ღონისძიების შეცვლის - გირაოს სახით 5000 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ.

გადაწყვეტილების გამოცხადებას ტრადიციისამებრ სასამართლო დარბაზში მსხდომთა უკმაყოფილება მოჰყვა. ნორა კვიციანის ახლობლებმა, მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებისადმი უკმაყოფილება ხმამაღალი შეძახილებით გამოხატეს, რის გამოც, სასამართლოს მანდატურებსა და ნორა კვიციანის ოჯახის წევრებს შორის შელაპარაკებაც მოხდა.

ნორა კვიციანის შვილის თაია არლვლიანის განცხადებით, დედამისი, ფაქტობრივად, მძევალია, რადგანაც პროკურატურამ ვერ დააკავა კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული ემზარ კვიციანი და ამის გამო ნორა კვიციანი ტყვედ ჰყავთ აყვანილი.

მისივე თქმით, ჩხალთაში ნორა კვიციანის სახლი გაძარცვულია და ამჟამად მათ სახლში სამხედროები ცხოვრობენ.

ნორა კვიციანის ადვოკატის პაატა ბუჩუკურის განცხადებით, "კარგი იქნებოდა, სასამართლოს აღმკვეთი ღონისძიება არ შეეფარდებინა". გადაწყვეტილების გასაჩივრებას ადვოკატი 48 საათის განმავლობაში თბილისის სააპელაციო სასამართლოში გეგმავს.

ნორა კვიციანი შეეცადა, ჟურნალისტებს გასაუბრებოდა. მისი განცხადებით, იგი 13 წლის განმავლობაში კოდორის ხეობის შენარჩუნებისთვის იბრძოდა და უდანაშაულოა ყველა წარდგენილ ბრალდებაში. თუმცა, კვიციანს განცხადების ბოლომდე გაკეთების საშუალება არ მიეცა - მანდატურებმა იგი სასამართლო დარბაზიდან გაიყვანეს, რასაც ოჯახის წევრების აღშფოთება მოჰყვა.

კოდორის ხეობის სოფელ ჩხალთის ყოფილი გამგებლი ნორა კვიციანი ივლისში, კოდორის ხეობაში ამბოხების მოწყობის მცდელობის შემდეგ დააკავეს. წინასწარი ორთვიანი პატიმრობა მას 30 ივლისს შეეფარდა. კვიციანს ბრალი ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვაში, უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნასა და მასში მონაწილეობაში ედება. ნორა კვიციანს მოგვიანებით ბრალი ფინანსურმა პოლიციამაც წაუყენა - სახელმწიფო ქონების მითვისებისთვის. საქმე ეხება სოფელ ჩხალთაში შეტანილი ჰუმანიტარული ტვირთის არამიზნობრივად განკარგვას. ნორა კვიციანი ყველა ბრალდებას უარყოფს, თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს და აცხადებს, რომ ჩხრეკის დროს მისი სახლიდან ამოღებული იარაღი მის მეუღლეს ეკუთვნოდა, რომელიც 1998 წელს გარდაიცვალა.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში ნორა კვიციანს 5-დან 10 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

*24 საათი*

*მოკლედ*

## ტრენინგი მოსამართლეებისთვის

23-24 სექტემბერს ბაკურიანში თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლეებისა და პრობაციის სამსახურის თანამშრომლებისათვის ორდღიანი სამუშაო სემინარი გაიმართა. სემინარს საქართველოში ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის წარმომადგენლები (NORLAG) უძღვებოდნენ. სემინარი დაეთმო ნორვეგიაში და საქართველოში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ამოქმედების საკითხსა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

"სისხლის სამართლის კოდექსში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა სასჯელის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, რაც, სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის შესაბამისად, ნიშნავს მსჯავრდებულის თავისუფალ დროს უსასყიდლო შრომას, რომლის სახეს განსაზღვრავს ადგილობრივი ორგანო. ამ მუხლის ამოქმედებას ორივე ქვეყნის - ნორვეგიისა და საქართველოს წარმომადგენლები აქტიურად უჭერენ მხარს. სასჯელის ეს სახე - საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, დიდი ხნის მანძილზე უმოქმედო იყო. სასამართლოს, პრობაციის სამსახურსა და თბილისის მერიას შორის მოხდა შეთანხმება, რომლის თანახმადაც, მსჯავრდებულების სამსახურში დასაქმების საკითხს თბილისის მერია უზრუნველყოფს", - განაცხადა თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ გიორგი შავლიაშვილმა.

ნორვეგიაში სასჯელის ეს ღონისძიება 2002 წელს შემოიღეს და მას საზოგადოებისათვის სასარგებლო სანქცია ეწოდება. იგი ავალდებულებს მსჯავრდებულს, თავისუფალ დროს განახორციელოს სოციალურად სასარგებლო მომსახურება, გაიაროს რეაბილიტაციაზე ორიენტირებული პროგრამები ან შეასრულოს სხვა საქმიანობა, რომელიც შესაფერისი იქნება იმისთვის, რომ აღიკვეთოს მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა.

"ჩვენი სურვილი იყო, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ქართველი კოლეგებისთვის ჩვენი გამოცდილება გაგვეზიარებინა. სემინარზე ჩავატარეთ ჯგუფური სამუშაოები. მოსამართლეებმა იმსჯელეს, თუ რომელ კაზუსზე უნდა ყოფილიყო გამოყენებული სასჯელის ეს სახე. დარწმუნებული ვარ, რომ სემინარი ორივე მხარისთვის ნაყოფიერი იყო", - განაცხადა ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის წარმომადგენელმა საქართველოში ივარ სვენსგორმა.

**24 საათი**

## ძებნილებს საზღვარზე აკავებენ

სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის გავლისას რეგიონულ სამმართველო "წითელ ხიდზე" საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ძებნილი საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე დააკავეს. როგორც სასაზღვრო პოლიციაში განაცხადეს, ბოლო ორი დღის განმავლობაში ქართველმა მესაზღვრეებმა საქართველოს ოთხი მოქალაქე დააკავეს, რომლეთაგან სამი ძებნილი იყო. 24 სექტემბერს "სარფში" თურქეთიდან გადმოსვლისას დააკავეს საქართველოს შსს-ს მიერ ძებნილი საქართველოს მოქალაქე, ხოლო 23 სექტემბერს სასაზღვრო სამიგრაციო კონტროლის განყოფილება "სარფში" საქართველოს მოქალაქე თურქეთიდან ყალბი პასპორტით შემოსვლას ცდილობდა. რეგიონული სამმართველო "ლაგოდეხის" სასაზღვრო სამიგრაციო კონტროლის განყოფილება "ცოდნაზე" კი სასაზღვრო საპასპორტო კონტროლის გავლის დროს მესაზღვრეებმა შსს-ს მიერ ძებნილი საქართველოს მოქალაქე დააკავეს. აღნიშნული პიროვნებები შემდგომი რეაგირებისთვის პოლიციას გადაეცნენ.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ადამიანის გამტაცებლები დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ადამინისთვის თავისუფლების აღკვეთაში ეჭვმიტანილები დააკავეს. შს სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მოქალაქის გატაცებაში და 5 ათასი აშშ დოლარის გამოძალვაში ეჭვმიტანილები - მალხაზ ძაგანია, ლაშა გოდოლაძე და ლავრენტი გოგიაშვილი შემთხვევის ადგილიდან აიყვანეს. წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ 2006 წლის 20 სექტემბერს ძაგანიამ, გოდოლაძემ, გოგიაშვილმა მოქალაქე გ.კ. სიცოცხლის მოსპობის მუქარით, დიდი ოდენობით თანხის გამოძალვის მიზნით გაიტაცეს და უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება. ეჭვმიტანილებმა გ.კ.-ს თავდაპირველად 5 ათასი ლარი გამოსძალეს. შეთანხმების მიხედვით კი, მათ კიდევ 5 ათასი ლარი რამდენიმე დღეში უნდა მიეღოთ. ეჭვმიტანილები სწორედ აღნიშნული თანხის აღების პროცესში დააკავეს. პოლიციამ უკვე დაადგინა სახლი, სადაც ეჭვმიტანილებს მძევალი ჰყავდათ დაკავებული; ასევე, სამართალდამცველთა ინფორმაციით, მალხაზ ძაგანია, ლაშა გოდოლაძე და ლავრენტი გოგიაშვილი ნარკოტიკების აქტიური მომხმარებლები არიან. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი აწარმოებს.

*ინტერპრესნიუსი*

## გაცემული პასპორტების რაოდენობა გაიზარდა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული სამსახურებიდან 2006 წლის 8 თვეში 504 594 მოქალაქის პირადობის მოწმობა და 193 893 მოქალაქის პასპორტი გაიცა. 2005 წლის რვა თვის სტატისტიკასთან შედარებით, 2006 წელს გაცემული პასპორტების რაოდენობა 33 323-ით გაიზარდა, ხოლო პირადობის მოწმობებისა - 73 101-ით შემცირდა. როგორც ცნობილია, მოქალაქის პირადობის მოწმობა და პასპორტი განცხადების შეტანიდან მე-10 დღეს გაიცემა. 2006 წლის თებერვლიდან სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ოფისებში ახალი მომსახურება დაინერგა - შესაბამისი საფასურის გადახდის შემთხვევაში, მოქალაქეს საშუალება აქვს, დოკუმენტი დაჩქარებული წესით მიიღოს. იუსტიციის სამინისტროს განცხადებით, ამ მომსახურებით ბევრი მოქალაქე სარგებლობს; მაგალითად, აგვისტოში მოქალაქის პირადობის მოწმობა განცხადების შეტანის დღესვე 4 029-მა მოქალაქემ აიღო, 24 საათის გასვლის შემდეგ კი 1 893-მა. მოქალაქის პასპორტი განცხადების შეტანის დღესვე აიღო 776-მა მოქალაქემ, 24 საათის გასვლის შემდეგ - 458-მა. აღსანიშნავია, რომ 2005-2006 წლებში, წინა წლებთან შედარებით, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სამსახურებიდან გაცემული დოკუმენტების სტატისტიკა მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1995-2004 წლების 8 თვეში გაცემული პირადობის მოწმობის რაოდენობა - 227 ათასს, ხოლო პასპორტების რაოდენობა - 76 ათასს არ აღემატებოდა.

*24 საათი*

# სააგიტაციო ბუკლეტი - სამართლებრივი დევნის მიზეზი

პირველი გვერდიდან



2 ათასი ლარი აგიტატორთან შელაპარაკებისთვის.

როგორც გიორგი ოთიაშვილი აცხადებს, რამდენიმე დღის წინათ მას "ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტმა ორმა ქალბატონმა სახლში სააგიტაციო ბუკლეტები მიუტანა, რის დატოვებაზეც მან უარი განაცხადა, რადგან ამგვარი ბუკლეტი უკვე ჰქონდა. ოთიაშვილის მტკიცებითვე, მისი მხრიდან ბუკლეტების დატოვებაზე უარის თქმას აგიტატორების მხრიდან სიტყვიერი შეურაცხყოფა მოჰყვა, რაც ურთიერთშელაპარაკებაში გადაიზარდა. შაროიანის განცხადებით კი, მას აბრალებენ, რომ მეზობლის დასაცავად ნიჩაბი ეკავა ხელში და იქ მისულ აგიტატორ ქალბატონს გამოეკიდა, რაც, მისი თქმით, სიმართლეს არ შეეფერება. სწორედ ამ ინციდენტიდან რამდენიმე დღეში შეიტყვეს ოთიაშვილმა და შაროიანმა, რომ სასამართლოს მათთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების თაობაზე უნდა ემსჯელა.

"ადამიანების თანასწორუფლებიანობის დარღვევა," - ასეთი გახლავთ ბრალდება, რაც, პროკურატურის მტკიცებით, გამოიხატა იმაში, რომ ოთიაშვილმა და შაროიანმა "ნაციონალური მოძრაობის" აგიტატორებს საკუთარი მოვალეობის შესრულებაში ხელი შეუშალეს.

ბრალდებულების ადვოკატები აცხადებენ, რომ მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, კანონით, არ უნდა დაწყებულიყო მათი დაცვის ქვეშ მყოფების სამართლებრივი დევნა და არც მართლმსაჯულებას უნდა გამოეყენებინა მათ მიმართ აღმკვეთი ღონისძიების არანაირი ფორმა. ადვოკატების მტკიცებითვე, პირიქით - "ნაციონალური მოძრაობის" მხარდამჭერმა, საქმეში დაზარალებულად ცნობილმა აგიტატორმა მარინე გადელიამ დაარღვია ადამიანის კონსტიტუციური უფლება - თავისუფლად გამოხატოს თავისი პოლიტიკური შეხედულებები.

**"პროკურატურისა და სასამართლოს ასეთი მოქმედება ადამიანების მიმართ პოლიტიკური დევნის აშკარა მაგალითია,"** - აცხადებს ოთიაშვილის ინტერესების დამცველი ეკა ბესელია. მან სასამართლო პროცესზე გამოძიების პროცესში მომხდარ დარღვევებზე ისაუბრა. ადვოკატის განმარტებით, ბრალდებულს საშუალება არ ჰქონდა, გაცნობოდა საქმის მასალებს და ამოცნობის პროცედურაც კანონდარღვევით ჩატარდა.

**"მოსამართლის ბრძანებას სააპელაციო სასამართლოში გავასაჩივრებთ, რადგან ოთიაშვილი და შაროიანი თავს დამნაშავეებად არ თვლიან და თანხის გადახდის საშუალება არა აქვთ. ერთი ინვალიდია, მეორე კი დიაბეტით არის დაავადებული,"** - აცხადებს ეკა ბესელია.

**"ჩემი პენსია 280 ლარია, პოლკოვნიკი, მე-2 ჯგუფის ინვალიდი, გულით ავადმყოფი ვარ, რომ არ ვჭამო და წამალიც არ მივიღო, ამ თანხას ერთი წლის განმავლობაში ვერ დავფარავ. 30-წლიანი სამსახურის შემდეგ, როგორც ჩანს, ეს დავიმსახურე,"** - განაცხადა სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ გიორგი ოთიაშვილმა.

**"ნებისმიერი დანაშაული დასჯადია და რა სიმძიმისაც უნდა იყოს იგი, პოლიტიკური მიზნების გამო, მისი გამართლება არ შეიძლება. ოპოზიციას საზოგადოება შეცდომაში შეჰყავს და ფაქტებს ამახინჯებს,"** - ასეთი პასუხი გასცა ოპოზიციას თბილისის პროკურორმა საგანგებოდ და ოპერატიულად მოწყობილ ბრიფინგზე. გიორგი ღვინიაშვილის განცხადებით, ნებისმიერი დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ პასუხისმგებლობის საკითხი აუცილებლად დადგება.

**"ისევე, როგორც პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელს აქვს უფლება, აწარმოოს საარჩევნო აგიტაცია, ასევე ნებისმიერ პირს აქვს უფლება, უარი განაცხადოს საარჩევნო ბუკლეტის დატოვებაზე, თუმცა არავის აქვს უფლება, ბარით დაემუქროს ადამიანებს,"** - ასეთი გახლავთ თბილისის პროკურორის განცხადება.

*24 საათი*

# სამშობლოს ღალატში ბრალდებულთა პროტესტის უკიდურესი ფორმა

*საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლის შეთქმულებაში ბრალდებულები და მათი ადვოკატები უდანაშაულობის დამტკიცებას ცდილობენ და იმისათვის, რომ საზოგადოებამდე საკუთარი სიმართლე მიიტანონ, პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართავენ.*

თორმეტიდან ორი "შეთქმული" - ზაზა დავითაია და ვახტანგ ტალახაძე, მათივე თქმით, "პოლიტიკური ტერორის" წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, უკვე მე-18 დღეა შიმშილობენ. როგორც ადვოკატი გიორგი ამანათაშვილი აცხადებს, დავითაია დაკითხვას და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას მოითხოვს. თუმცა, ბრალდებულების პროტესტის უკიდურეს ფორმაზე სამართალდამცველებს რეაგირება დღემდე არ მოუხდენიათ. ამიტომაც სამშობლოს ღალატში ბრალდებულებმა საპყრობილიდან საქართველოს მოსახლეობისადმი მიმართვა გაავრცელეს.

**"6 სექტემბერს მთელი საქართველოს მასშტაბით პოლიტიკური რეპრესიების ახალი ტალღა დაიწყო - რამდენიმე ათეული ადამიანი დააკავეს, რომელთაგან 12 დღესაც პატიმრობაშია. ხელისუფლება დაკავებულებისთვის სამშობლოს მოღალატის იარლიყის მიკერებას ცდილობს,"** - ნათქვამია დავითაიას და ტალახაძის მიმართვაში.

როგორც მოშიმშილეები განმარტავენ, დაკავებულთა ბრალდებები ხელოვნურად არის შეთითხნილი და მასობრივი დაპატიმრებები მხოლოდ ხალხის დაშინებისკენაა მიმართული. მიმართვის ავტორები ხაზს უსვამენ ფარული მოწმეების ახლად დამკვიდრებულ ინსტიტუტს და აღნიშნავენ, რომ მათ საქმეში არსებულ ფარულ მოწმეთა ვინაობა და მათი ჩვენების შინაარსი ბრალდებულებისთვის ამ დრომდე უცნობია.

**"ჩვენ მოვდივართ ეროვნული მოძრაობიდან და ამ ბრძოლის გზაზე სამშობლოსთვის მრავალი სირთულე და წინააღმდეგობა გადაგვილახავს. თუმცა ჩვენი გზა ყოველთვის იყო და არის მხოლოდ მშვიდობიანი. მოვუწოდებთ საზოგადოებას, ადამიანის უფლებათა დამცველებსა და პოლიტიკოსებს - ხმა აიმაღლეთ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა დასაცავად. გაჩუმება და ხელისუფლების უსამართლო ქმედებებზე თვალის დახუჭვა იმის გარანტიაა, რომ ხვალ პოლიტიკური რეპრესიები თითოეულ თქვენგანს შეიძლება შეეხოს. ამის შედეგად კი, მრავალი პატრიოტი შეიძლება ციხეში სამშობლოს მოღალატის ბრალდებით აღმოჩნდეს,"** - ნათქვამია მიმართვაში.

6 სექტემბერს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ იგორ გიორგაძის მომხრე პარტიების 29 წარმომადგენელი დააკავა, თუმცა საბოლოოდ ბრალი 13 მათგანს წაუყენა. იგორ გიორგაძის პარტია "სამართლიანობის" და მისი სატელიტი ორგანიზაციების ლიდერები: თემურ ჟორჟოლიანი, გურამ პაპუკაშვილი, ვახტანგ ტალახაძე, ვარლამ გალდავა, რამაზ სამნიძე, მაია თოფურია, გიორგი ახობაძე, რევაზ გულია, იაკობ კვინიკაძე, ზაზა დავითაია, კახა ქანთარია და გიორგი მეტრეველი დღემდე პატიმრობაში არიან. მაია ნიკოლეიშვილმა კი ბრალი აღიარა და საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს.

დანარჩენებისგან განსხვავებით კახა ქანთარიას დამატებით ბრალი ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვაში წაუყენეს.

რაც შეეხება დავითაიას და ტალახაძის 18-დღიან შიმშილობას, რის გამოც, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა უკვე გართულებულია, როგორც ადვოკატი გიორგი ამანათაშვილი აცხადებს, ბრალდებულებმა პატრიარქის თხოვნის შემდეგ შესაძლოა, შიმშილობა შეწყვიტონ.

*24 საათი*



# ჩემი ოჯახი

## და მეგობრები

### მაგთის ახალი სატარიფო გეგმა




**ესაუბრეთ უახლოეს ადამიანებს განსხვავებული, დაბალი ტარიფით!**

**მაგთის საშუალებით აჩუქეთ მათ სალაპარაკო დრო მაშინ, როცა დაურეკავთ!**

**როგორ?**
ააქტიურებთ სატარიფო გეგმას, ირჩევთ ერთი, ორი ან სამი უახლოესი ადამიანის ნომერს (მაგთის ან ბალის აბონენტებს) და სატარიფო გეგმის გააქტიურებიდან 30 დღის განმავლობაში მათთან საუბრობთ დაბალი ტარიფით: წუთში 24 თეთრად.

**30 დღე იწურება?**
ხელახლა აკრიფეთ აქტივაციის კოდი და ისარგებლეთ იგივე პირობით.

**„ჩემი ოჯახი და მეგობრები" საჩუქრის გაკეთების საშუალებასაც გაძლევთ!**

— ელაპარაკეთ თქვენს მიერ არჩეულ უახლოეს ადამიანებს და ყოველი წუთიდან ისინი საჩუქრად 10 წამს მიიღებენ, თქვენგან და მაგთისგან! 31 დეკემბრამდე!

— ასე დაგროვილ დროს ისინი გამოიყენებენ მაგთის და ბალის აბონენტებთან სასაუბროდ.

**სატარიფო გეგმის გააქტიურება**
აკრიფეთ 44300191 და OK.
აქტივაციის ღირებულებაა 3 ლარი

**ნომრის არჩევა ჯგუფის შექმნის მიზნით**
აკრიფეთ 44300192, მაგთის ან ბალის 9-ნიშნა ნომერი (899XXXXXX, 895XXXXXX ან 898XXXXXX) და OK.

— ჯგუფში ჩაწერილი ნომერი შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ 30 დღის შემდეგ.

— ჯგუფში ნომრის შეცვლა ხდება ერთ-ერთი ნომრის ამოშლით და მის ნაცვლად სხვა ნომრის არჩევით.

**ნომრის ამოშლა ჯგუფიდან**
აკრიფეთ 44300190, 9-ნიშნა ნომერი და OK.

**სატარიფო გეგმის სტატუსის შემოწმება**
აკრიფეთ 44300199 და OK.

**გთხოვთ გაითვალისწინოთ:**
სატარიფო გეგმით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ მაგთის წინასწარი გადახდის აბონენტებს.

მაგთიკომი იტოვებს უფლებას შეცვალოს აქციის პირობები, რის შესახებაც 30 დღით ადრე აცნობებს მომხმარებლებს

25 11 11 25 00 00 525
www.magticom.ge

მაგთი MAGTI
...კავშირი თქვენს სამყაროსთან

# ჩეჩნებსა და ინგუშებს შორის მომხდარმა შეტაკებამ ჩრდილოეთ კავკასია შოკში ჩააგდო

*სისხლიანი შეტაკების შემდეგ მეზობელი რესპუბლიკები შურისძიებაზე ფიქრობენ.*

უმალტ დუდაევი,
ნაზრანი

ჩეჩენ და ინგუშ მილიციელებს შორის მძიმე შედეგებით დამთავრებული შეტაკების შემდეგ ორი რესპუბლიკის სამართალდამცავი სტრუქტურების ურთიერთობაში უპრეცედენტო კრიზისი დაიწყო.

13 სექტემბერს სოფელ ორჯონიკიძევსკაიას მახლობლად მომხდარი ინციდენტის დროს რვა მილიციელი დაიღუპა და რამდენიმე დაიჭრა.

როგორც ჩეჩნეთის, ისე ინგუშეთის ხელმძღვანელებმა ინციდენტს „ტრაგიკული შეცდომა“ უწოდეს და იმედი გამოთქვეს, რომ ის ეთნიკურად მონათესავე ხალხებით დასახლებულ რესპუბლიკებს შორის ურთიერთობებს არ გაართულებს.

ორივე მხარის მილიციელები კი თავიანთი კოლეგების სიკვდილში ერთმანეთს ადანაშაულებენ და შურისძიებაზე საუბრობენ.

ჩეჩნების ვერსიით, ინგუშეთის საგზაო მილიციამ ჩეჩნეთის სპეცდანიშნულების რაზმის წევრებს ცეცხლი გაუფრთხილებლად მაშინ გაუხსნა, როცა ისინი ერთ-ერთი ადგილობრივი ინგუშის დაკავების მიზნით განხორციელებული სპეცოპერაციის შემდეგ შინ ბრუნდებოდნენ.

„ჯგუფი ადგილობრივი მცხოვრების, ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტის ტემურზაევის დასაპატიმრებლად სოფელ იანდარეში იყო ჩასული. მას ჩეჩნეთში სხვადასხვა დანაშაულის ჩადენაში ედება ბრალი“, – განუცხადა IWPR-ს ჩეჩენმა მილიციელმა მაგომედმა.

მაგომედი მომხდარს ასე აღწერს: როდესაც სპეცრაზმელები მობრუნდნენ მილიციის ბლოკპოსტთან, რომელიც ინგუშეთში შესვლისას გაიარეს, მათ სამ მანქანას (ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ლურჯი სანომრე ნიშნებით) ავტომატური იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს. მისივე თქმით, თავდამსხმელები ინგუში მილიციელები და ნიღბიანი სამოქალაქო პირები იყვნენ. მოგვიანებით ისინი ორჯონიკიძევსკაიასაკენ ავტობუსით გაემგზავრნენ.

ინგუშების ვერსია სრულიად განსხვავებულია. მათი თქმით, ცეცხლი პირველად ჩეჩნებმა გახსნეს, როდესაც ინგუშეთის პატრულმა მათი მანქანების გაჩერება მოითხოვა. გარდა ამისა, მანქანებში მსხდომმა პირებმა საბუთები არ წარმოადგინეს, ხოლო როდესაც ინგუშმა მილიციელებმა მანქანებში ორი ხელბორკილებიანი და თავზე ტომარაწამოცმული ადამიანი შეამჩნიეს, ჩეჩნებმა სროლა ატეხეს.

ამის შემდეგ დაწყებული ბრძოლა მხოლოდ მაშინ დამთავრდა, როდესაც ადგილზე ორივე რესპუბლიკის მილიციის მაღალჩინოსნები და რუსი სამხედროები გამოჩნდნენ.

დაიღუპა ექვსი ჩეჩენი სპეცრაზმელი (მათ შორის რაზმის მეთაურის მოადგილე ბუვადი დახიევი) და ორი ინგუში, რომელთაგან ერთ-ერთი – უფროსი კაპიტანი მაგომედ ხაძიევი იყო. გარდა ამისა, დაიჭრა ხუთი ჩეჩენი და ცხრა ინგუში.

ინგუშეთის პრეზიდენტმა მურატ ზიაზიკოვმა და ჩეჩნეთის პრემიერ-მინისტრმა და ფაქტობრივმა ხელმძღვანელმა რამზან კადიროვმა მომხდარს „ტრაგიკული ინციდენტი“ უწოდეს. მათ ხალხს სიმშვიდისაკენ მოუწოდეს. მიუხედავად ამისა, ინციდენტმა ორივე რესპუბლიკაში უკიდურესი გაღიზიანება გამოიწვია.

„ჩეჩნეთსა და ინგუშეთში სისხლის აღების წესი არავის გაუუქმებია. ეს პრობლემა საბჭოთა ხელისუფლებამაც კი ვერ გადაჭრა. დაღუპულ და დაჭრილ ჩეჩენ და ინგუშ მილიციელებს ნათესავები და მეგობრები ჰყავთ. შესაბამისად, ყველაფერი შეიძლება მოხდეს“, – ამბობს გროზნოს 55 წლის მცხოვრები საიდ სულეიმანოვი.

უფრო გულახდილი იყო ისა კოსტოევი, ინგუშეთის წარმომადგენელი რუსეთის პარლამენტის ზედა პალატაში (ფედერაციის საბჭოში). მან განაცხადა, რომ თუ ინგუშეთში ჩეჩნეთის სამართალდამცავების მრავალწლიან დაუსჯელ მოქმედებას გავითვალისწინებთ, ის, რაც 13 სექტემბერს სოფელ ორჯონიკიძევსკაიას მახლობლად მოხდა, გარდაუვალი იყო.

„მომბეზრდა იმის ყურება, თუ როგორ ამცირებენ მთელ ჩვენს რესპუბლიკას და ხალხს. უკვე რამდენი წელია ინგუშეთის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების ასობით წარმომადგენელი იღუპება როგორც ოსეთიდან, ისე ჩეჩნეთიდან განხორციელებული უსანქციო და შეუთანხმებელი გამოხდომების გამო. დროა, ამას ბოლო მოეღოს. ჩემი მონაცემებით, ამ გამოხდომების შედეგად ინგუშეთის შინაგან საქმეთა ორგანოების სამასამდე თანამშრომელი დაიღუპა“, – განუცხადა კოსტოევმა რადიო „ეხო მოსკვის“.

კოსტოევმა თავის თანამემამულეებსაც მიმართა. „თუ ვინმე მოვა და თქვენს ჩხრეკას დაიწყებს ან ინგუშეთის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა დაუსწრებლად დაგაკავებთ, მოგიწოდებთ, ყველა საშუალებით შეეწინააღმდეგოთ, თუნდაც ფიზიკურად. ჩარიეთ საქმეში მთელი სოფელი, მთელი ქუჩა“, – განაცხადა მან.

მკვეთრი გამონათქვამები არც ინგუშეთის უშიშროების საბჭოს მდივანს ბაშირ აუშევს დაუშურებია. „მათ ჩვენს რესპუბლიკაში ბატონობის საშუალებას არ მივცემთ. ჩვენთან კადიროვის სინდრომი არ გაუვათ“, – განაცხადა მან ტრაგედიის მეორე დღეს.

აუშევმა იგულისხმა ჩეჩნეთის პრემიერ-მინისტრ კადიროვისადმი დაქვემდებარებული შეიარაღებული პირები, ე.წ. კადიროველები, რომლებიც, როგორც ამბობენ, არავის ემორჩილებიან და ადამიანის უფლებებს არღვევენ.

ინციდენტმა არანაკლებ აღაშფოთა მოსკოვის ერთგული ჩეჩნეთის პრეზიდენტი ალუ ალხანოვი, რომელიც წარმოშობით დაღუპული მეთაურის დახიევის სოფელ ურუს-მარტანიდანაა. იგი ჩეჩნეთის პირველ ომში სწორედ დახიევთან და მოსკოვისადმი ერთგულ სხვა ძალებთან ერთად იბრძოდა.

14 სექტემბერს გარდაცვლილის დაკრძალვის შემდეგ ალხანოვმა განაცხადა, რომ დახიევსა და მის ამხანაგებს უღალატეს. „ერთი რამ უნდა ვიცოდეთ და გვახსოვდეს – ბუვადი დახიევი და მისი ამხანაგები ამ რესპუბლიკაში თავიანთ პროფესიულ მოვალეობას ასრულებდნენ. რაც მათ დაემართათ, ღალატის შედეგია“, – თქვა მან.

ცნობილი რუსი ჟურნალისტი და ექსპერტი ჩრდილოეთ კავკასიის საკითხებში ანა პოლიტკოვსკაია ამბობს, რომ ჩეჩნებისა და ინგუშების დაპირისპირება დიდი ხანია მწიფდება.

„ინგუშ და ჩეჩენ სამართალდამცავებს შორის ურთიერთობა უცაბედად არ გაუარესებულა. საკმაოდ დიდხანს ამაზე უბრალოდ არ საუბრობდნენ. ახლა კი ეს მხოლოდ ვიწრო წრემ როდი იცის“, – თქვა მან.

პოლიტკოვსკაიას თქმით, უკვე დიდი ხანია, ჩეჩნეთის სამართალდამცავები ინგუშეთის ტერიტორიაზე შემოდიან და ხალხს ადგილობრივი მილიციის თანხმობის გარეშე აკავებენ.

„როდესაც „კადიროველები“ მეტისმეტად გათავხედდნენ და 7 სექტემბერს რამდენიმე ინგუში პოლიციელი მხეცურად სცემეს, ინგუშები შეთანხმდნენ, რომ თუ შემდგომში „კადიროველებს“ გადაეყრებოდნენ, თავიანთ ტერიტორიაზე არ შემოუშვებდნენ; პირიქით, შეებრძოლებოდნენ და რესპუბლიკიდან განდევნიდნენ“, – განაცხადა პოლიტკოვსკაიამ.

ამჟამად ინციდენტს რუსეთის პროკურატურა იძიებს. შექმნილია საგანგებო საგამოძიებო ჯგუფი, რომელშიც არც ჩეჩნები შედიან და არც ინგუშები.

ორივე რესპუბლიკის ხელისუფლება დაპირებას იძლევა, რომ დაჭრილებსა და დაღუპულთა ოჯახებს დაეხმარება, მაგრამ ცოტას თუ სჯერა, რომ საქმე ამით დამთავრდება.

„მინდა მჯეროდეს, რომ ასეთი რამ არ განმეორდება“, – ამბობს მარხა ისაევა. მისი შვილი, რომელიც მილიციის თანამშრომელი იყო, ორი წლის წინ მოკლეს.

„საშინელებაა, როცა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, რომლებიც ხალხს ბანდიტებისა და კრიმინალებისაგან უნდა იცავდნენ, ერთმანეთს ესვრიან. ვინც არ უნდა იყონ დამნაშავეები, უნდა დაისაჯონ“, – დასძენს იგი.

ამასობაში კი სხვები შურისძიებაზე ფიქრობენ.

„ჩვენი ამხანაგები პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს მუხანათურად მოკლეს. არა აქვს მნიშვნელობა, სად მოხდა ეს – ჩეჩნეთში, დაღესტანში თუ ინგუშეთში“, – თქვა ჩეჩენმა სპეცრაზმელმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა.

„ჯერ გამოძიების შედეგებს დაველოდებით. თუ ამ მკვლელობებში ყველა დამნაშავე კანონის შესაბამისად მკაცრად არ დაისჯება, მათ ჩვენი წინაპრების კანონების მიხედვით ჩვენ თვითონ დავსჯით“, – დასძინა მან.

www.iwpr.net

# ადიღეს ხელისუფლებას ანგარების მიზნით ისტორიის გაყალბებაში ადანაშაულებენ

*ხელისუფლების ინიციატივამ ადიღეს რუსეთთან შეერთების 450 წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნის შესახებ ჩერქეზები აღაშფოთა.*

ოლეგ ცვეტკოვი,
მაიკოპი

ადგილობრივი ხელისუფლების ინიციატივამ ადიღეს რუსეთთან „შეერთების“ 450 წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნის შესახებ, რესპუბლიკის მოსახლეობა უკიდურესად გააღიზიანა. ადიღელები, რომლებსაც ჩერქეზების სახელითაც იცნობენ, ფედერალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას პოლიტიკური მოგების მიზნით ისტორიის გაყალბებაში სდებენ ბრალს.

8 სექტემბერს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას, რომელიც 2007 წელს ადიღეში ჩრდილოეთ კავკასიის ამ რესპუბლიკის „რუსეთის სახელმწიფოსთან ნებაყოფლობით შეერთების“ საზეიმო აღნიშვნას ითვალისწინებს. ანალოგიური ღონისძიებები დაგეგმილია ყაბარდო-ბალყარეთშიც, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას ასევე ჩერქეზული ეთნოსის წარმომადგენლები – ყაბარდოელები შეადგენენ.

1557 წელს მოსკოვში ელჩად ყაბარდოელი თავადი გაიგზავნა, რასაც რუსეთის მეფესთან – ივანე მრისხანესთან სამხედრო კავშირის გაფორმება მოჰყვა. საზეიმო ღონისძიებებიც სწორედ ამ თარიღთანაა დაკავშირებული.

აღნიშნული ინიციატივით ადიღეს ადგილობრივი მთავრობა გამოვიდა და მას მხარი პარლამენტმაც დაუჭირა.

„დაგეგმილ ღონისძიებებს ძალიან სერიოზულად ვეკიდებით“, – განაცხადა ადგილობრივი პარლამენტის ეროვნებათაშორისი ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარემ იური უდიჩაკმა.

„რუსეთთან შეერთების შედეგად ადიღეელები დიდი რუსი ხალხის კულტურას მჭიდროდ დავუკავშირდით და საკუთარი კულტურის განვითარების შესაძლებლობა მოგვეცა. დღეს ადიღეში ორი უნივერსიტეტი და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებია. ადიღეელები რუსულად ძალიან კარგად ლაპარაკობენ, რაც რუს ხალხთან მათ სიახლოვეზე მიუთითებს“, – დასძინა მან. შეკითხვაზე, ნამდვილად ნებაყოფლობით შეუერთდა თუ არა ადიღე რუსეთს, უდიჩაკმა უპასუხა – „ძალა არავისთვის დაუტანებიათ. რა საჭიროა ისტორიის შეცვლა?“

უდიჩაკისაგან განსხვავებით, დაგეგმილმა ღონისძიებებმა მრავალი ჩერქეზი პოლიტიკოსისა და აქტივისტის აღშფოთება გამოიწვია. მათი თქმით, მთავრობის განზრახვას საფუძვლად „ისტორიის ფალსიფიკაცია“ უდევს, რადგან ყურადღება არ ექცევა იმას, რომ XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის მიერ მათი მიწების მიტაცებას ჩერქეზები ათწლეულების განმავლობაში ეწინააღმდეგებოდნენ.

„რუსეთის იმპერიამ ადიღე რუსეთ-კავკასიის თითქმის ასწლიანი სისხლიანი ომის შედეგად დაიპყრო. ამ ფაქტს ყველა პატიოსანი ისტორიკოსი აღიარებს. ჩვენ გვინდა, რომ სიმართლე რუსეთის ხელისუფლებამაც აღიაროს“, – უთხრა IWPR-ს ჩერქეზთა კონგრესის თავმჯდომარის მოადგილემ ზაურ ძეუკოჟევმა.

„არასწორია იმის საზეიმოდ აღნიშვნა, რაც არასოდეს მომხდარა. რუსეთს ნებაყოფლობით რომ შევერთებოდით, XIX საუკუნის რუსეთ-კავკასიის ომი იქნებოდა არა სახალხო-განმათავისუფლებელი ომი, არამედ ხალხის აჯანყება საკუთარი მეფის წინააღმდეგ... აი, ასე შეუძლია ერთ თარიღს ხალხის ისტორიის შეცვლა, გმირებისა და თავისუფლებისათვის მებრძოლების ყაჩაღებად გამოცხადება“, – დასძინა მან.

კიდევ ერთ ეროვნულ ჩერქეზულ ორგანიზაციაში, როგორც ჩანს, ამ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა.

„(მოსკოვს) უბრალოდ უნდა შექმნას შთაბეჭდილება, რომ ეროვნებათაშორისი ურთიერთობების გაუმჯობესებას ცდილობს, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლება ამაზე ცოტაოდენ ფულს გააკეთებს“, – ამბობს ჩერქეზული ორგანიზაციის „ადიგა ხასას“ ქალაქ ადიგეისკის განყოფილების ხელმძღვანელი ალი ტლიაპი.

„ადიგა ხასას“ კიდევ ერთი ხელმძღვანელის ამინ ზეხოვის თქმით, წარსულში ჩერქეზები ნამდვილად ემსახურებოდნენ რუსეთის სახელმწიფოს და გამოჩენილი მხედართმთავრებიც იყვნენ.

„მაგრამ სიმართლე რუსულ-კავკასიურ ომზეც უნდა ითქვას. ამ ომის შედეგად ადიღე კოლონიად იქცა. როგორ შეიძლება ამდენი სისხლის შემდეგ ნებაყოფლობით შეერთებაზე საუბარი?“ – თქვა მან.

ამ შენიშვნების მიუხედავად, მომავალი წლისათვის დაგეგმილ ღონისძიებას „ადიგა ხასა“ ოფიციალურად უჭერს მხარს, რადგან ჩერქეზებსა და რუსებს მეგობრული ურთიერთობა კავკასიურ ომამდე დიდი ხნით ადრე ჰქონდათ.

ზაურ ძეუკოჟევი კი ამბობს, რომ ამ ორგანიზაციის მხარდაჭერას ფინანსური საფუძველი აქვს. მისი თქმით, „ადიგა ხასას“ წარმომადგენლებმა პირად საუბრებში აღიარეს, რომ საზეიმო ღონისძიებები ისტორიულად გაუმართლებელია, მაგრამ მათი საშუალებით ფულის შოვნა შეიძლება.

„ადიგა ხასას“ წევრები „დიდი მწერლები“ და „დიდი კომპოზიტორები“ არიან, რომლებსაც ცოტაოდენი ფულის შოვნა უნდათ. მათ რესპუბლიკის ბიუროკრატიასთან ურთიერთობის გაფუჭება არ სურთ“, – თქვა ძეუკოჟევმა.

კავკასიური ომი XIX საუკუნის 60-იან წლებში დამთავრდა. ამას რუსეთის იმპერიიდან ახლო აღმოსავლეთსა და თურქეთში ათიათასობით ჩერქეზის გაძევება მოჰყვა. ამის შედეგად ამჟამად საზღვარგარეთ ჩერქეზების რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე თვით ჩრდილოეთ კავკასიაში. აქ დარჩენილები ძირითადად სამ პატარა ავტონომიურ რესპუბლიკაში ცხოვრობენ – ადიღეში, ყაბარდო-ბალყარეთსა და ყარაჩაეთ-ჩერქეზეთში.

როგორც სირიაში დაბადებული და ჩრდილოეთ კავკასიაში საცხოვრებლად ახლახან გადმოსული რუშდი ტუგუზი ამბობს, ადიღე რომ რუსეთს ნებაყოფლობით შეერთებოდა, მისი წინაპრები XIX საუკუნეში ახლო აღმოსავლეთში არ გაიქცეოდნენ. „მლაშე წყალს რომ მტკნარი შეურიო, კარგი არაფერი გამოვა“, – ამბობს ტუგუზი.

ადიღეს მოსახლეობის უმრავლესობა რუსები არიან, ხოლო ეთნიკური ადიღეელები მოსახლეობის მხოლოდ 25 პროცენტს შეადგენენ. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის პოლიტიკური ელიტა ძირითადად ადიღეელებისაგან შედგება, რაც ადგილობრივი რუსული ორგანიზაციების მუდმივი უკმაყოფილების საგანია. საზეიმო ღონისძიებების მიმართ ეს უკანასკნელნიც კრიტიკულად არიან განწყობილნი.

„ეროვნულმა ელიტამ საკუთარი ხალხის ისტორიას უღალატა“, – ამბობს „ადიღეს სლავთა კავშირის“ ერთ-ერთი ლიდერი ვლადიმერ კარატაევი, რომლის ორგანიზაციასაც ხშირად აქვს უთანხმოება ჩერქეზულ ჯგუფებთან.

მაიკოპში იმასაც ამბობენ, რომ პრეზიდენტ პუტინის ბრძანებულება მოსკოვის მიერ პიარის გაკეთების მცდელობაა. რუსეთს ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებთან ურთიერთობის სერიოზული პოლიტიკა შემუშავებული არ აქვს და ამის ანაზღაურებას მსგავსი აქციებით ცდილობს.

არსებობს მოსაზრებაც, რომ საზეიმო ღონისძიებების მიზანი მოსკოვსა და ადგილობრივ ელიტას შორის არსებული უთანხმოების მიჩქმალვაა.

როდესაც მიმდინარე წლის დასაწყისში გავრცელდა ცნობა, რომ სამხრეთ ფედერალურ ოლქში რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენელი დიმიტრი კოზაკი მხარს უჭერს ადიღეს ავტონომიური სტატუსის გაუქმებისა და რესპუბლიკის კრასნოდარის მხარისათვის მიერთების გეგმას, ადიღეს პრეზიდენტი ხაზრეტ სოვმენი კოზაკს ღიად დაუპირისპირდა და გადადგომით დაიმუქრა.

გადადგომის თაობაზე სოვმენის განცხადება პუტინმა არ დააკმაყოფილა, თუმცა მაიკოპსა და მოსკოვს შორის ურთიერთობები სერიოზულად გართულდა.

ამასობაში საპარლამენტო ოპოზიცია სოვმენისათვის უნდობლობის გამოცხადებას აპირებს. 13 სექტემბერს თანამდებობიდან პრემიერ-მინისტრი ევგენი კოვალიოვი გადააყენეს.

სოვმენის პრეზიდენტობის ვადა 2007 წლის იანვარში იწურება და მისი შემცვლელი კი არ აირჩევა, არამედ დაინიშნება. დასანიშნი კანდიდატების სიას კი პრეზიდენტ პუტინს დასამტკიცებლად სწორედ კოზაკი წარუდგენს. სიაში მოხვედრის ერთ-ერთი საშუალება საზეიმო ღონისძიებების მხარდაჭერაც შეიძლება იყოს.

www.iwpr.net

institute for war & peace reporting

ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური (CRS) გთავაზობთ უნიკალურ შესაძლებლობას გაეცნოთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებს ადგილობრივ მიმომხილველთა თვალსაზრისით. სამსახური ფუნქციონირებს IWPR-ის კავკასიის პროექტის ფარგლებში. პროექტის მიზანია მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი საშუალებების მხარდაჭერა და მსოფლიო საზოგადოებისთვის რეგიონის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

ომისა და გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური მუშაობს დიდი ბრიტანეთის მთავრობის, ევროკავშირისა და ფინეთის მთავრობის მხარდაჭერით.

კავკასიის საინფორმაციო სამსახურის ქართულენოვანი გამოშვების გამოსაწერად მიმართეთ: geocrs@iwpr.ge

# საქართველო: უკანასკნელი კოლმეურნეობა

*მიწის რეფორმა შესაძლოა საქართველოში მცხოვრებ დუხობორთა თემის დაშლის მიზეზი გახდეს.*

ოლესია ვართანიანი,
გორელოვკა

ჯერ მხოლოდ დილის ექვსი საათია, ტრაქტორისტ ოლეგის სახლთან კი უკვე ჩოჩქოლია ატეხილი.Yყველა ადგილობრივი მცხოვრები ცდილობს, რომ ბალახის სათიბად საკუთარ ნაკვეთზე მოძველებული ტრაქტორი პირველმა წაიყვანოს.

„ყველას უცებ მოუნდა თიბვა. უკვე ღამღამობითაც ვმუშაობთ, მაგრამ მაინც ვერ ვასწრებთ“, – საყვედურით აღნიშნა ოლეგმა.

რუსული სოფლის – გორელოვკასთვის, რომელიც საქართველოს სამხრეთში, სომხეთის საზღვარზე მდებარე სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მდებარეობს, მოსავლის აღების სეზონზე ასეთი ციებ-ცხელება ჩვეულებრივი მოვლენაა.

ყველაფერი მიწის რეფორმის შედეგია, რომელიც საქართველოში ჯერ კიდევ 1992 წელს დაიწყო, მაგრამ გორელოვკაში მხოლოდ ამ ზაფხულს ჩააღწია. ახლა გლეხებმა ყველაფერი თავად უნდა მოაგვარონ. ამიტომ გამოცდილ ტრაქტორისტებს იმაზე მეტი სამუშაო აქვთ, ვიდრე თავის გართმევა შეუძლიათ.

გლეხებმა მხოლოდ თიბვის სეზონის დაწყების შემდეგ აღმოაჩინეს, რომ საკუთარი მიწის მიღების უფლება აქვთ. თუმცა ამ ახალმა ამბავმა სოფლის ბევრი იმ მაცხოვრებელის აღშფოთება გამოიწვია, რომლებსაც სოფლის კოლექტიური ფერმის დაშლა არ სურთ. გორელოვკას ფერმა საქართველოში საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი ერთადერთი კოლმეურნეობაა.

გორელოვკა ძირითადად დუხობორებით არის დასახლებული. რუსი დუხობორები მართლმადიდებლობის იშვიათი მიმართულების მიმდევრები არიან. ისინი რუსეთიდან კავკასიაში მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში პაციფისტური შეხედულებებისა და რწმენის გამო გადმოასახლეს.

თხუთმეტი წლის წინ დუხობორები ამ რეგიონის რვა სოფელში ცხოვრობენ. დღეს ერთ დროს 7 ათასიანი მოსახლეობიდან მხოლოდ რამდენიმე ასეული ადამიანიღა დარჩა. (იხილეთ სპეცრეპორტაჟი: ქართველი დუხობორების უკანასკნელი დღეები, ჩღშ 254, 2004 წლის 3 სექტემბერი)

სასოფლო სამეურნეო კოოპერატივი „დუხობორეცი“, რომელსაც გორელოვკელი რუსები ახლაც ძველი კომუნისტური სახელწოდებით – „კოლმეურნეობით“ მოიხსენიებენ, მოსახლეობამ 1997 წელს დააარსა. ფერმა ლენინის სახელობის კოლექტივის ბაზაზე შეიქმნა და საბჭოთა დროინდელი კოლმეურნეობის ტრადიციები შეინარჩუნა.

მიუხედავად იმისა, რომ დუხობორები გორელოვკის მოსახლეობის მხოლოდ ნახევარს შეადგენდნენ, ფერმის კუთვნილი მიწის გამოყენება მხოლოდ მათ შეეძლოთ. რუსების გარდა გორელოვკაში სომხები და ქართველებიც ცხოვრობენ. ისინი სოფელში გასული საუკუნის 90-იან წლებში გადმოსახლდნენ, როცა დუხობორებმა რეგიონის დატოვება დაიწყეს. სომხებსა და ქართველებს „დუხობორეცში“ მუშაობის უფლება არ ჰქონდათ და თავიანთი საქონლისთვის თივას ფერმიდან ყიდულობდნენ.

კომუნისტური პერიოდის მსგავსად, კოლექტიური ფერმა დუხობორთა თითოეულ ოჯახს მიწის მცირე ნაკვეთით უზრუნველყოფდა. ნაკვეთები ოჯახსა და კოოპერატივს შორის იყო განაწილებული. კოოპერატივი რუსებისთვის დასაქმების ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა. აქ მუშახელს საქართველოს სტანდარტებით საკმაოდ მაღალ ხელფასს – ყოველთვიურად 150 ლარს უხდიდნენ.

ახლა კი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთან არსებულმა მიწის განაწილების კომისიამ გორელოვკაში მიწების გაცემა დაიწყო. ამ ზაფხულს კომისიამ კოოპერატივს 5 ათას ჰექტარამდე მიწა ჩამოართვა და ნაკვეთები ადგილობრივ სომხებს, რუსებსა და ქართველებს დაუნაწილა. კოოპერატივ „დუხობორეცის“ საკუთრებაში მხოლოდ 600 ჰექტარი მიწა დარჩა.

„დუხობორთა თითოეულ ოჯახს ექვსიდან თხუთმეტ ჰექტარამდე მიწა გადავეცით. ეს ერთი ოჯახისთვის საკმაოდ ბევრია“, – განაცხადა გორელოვკის საკრებულოს თავმჯდომარემ აზატ ეგოიანმა.

მიწის განაწილების კომისიის თავმჯდომარის, ასკანას მარკოსიანის განცხადებით, ნაკვეთების განაწილების დროს რაიმე კონკრეტული კრიტერიუმი არ გამოუყენებიათ. უპირატესობა ადგილობრივ ფერმერებს მიანიჭეს, „რადგან ისინი სახელმწიფოს კვებავენ და ხალხს ასაქმებენ“.

დარჩენილი მიწის ნაკვეთების გასაყიდად მალე აუქციონი გაიმართება.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების უმრავლესობა კოლექტიურ ფერმას საბჭოთა დროის გადმონაშთად მიიჩნევს, რომელსაც ჩამოსახლებულ სომხებსა და ქართველებთან მიწის გაყოფისთვის თავის არიდების მიზნით, დუხობორთა თემის ლიდერები ჭკვიანურად იყენებდნენ.

თუმცა, დუხობორებს თავიანთი საერთო ფერმის დათმობა არ სურთ. კერძო საკუთრების მნიშვნელობა ცოტას თუ ესმის.

დუხობორთა თქმით, ფერმას მათთვის გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სასოფლო სამეურნეო ობიექტს. კოლექტივი მათი თემის ტრადიციების შენარჩუნების საშუალებაა.

„დუხობორები საუკუნეების განმავლობაში კომუნად ცხოვრებას არიან მიჩვეული. აქაურ ხალხს ცხოვრების ახალ სტილთან შეგუება არ სურს. რეგიონში არსებული ყველა დანარჩენი კოლმეურნეობა გაუქმდა, ჩვენ კი ფერმის რეორგანიზაცია მოვახერხეთ. ეს იმიტომ გავაკეთეთ, რომ ვფიქრობდით, სანამ ეს ფერმა გვექნებოდა, თემური წესით ცხოვრებას შევძლებდით“, – განაცხადა დუხობორთა საზოგადოების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ლიუბოვ დიუმინამ.

გორელოვკაში მცხოვრები სხვა დუხობორი ოჯახების მსგავსად ოლგა მედვედევას ოჯახი ახლაც პატარა ქოხში ცხოვრობს, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის რუსი გლეხის სახლს ჰგავს. გარედან შეთეთრებული სახლის კედლები გამომშრალი ნაკელის აგურებითაა ნაშენი. პატარა ფანჯრებიდან შემომავალი სინათლე ნაქარგებს, გობელენებსა და რუსულ ღუმელს ანათებს, რომელსაც გაღვივებული ნაღვერდალის სუნი ასდის.

ოლგამ პირსაბანთან ხელები დაიბანა, ახლადგამომცხვარი პური გაჭრა და მოზრდილი ნაჭრები ხის ძველ მაგიდაზე დაალაგა.

როგორც ოლგამ გვითხრა, გორელოვკას ფერმაში ოცი წელი მწველავად მუშაობდა. წელს მის ოჯახს 10 ჰექტარი მიწა მისცეს, დაახლოებით იმდენი, რამდენიც კოლმეურნეობაში ეკუთვნოდათ.

„კოლექტივში ბევრი ხალხი მუშაობდა. ოჯახს, სადაც მწველავი და ტრაქტორისტი იყო, არ უჭირდა“, – სევდიანი ხმით გვითხრა ოლგამ.

დუხობორთა თემის ლიდერის ტატიანა ჩუჩმაევას განცხადებით, 470 ადგილობრივმა დუხობორმა რუსეთის მთავრობას რუსეთში საცხოვრებლად გადასვლის თხოვნით უკვე მიმართა. მათ უფასოდ მგზავრობასა და საცხოვრებელი ფართის გამოყოფას ჰპირდებიან. ამასთან გადასახლებულები ექვსი თვის განმავლობაში შემწეობასაც მიიღებენ.

„გორელოვკაში მცხოვრები დუხობორები ახლა მომავალი წლის დაწყებას ელიან, როცა რუსეთის სახელმწიფო სათათბირო პროვინციებიდან ჩამოსახლების პროექტების განხილვას დაიწყებს. ამის შემდეგ დანამდვილებით ეცოდინებათ, სად გადავლენ საცხოვრებლად“, – განაცხადა ჩუჩმაევამ.

ოლგა მედვედევას ოჯახი აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობის მსურველთა შორისაა.

„თუ ყველა წავა, არც მე არ დავრჩები. თუმცა სამწუხარო იქნება, რადგან მთელი ცხოვრება აქ მაქვს გატარებული“, – თქვა მან.

www.iwpr.net

# ფრთხილად, ისტორიაა!..

ვასილ კიკნაძე



უცხოურ ენებზე ქართული თეატრის შესახებ ცოტა იწერება. ამ სამწუხარო მოვლენას თავისი მიზეზები ჰქონდა საბჭოთა პერიოდში. მხოლოდ რუსული ენა იყო პრიორიტეტული. დღეს იგი ინგლისურმა შეცვალა, არსებითად "გლობალურმა ენამ". ამ ენაზე თარგმნა და ფართო მკითხველისათვის ინფორმაციის მიწოდება ქართული კულტურის შესახებ უთუოდ დასაფასებელია. სასიხარულო ფაქტია, რომ გამოიცა ორენოვანი, ქართულ-ინგლისური ალბომი "რუსთაველის თეატრი".

ქართული თეატრის ისტორიაში სრულიად უნიკალური მოვლენაა ბატონი ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედება. მის დიდ ღვაწლსა და ამაგზე და საერთოდ ჩვენი თეატრების (და არა მარტო მათი!) გადარჩენაზე უთუოდ იტყვის თავის სიტყვას ისტორია.

ბუნებრივია, პირველივე გვერდზე გაცხადებულია თეატრის მადლიერება ბატონ ბიძინა ივანიშვილისადმი. ეს ფაქტიც სამართლიანობისადმი თეატრის ერთგულების დასტურად უნდა მივიჩნიოთ და ჩვენც ამავე პრინციპით უნდა შევაფასოთ ალბომი.

სიმართლე და მხოლოდ სიმართლე უნდა იყოს ისტორიის გზამკვლევი.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ სრულიად განსაკუთრებულია რუსთაველის თეატრის დამსახურება ქართველი ხალხის წინაშე. ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ, რომ მან უდიდესი როლი შეასრულა ჩვენი ეროვნული ცნობიერების ამაღლებისა და ეროვნული კულტურის განვითარებისათვის ბრძოლაში. რუსთაველის თეატრმა გააერთიანა ქართული კულტურის სხვადასხვა შენაკადები. მის სახელს უკავშირდება ქართული თეატრის მოდერნიზაციის ურთულესი ეტაპები. მისი სახელის გარეშე წარმოუდგენელია არამც თუ მოდერნიზმის, არამედ, საერთოდ ქართული თეატრის მსოფლიო თეატრების კონტექსტში გააზრება. ცხადია, ალბომს თავისი სპეციფიკის გამო არ მოეთხოვება ასეთი კრიტერიუმების დაკმაყოფილება, მაგრამ იგი მაინც არის ფოტოალბომში მოქცეული "ისტორიის ქრონიკა" და ამიტომ აუცილებელია ისტორიულ ჭეშმარიტებათა დაცვა.

წინასიტყვაობა და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განლაგებული რეპერტუარის ნუსხა თავისი ფოტოებითა და საინფორმაციო ცნობებით, სპექტაკლების დამდგმელთა და სხვადასხვა მოღვაწეთა შეფასებები და მოსაზრებები, საშუალებას იძლევა ვილაპარაკოთ შემდგენელისა და საერთოდ, თეატრის პოზიციაზე. თუ რომელი სპექტაკლი მიაჩნია "ფოტო ქრონიკაში" აღნიშვნის ღირსად და რომელი არა, ეს უკვე თეატრის ისტორიის საკითხია და მასში ჩანს თეატრის პოზიცია. ამ თვალსაზრისით მასალა ძირითადად სწორად არის შერჩეული.

ფოტოალბომს წინ უძღვის რ. სტურუას მოკლე და ემოციური შესავალი წერილი, ალბომის ბოლო გვერდიც მისი კონცეპტუალური ნააზრევით მთავრდება.

ალბომის საშუალებით უცხოელი მკითხველი ბევრ საინტერესო ამბავს შეიტყობს საერთოდ ქართულ თეატრზე და მიიღებს ინფორმაციას რუსთაველის თეატრზე.

ალბომი შედგენილია ფრანგული ლიტერატურისა და თეატრის სპეციალისტის ირ. ღოღობერიძის მიერ. მასთან ერთად ნაყოფიერად უმუშავიათ მუზეუმის თანამშრომლებს, დიზაინის ავტორსა და ყველას, ვინც ალბომის შედგენასთან იყო დაკავშირებული. ალბომი დაბეჭდილია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე, მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად სამწუხაროდ ასევე მაღალ პროფესიულ დონეზე არ არის გააზრებული თეატრის ისტორიის "ქრონიკა" და დაშვებულია ბევრი უხეში შეცდომა.

რუსთაველის თეატრი დაარსდა 1879 წლის 5 სექტემბერს. ეს იყო დიდი ეროვნული მოვლენა. მას საფუძვლად დაედო ილიას, აკაკის, ვ. აბაშიძისა და სხვა თანამოაზრეთა მიერ ეროვნული თეატრის იდეოლოგია. ილია ჭავჭავაძე ი. ოქრომჭედლიშვილს წერდა: "ხომ იცი, თეატრი რა დიდი რამ არის ჩვენისთანა დაცემული ხალხისათვის. მაგის მეტი ნაციონალობის ნიშან-წყალი ჯერჯერობით ჩვენ არ გვაქვს რა. ეგ ერთი ადგილია, სადაც ჩვენი ენა საჯაროდ ისმის და საჯაროდ მოქმედებს." ქართულ თეატრს, სხვა ფუნქციასთან ერთად, არც ეს როლი შეცვლია ტოტალური რუსიფიკაციის საბჭოთა პერიოდშიც.

ასე რომ, როდესაც ჩვენ რუსთაველის თეატრის დაარსების თარიღს ვადგენდით, მარტო მეცნიერული ინტერესი არ გვამოძრავებდა. ეს იყო ჩვენი ეროვნული ღირსების საქმე და ისტორიული სამართლიანობის აღდგენაც. რ. სტურუამ ამ ორიოდე წლის წინ ერთ-ერთ ინტერვიუში ხელოვანის გულწრფელობით აღნიშნა, რომ მან არ იცოდა რუსთაველის თეატრის დაარსების თარიღი. არაფერი გასაკვირი არ არის ამაში. ასეთი მდგომარეობა იყო მანამდე საერთოდ. დიდი ძალისხმევის შემდეგ კი ფართოდ აღინიშნა რუსთაველის თეატრის 100 წლისთავი და ვფიქრობთ, რომ ამიერიდან ველარავინ გაბედავს თეატრის ისტორიის ძველი პერიოდის იგნორირებას.

ეს ფაქტი მხოლოდ იმიტომ გავიხსენე, რომ გაოცებული დავრჩი, როცა თვით თეატრმა თავისავე ალბომში მიაფუჩეჩა თავისი ისტორიის ძველი პერიოდი. თანაც თეატრის 125 წლისთავზე!..

კიდევ ერთხელ უნდა განვაცხადო: რუსთაველის თეატრის ისტორია არ არის უბრალოდ საქართველოს პირველი დიდი თეატრის ისტორია. ქართველი ხალხისათვის ის უფრო მეტია, ვიდრე ერთი დიდი თეატრი. ნურავის ნუ ეგონება, რაკი მე-19 საუკუნის თეატრში არ არსებობდა კონცეპტუალური რეჟისურა, არ იყო ისეთი სპექტაკლები, როგორიც, ვთქვათ, მარჯანიშვილის "ჰამლეტი", ახმეტელის "ყაჩაღები", ალექსიძის "ოიდიპოს მეფე", თუმანიშვილის "როცა ასეთი სიყვარულია", სტურუას "კავკასიური ცარცის წრე" - ამიტომ ძველი თეატრის საუკეთესო წარმოდგენები ხალხისათვის და ეროვნული კულტურისათვის ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე დასახელებული წარმოდგენები ან სხვა მიღწევები. ისტორიზმის პრინციპის დაცვის გარეშე ვერასოდეს ვერ დავიცავთ სამართლიანობას.

თეატრის ისტორია ერთი მთლიანობაა, როგორი განსხვავებულიც არ უნდა იყოს მისი ეტაპები. როგორ შეიძლება მხოლოდ მარჯანიშვილისა და მისი შემდგომი პერიოდის მოღვაწეების შეხედულებების ციტირება და სრულიად უარყოფილია აკაკის, აბაშიძის, გუნიას და ძველი თეატრის სხვა მოღვაწეების ნააზრევი. იქნებ მათი აზროვნების დონე არ მოსწონს ვინმეს? ჩვენ ვლაპარაკობთ მათი შეხედულებების არა უბრალოდ ვალის მოხდის მიზნით ციტირებაზე, არამედ თეტრის "ისტორიის ქრონიკის" გააზრების პრინციპზე. დღეს ვის მოუტრიალდება ენა და ჯეროვნად არ შეაფასებს მიხეილ თუმანიშვილის უდიდეს დამსახურებას ქართული თეატრის წინაშე. მრავალჯერ დამიწერია მის ღვაწლზე და აქ აღარ გავიმეორებ, მაგრამ როდესაც ყოველგვარი ზომიერება იკარგება და მისი პიროვნების კულტივირება ხდება, რომელიც სრულიადაც არ სჭირდება დიდ რეჟისორს, იგი უთუოდ დათვურ სამსახურს ნიშნავს. ახმეტელის რეაბილიტაციის პროცესში, ზოგჯერ მეც ვაჭარბებდი და მისი სახელის სრულ კულტივირებას ვეწეოდი, ეს ისტორიულადაც და წმინდა ადამიანურადაც სრულიად გასაგები იყო, რადგან თეატრში ახმეტელს თავისი ადგილი წართმეული ჰქონდა და მის დაბრუნებას ვცდილობდით მეც და სხვა თანამოაზრეებიც. სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს თუმანიშვილის შემთხვევაში. რომელ ქართველ რეჟისორს არ ჰქონია კონფლიქტები, რომელი რეჟისორი არ "გაუგდიათ" (ბოდიში ამ სიტყვისთვის) თეატრიდან ან იძულებით არ წასულა, ამიტომ არც თუმანიშვილი იყო გამონაკლისი, მაგრამ მას არც სიცოცხლეში და მით უფრო არც სიკვდილის შემდეგ არ მოჰკლებია პატივი და დიდება. ამიტომ არასწორად მიგვაჩნია, როცა. თუმანიშვილის ნააზრევი ოცდაათჯერ არის ციტირებული და რუსთაველის თეატრის მთელი მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის პირველი ოცწლეულის პერიოდის არც ერთ დიდ მოღვაწეთა შეხედულებები არ არის ციტირებული. თავისთავად საინტერესოა, თუ რა აზრის იყო თუმანიშვილი მარჯანიშვილის, ახმეტელის, ალექსიძის და სტურუას შესახებ, როგორც ალბომშია გაცხადებული, მაგრამ თუ მაინც და მაინც გვსურდა ერთად აღებულ ყველა რეჟისორზე მეტად მისი შეხედულებების დამოწმება, მაშინ უფრო გონივრული იყო დაგვეფიქსირებინა თუმანიშვილის აზრი, ძველი თეატრის შესახებ. მაგ. თუმანიშვილი წერდა: "როდესაც სცენაზე დიდი მსახიობი ლ. მესხიშვილი თამაშობდა, იმდენად დიდი იყო მაყურებლის თანაგრძნობა, რომ ქალები გულშეღონებულები გაჰყავდათ დარბაზიდან." ხედავთ რას წერს რუსთაველის თეატრის ძველ პერიოდზე? მკითხველისათვის გასაგები უნდა იყოს ჩვენი შეშფოთების მიზეზი. ალბათ შემთხვევითი არც ის არის, რომ თეატრის პირველი სპექტაკლი "რას ვეძებდი და რა ვპოვე" ნახსენებიც კი არ არის და არც მისი ავტორის, ცნობილი მწერლის ბ. ჯორჯაძის ფოტოა დაბეჭდილი. ეს არ არის კურიოზი? პირველი სპექტაკლის ("რას ვეძებდი და რა ვპოვე" და "იჭვიანი") რეჟისორი იყო გ. თუმანიშვილი. მისი, ანუ რუსთაველის თეატრის პირველი ხელმძღვანელის, პირველი რეჟისორის სურათი ალბომში არ უნდა იყოს?! როგორც ჩანს, ჩვენ საქმე გვაქვს თეატრის ძველი პერიოდის მიმართ სნობისტურ და არასერიოზულ დამოკიდებულებასთან...

თუმცა თეატრის ძველი პერიოდის სხვა მოღვაწეთა სურათები დაბეჭდილია. იგი იწყება ილიას სურათით, დაბეჭდილია მუდმივი დასის წევრებისა და თეატრთან დაკავშირებული მწერლების სურათები. არის მხატვრების (ი. გამრეკელი, ვ. სიდამონიძე-ერისთავი) და კომპოზიტორების (დ. არაყიშვილის, ი.ტუსკია), XX საუკუნის პირველი ნახევრის თეატრის უფროსი თაობის ორიოდე მსახიობის სურათიც არის დაბეჭდილი, მაგრამ ვერ გაიგებთ რა პრინციპით არიან ისინი შერჩეულნი. რა ნიშნით არის მაგ. ც. ამირეჯიბის სურათი და არ არის ბევრად უფრო დიდი მსახიობების ნუცა ჩხეიძისა და ალ. იმედაშვილის ფოტოები? ან ამ განლაგებაში რა უნდა დ. თავაძის ფოტოს? დ. თავაძე თეატრში ომის შემდეგ მოვიდა. როგორ შეიძლება ფრანც მოორის გენიალური შემსრულებლის აკ. ვასაძის შენაცვლება გ. დავითაშვილით? ან რა შუაშია კ. მარჯანიშვილის "ჰამლეტის" სურათებთან ა. ვასაძის ფოტო მენგოს როლში? ა. ვასაძე "ჰამლეტში" მენგოს კი არა კლავდიუსის როლს ასრულებდა, მენგო კი ლოპე დე ვეგას "ცხვრის წყაროს" გმირია. თუმცა, ამ ან ზოგიერთ სხვა ფოტოფაქტებზე რა უნდა ვთქვა, როცა მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლში უშანგი ჩხეიძის იაგოს საქვეყნოდ ცნობილ მეტაფორულ მიზანსცენას (როცა არწივივით თუ სვავივით დააცხრება შ. ღამბაშიძის ძირს დაცემულ ოტელოს) აწერია "იაგო - ა.ვასაძე".

ალბომს არა აქვს აგების ერთიანი მეთოდოლოგიური პრინციპი. არც რეჟისორების და მათი სპექტაკლების შესახებ გამონათქვამებია ყოველთვის ადეკვატური. მაგალითად, ახმეტელის შემოქმედებაზე, მის სპექტაკლებზე ძირითადად არის ახმეტელის შეხედულებები და სხვათა (გრ. რობაქიძე, მ. თუმანიშვილი, ნ. გეტაშვილი) ნააზრევი, ახმეტელზე არც ერთი ფრაზა არ არის გამოჩენილი უცხოელი მოღვაწეების შეხედულებებიდან. ასეთი კი ბევრია ახმეტელის შემოქმედებაში, მაშინ, როდესაც რ. სტურუას სპექტაკლების ციკლში, მის შეხედულებებთან და ქართველ მოღვაწეთა შეფასებებთან ერთად სავსებით დამსახურებულად, ოცამდე უცხოელის აზრია დაფიქსირებული. საქმე ეხება არა მეტნაკლებობას, არამედ ალბომის "ქრონიკის" აგების პრინციპს.

ყველა სპექტაკლი, რომელიც ალბომშია წარმოდგენილი, უთუოდ იმსახურებს თეატრის ისტორიის "ფოტოქრონიკაში" ადგილს, მაგრამ სრულიად არასწორად არის გამოტოვებული ახმეტელის პრინციპული მნიშვნელობის სპექტაკლი - შ. დადიანის "თეთნულდი" და მ. თუმანიშვილის თანამოაზრეთა პირველი, ასევე უაღრესად პრინციპული მნიშვნელობის წარმოდგენა ი. ფუჩიკის "ადამიანებო, იყავით ფხიზლად".

არაერთხელ არის აღნიშნული, რომ თითქოს ახმეტელი დააპატიმრეს 1937 წელს, უნდა იყოს დააპატიმრეს 1936 წელს. გაოცებას იწვევს, რომ წერილში ლაპარაკია გ. ჯაბადარის სტუდიაზე და სრულიად იგნორირებულია ა. ფალავას სტუდია, რომელიც 1923 წელს თეატრალურ ინსტიტუტად გადაკეთდა.

უხეში შეცდომაა, თითქოს კ. მარჯანიშვილს, როცა 1926 წელს კონფლიქტის შედეგად თეატრიდან წავიდა, მას მსახიობთა ჯგუფი გაჰყვა. არავინ არ გაჰყოლია. თეატრის მეორე კონფლიქტის დროს, 1928 წელს თეატრიდან წავიდა ოთხი მსახიობი (უ. ჩხეიძე, ვ. ანჯაფარიძე, თ. ჭავჭავაძე, ა. ჟორჟოლიანი).

საზღვარგარეთის დრამატურგების ზოგიერთ პიესას, როგორც წესია, მთარგმნელის გვარი აწერია, ზოგიერთს კი არა. მაგ. პ. კოჰოუტის "როცა ასეთი სიყვარულია" ძალიან კარგად თარგმნა თ. ჯანელიძემ. რატომ არ უნდა ეწეროს მთარგმნელის გვარი? იგივე ეხება ბ. ბრეხტის პიესის "შეჩუანელი კეთილი ადამიანის", გ. ლორკას "ბერნანდა ალბას სახლის", ა. მილერის "სეილემის პროცესის" თარგმანებს. თუმცა, რაზე უნდა ვილაპარაკოთ, როცა შექსპირის პიესების ("რიჩარდ მესამეს", "მეფე ლირის", "მაკბეტის", "ჰამლეტის") მთარგმნელებიც ვერ გახდნენ მოხსენიების ღირსნი.

ასეთი რამ არ შეიძლება სერიოზულ გამოცემაში.

ალბომში "რუსთაველის თეატრი" არის უყურადღებობის შედეგად გამოწვეული ზოგიერთი უზუსტობა. მაგალითად, მ. თუმანიშვილი წერს: "სანდრო ახმეტელის წასვლიდან 6-7 წლის შემდეგ ჩვენი თაობა მოვიდა". მიხეილ თუმანიშვილის თაობა ახმეტელის წასვლიდან 14-15 წლის შემდეგ მოვიდა. ეს უნებლიე მექანიკური შეცდომაა, მაგრამ ისტორიისათვის მნიშვნელობა აქვს. "ბახტრიონს" დ. გაჩეჩილაძის ნაცვლად აწერია ვაჟა-ფშაველა. თვითნებურად რატომ გაასწორეს? ავტორი დ. გაჩეჩილაძეა, მან გამოიყენა ვაჟას პოემის მოტივები. ალბომში დაბეჭდილია მსახიობების ფოტოები როლებში, მაგრამ არ აწერია ვინ რა როლს ასრულებდა, მარტო მსახიობთა გვარებია ჩამოთვლილი. ასეთ შემთხვევაში როგორ უნდა გავიგოთ, ვინ რა როლს ასრულებდა? ეს ხომ ისტორია, დოკუმენტია, მსახიობის ბიოგრაფიაა.

სხვა ნაკლოვანებებზეც შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ ზემოაღნიშნულიც საკმარისია იმის გასაცხადებლად, რომ ჩვენს ისტორიას მეტი სიფრთხილით უნდა მოვექცეთ...

საერთოდ კი, როგორც წერილის დასაწყისში აღვნიშნეთ, უაღრესად საჭირო საქმე გაკეთდა ალბომის გამოცემით, მის შემადგენელს ირ. ღოღობერიძეს ჩვენ პატივს ვცემთ, როგორც საზღვარგარეთის ლიტერატურის ნიჭიერ მკვლევარს.

მე ჩემი წიგნის ("ქართული დრამატული თეატრის ისტორია") მეორე ტომში დავიმოწმე ი. ღოღობერიძის მიერ მაღალ პროფესიულ დონეზე დაწერილი სტატია ჟიროდუს ინტელექტუალური თეატრის შესახებ, მაგრამ, როგორც ჩანს, მისთვის მძიმე ტვირთი აღმოჩნდა "რუსთაველის თეატრის" ალბომის შედგენა. თეატრის ხელმძღვანელობა კი მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოკიდებოდა თავისი თეატრის ისტორიას. როგორც ალბომიდანაც ირკვევა, შემთხვევითი არც ის ყოფილა, რომ სანდრო ახმეტელის დაბადებიდან 120 წლისთავს თეატრი არსებითი დუმილით შეხვდა.

ასევე დუმილით შეხვდა დიდი მსახიობის ა. ვასაძის 100 წლისთავს.

ყველას კარგად უნდა გვახსოვდეს: როგორც თანამედროვენი მოვექცევით ჩვენს წარსულს, ისე მოგვექცევა მომავალი თაობა ჩვენ...

# საუკუნეებში გამოტარებული სევდა

თამთა სამსონაძე

გალერეა "ვერნისაჟში" გაიხსნა თენგიზ და გიორგი მირზაშვილების ნამუშევრების გამოფენა, რომელიც 15 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

გალერეის მყუდრო სივრცე ზუსტად მოერგო თენგიზ მირზაშვილის ოდითგან შეთვისებულ, გენეტიკურად საუკუნეებში გამოტარებულ სევდას, თბილ, კეთილ ირონიას რომ ატარებს თავის თავში.

გამოფენაზე მრავლადაა წარმოდგენილი თენგიზ მირზაშვილის მკვეთრი მონასმებით შესრულებული პეიზაჟები, სადაც განსაკუთრებით იგრძნობა მიწისა და ცის სიახლოვე, სადაც უხილავადაც ნაცნობია პატარა სახლი, ხე, ცხენი თუ ადამიანი.

აღსანიშნავია, რომ მამა-შვილი არ ასათაურებს თავის ნამუშევრებს. ამიტომაც ჩვენ გვიხდება პირობითად შევურჩიოთ დასახელება ამა თუ იმ ნახატს. სწორედ ამ პრინციპით გამოვარჩევ "თეთრი ქალის" პორტრეტს, სხეულის მკვეთრი სიღრმიდან გამოკვეთილ ფიგურას. გამორჩეული შთაბეჭდილება მოახდინა "დაბის" პეიზაჟმა. თენგიზ მირზაშვილისთვის ახალი სამყარო გამოჩნდა ნამუშევარში, რომელიც თეატრალურ ესკიზს გვაგონებს. პალიტრა, სივრცე, რომელიც არ ჩანს და მაინც მხატვრის ოსტატობის წყალობით სრულად შეიგრძნობ სამეჯლისო განწყობილებას, დარბაზსაც კი, რომელსაც თვალით ვერ ხედავ.

თავისთავად საინტერესოა, რომ მამა-შვილმა ერთ გალერეაში გამოფინა თავიანთი ნამუშევრები. ეს მეტ საშუალებას აძლევს მნახველს აღიქვას თუ რა აერთიანებს და რა განასხვავებს ამ ორ შემოქმედს.

გიორგი მირზაშვილი ჟანრობრივად და თემატურად მრავალმხრივაა წარმოდგენილი - პოპარტი, გრაფიკა, ფერწერა. ექსპრესიის დიდი მუხტი იგრძნობა ნამუშევარში, რომელსაც პირობითად "სახლი მზის ჩასვლისას" დავარქვი. შთამბეჭდავია "სახლიც", რომელიც აკვარელითაა შესრულებული. განსაკუთრებული ოსტატობით გამოირჩევა სურათი, რომელზეც თითქოს ერთი ფერია, მხოლოდ - შავი, მაგრამ რა იდუმალი ნიშნით იკვეთება ცა, ქუჩა, შორეული მკრთალი მთვარე და ეს ყველაფერი სინათლის რამდენიმე შტრიხში ღამეული ქუჩის შეგრძნებას გვიტოვებს.

და კიდევ, არ შემიძლია არ აღვნიშნო გიორგი მირზაშვილის "გემი". ერთი შეხედვით გულუბრყვილო ნამუშევარი, რომელზეც ლურჯი ზღვა და ცა, თეთრი გემი და გემის საკვამურიდან ცაში წასული ორთქლი მოჩანს.

"ვერნისაჟში" მისული მნახველი დიდხანს გაიყოლებს მამაშვილისგან უხვად, უანგაროდ ნაბოძებ სითბოს...

## მოკლედ

### ქართული მითოლოგიის სიუჟეტები

29 სექტემბერს გალერეა "უნივერსში" მხატვარ ზურაბ გომელაურის პერსონალური გამოფენა გაიხსნება. როგორც გომელაურმა განაცხადა, გამოფენაზე 20-მდე ფერწერული ნამუშევარი იქნება წარმოდგენილი, რომლებზეც ქართული მითოლოგიის სიუჟეტებია ასახული. **ჯი-ეიჩ-ენი**

### იაპონიის ფოლკლორული ანსამბლი

დღეს გორის ცენტრალურ მოედანზე ფოლკლორის მხარდაჭერის საპრეზიდენტო პროგრამის "ნაციონალური ხმის" ფარგლებში გრანდიოზული კონცერტი გაიმართება. მასში მონაწილეობას ქართული სიმღერების შემსრულებელი იაპონიის ფოლკლორული ანსამბლი მიიღებს, რომელიც შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის მოწვევით ჩამოვა. ფოლკლორის მხარდაჭერის საპრეზიდენტო პროგრამა "ნაციონალური ხმა" ღონისძიებებს მთელი საქართველოს მასშტაბით ახორციელებს. საქართველოს ყველა კუთხიდან წარმოდგენილი 81 ფოლკლორული კოლექტივი 10 დიდ ქალაქში გამართავს კონცერტებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### პანტომიმის თეატრალური დასი

პანტომიმის თეატრალური დასი ესპანეთში გასტროლებისთვის ემზადება. დასს რეჟისორი ამირან შალიკაშვილი ხელმძღვანელობს. დასი სპექტაკლ "კრიმანჭულს" წარადგენს, რომლის ხანგრძლივობაც ორსაათნახევარია.

დასის პროგრამა სხვადასხვა ნოველების მიხედვით არის დადგმული. დასი ესპანეთში 1 ოქტომბერს გაემგზავრება. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ დღეს ქალების რაოდენობა ადგილობრივ თვითმმართველობაში 12 % არ აღემატება

ხმა მიეცით ქალებს!

გააძლიერე ქალით ქართული პოლიტიკა

■ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები თანაბარი შესაძლებლობები და უფლებებია ქალისა და მამაკაცისათვის

საინფორმაციო კამპანიის მხარდამჭერია პროექტი "გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში"

www.genderandpolitics.ge

# კანარგო ენერჯი კორპორეიშენს ბენზინგასამართ სადგურებში ბიზნესინტერესი არ გააჩნია

საქართველოში კანარგოს სახელთან დაკავშირებული გაუგებრობის გამო, კანარგო ენერჯი კორპორეიშენის პრეზიდენტი, ბატონი ვინსენტ მაკდონელი თავს ვალდებულად თვლის, კომპანიის სახელით გააკეთოს საჯარო განცხადება.

კანარგო ენერჯი კორპორეიშენი არის ამერიკული კომპანია, რომელიც დარეგისტრირებულია ნიუ იორკში, AAMEX-ის და ოსლოში ნორვეგიის საფონდო ბირჟებზე. მისი ძირითადი საქმიანობა საქართველოში ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიება და მოპოვებაა.

კანარგო ენერჯი კორპორეიშენი საქართველოში ნავთობისა და გაზის საძიებო სამუშაოებში ჩართულია 1996 წლიდან და დღემდე ინვესტირებული აქვს 100 მილიონ დოლარზე მეტი.

ბოლო ორი წლის მანძილზე კომპანიამ 2 ახალი ნავთობსაბადო აღმოაჩინა მანავისა და ნორიოს ტერიტორიაზე და ამჟამად მიმდინარეობას მათი შეფასება. გარდა ამისა, კომპანია სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს გაზის საბადოების დაძიების საკითხს და მიმდინარე წლის ბოლოსთვის გეგმავს კუმისის ტერიტორიაზე გაზის საძიებო ბურღვის დაწყებას.

კანარგო ენერჯი კორპორეიშენს ბოლო წლების მანძილზე ბენზინგასამართი სადგურების ქსელში არანაირი ბიზნესინტერესი არ გააჩნია. ამ დროის განმავლობაში ბენზინგასამართი სადგურები მხოლოდ კანარგოს სახელის გამოყენების უფლებით სარგებლობდნენ სალიცენზიო ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის ვადაც ამოიწურა.

*საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური*

# "ქარავანსარაი" - გაჩერება თბილისი

### თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების ფორუმი თბილისში

ნინო ჩიმაკაძე

22 და 23 სექტემბერს თბილისში ვიზუალური ხელოვნების საერთაშორისო ფორუმი "ქარავანსარაი" ჩატარდა. ნამუშევრები წარმოდგენილი იყო გუდიაშვილის ქუჩაზე მდებარე თანამედროვე ხელოვნების ცენტრში, რომელსაც, სავარაუდოდ, მალე დაანგრევენ ავარიულობის გამო და შესაძლოა ეს გამოფენა ბოლო აღმოჩნდეს ამ შენობაში.

პროგრამა "ქარავანსარაის" ფარგლებში ყოველწლიურად ტარდება თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფორუმი, რომლის გეოგრაფიულ ცენტრს თბილისი წარმოადგენს. წელს ფორუმი მეოთხედ გაიმართა. პროექტის შექმნის იდეა ეკუთვნის საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ მხატვარს და ხელოვნებათმცოდნეს შალვა ხახანაშვილს.

როგორც ხახანაშვილი აღნიშნავს, მას სურდა გაეკეთებინა რაღაც, რაც აღმოსავლეთისა და დასავლეთის თანამედროვე ხელოვნებას ერთმანეთთან დააკავშირებდა და დაინტერესებულ ადამიანებს საშუალებას მისცემდა გასცნობოდნენ თანამედროვე კულტურაში მიმდინარე ტენდენციებს.

თბილისი კი, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ცენტრი, ამისთვის საუკეთესო ადგილი აღმოჩნდა. ფორუმი აბრეშუმის გზაზე მოძრაობს და მსოფლიო არტ სიახლეებს ძველი კულტურის ქვეყნებში წარადგენს. "ჩვენ გვინდა, რომ ქართველები გაეცნონ დასავლური ხელოვნების სიახლეებს და პირიქით, - დასავლეთს გავაცნოთ ქართული და აღმოსავლური თანამედროვე კულტურა. ძველ გზებზე ახალი ხელოვნებით, - ეს არის ერთგვარი ლაიტმოტივი ამ პროექტის."

წელს "ქარავანსარაის" ფარგლებში წარმოდგენილი იყო ოცდაათამდე ხელოვანის ფოტო და ვიდეონამუშევარი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ეს ქვეყნებია: საქართველო, საფრანგეთი, პოლონეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი, ესპანეთი, თურქეთი, იაპონია, ნორვეგია და სხვა. საქართველოს წარმოადგენდნენ: ნიკო ცეცხლაძე, ილიკო ზაუტაშვილი, ოლეგ ტიმჩენკო, დავით ჩიხლაძე, გელა კინწურაშვილი, თემურ ჯავახი, კოკა რამიშვილი და თავად შალვა ხახანაშვილი, რომელიც ამავე დროს ფრანგული მხარის წარმომადგენელიც არის. ჩამოსული იყო პოლონური წარმოშობის ფრანგი ხელოვანი, რანსის უნივერსიტეტის ლექტორი ფოტოგრაფიაში, ივან პოლიარტი. გამოფენაზე მისი რამდენიმე ფოტონამუშევარიც იყო წარმოდგენილი.

"ქარავანსარაის" 2006 წლის პროექტი ფრანგული კულტურის ცენტრის, რანსის უნივერსიტეტის, პარიზის ჰარტ-გალერეის დახმარებით ჩატარდა. ორგანიზატორები ხახანაშვილთან ერთად არიან მაგდა გურული და ნინო მეტრეველი. ფორუმი 7 ივნისს პარიზში, არტ-გალერეაში გაიხსნა. თბილისის შემდეგ "ქარავანსარაის" მორიგი გაჩერება კვლავ პარიზი იქნება, შემდეგ კი სტამბული, კიოლნი, ტაშკენტი და ბუხარა. ეს ყველაფერი 10 ნოემბრამდე გასტანს.



*ივან პოლიარტის ნამუშევარი.*

წლევანდელ ფორუმს მკვეთრდად გამოხატული თემატიკა არა აქვს, თუმცა ნამუშევრების ნაწილი ურბანისტულ პრობლემატიკას ეხება და ამ თემის კონცეპტუალური აღქმის რეპრეზენტაციას წარმოადგენს. საერთოდ კონცეპტუალიზმის თაყვანისმცემელთათვის ფორუმზე წარმოდგენილი ნამუშევრები მეტად საინტერესო უნდა ყოფილიყო. თუმცა, ასეთები, როგორც ჩანს, ძალიან ცოტანი არიან საქართველოში. გამოფენაზე გაცილებით ცოტა ადამიანი მოვიდა, ვიდრე ეს მოხდებოდა დასავლეთის რომელიმე ქვეყანაში მსგავსი ნამუშევრების ჩვენებისას. თანამედროვე ხელოვნება, როგორც ჩანს, არც ტელევიზიებისთვის არის მაინცდამაინც აქტუალური, რადგან მათ ეს გამოფენა არ გაუშუქებიათ. შალვა ხახანაშვილისთვის ეს მოულოდნელი არ ყოფილა. იგი აღნიშნავს, რომ საქართველოში არ არის განვითარებული ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელს შეუწყობს თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების განვითარებას და ფართო საზოგადოებისთვის გაცნობას, არ არსებობს სათანადო მატერიალური ბაზა, არ არის შესაფერისი გალერეები და საერთოდ, დიდ ყურადღებას არავინ იჩენს თანამედროვე ხელოვნების მიმართ. "ძალიან კარგია კულტურულ-ისტორიული ძეგლების დაცვაზე და აღდგენაზე ზრუნვა, ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, მაგრამ თუ არ განვითარდა თანამედროვე ხელოვნება და არ შეიქმნა რაღაც ახალი, არ მიექცა ყურადღება თანამედროვე ნამუშევრებს, მაშინ ჩვენ ვერასოდეს შევძლებთ დასავლეთის ცივილიზებულ ქვეყნებთან გათანაბრებას. აქ კი ჯერჯერობით თანამედროვე ხელოვნება დაუფასებელია. ქვეყანაში, სადაც ილიკო ზაუტაშვილის და ლადო ბურდულისნაირი ადამიანები უსაქმოდ და უფულოდ სხედან, ყველაფერი ნათელია", - ამბობს ხახანაშვილი.

"ქვეყანას არ გააჩნია კულტურული პოლიტიკა, არადა ეს ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა იყოს საქართველოსთვის," - აცხადებს პროექტის კოორდინატორი მაგდა გურული.

კითხვაზე, აქვთ თუ არა ქართველ ხელოვანებს ინტელექტუალური პოტენციალი, გაუტოლდნენ თანამედროვე დასავლელ კოლეგებს, შალვა ხახანაშვილის პასუხი დადებითია. იგი თვლის, რომ ქართველების შანსი ამ მხრივ ძალიან დიდია. პრინციპში ამაში დარწმუნება გამოფენის მნახველებსაც შეეძლოთ. ქართველების ნამუშევრები არაფრით ჩამოუვარდებოდა ფრანგ, ესპანელ, რუს თუ სხვა ქვეყნის წარმომადგენელთა ქმნილებებს. რჩება ერთი რამ, - ინფრასტრუქტურის შექმნა და თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაცია, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება კულტურული სტაგნაციის დაძლევა ქვეყანაში, ქართული ხელოვნებაში არსებული ინოვაციების და ნოვატორული ნამუშევრების სათანადო დაფასება და ნიჭიერი ქართველი ხელოვანების მსოფლიოსათვის გაცნობა.

# თეატრის 128-ე სეზონი

მზევინარ ხუციშვილი

გუშინ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა პრესკონფერენცია. თეატრის გენერალურმა დირექტორმა გია თევზაძემ ერთხელ კიდევ გაგვაცნო რეპერტუარი და გვიამბო ნაცნობ პრობლემებზე. მხოლოდ შენობის გარემონტება და რესტავრირება საქმეს ვერ შველის. სახელმწიფოსგან სუბსიდიით ბოძებული თანხით თეატრმა მხოლოდ ცხრა თვე გაიხარა. შემდეგ კი შტატების შემცირება მოუხდა. ისინიც, ვინც დარჩა, სამი თვეა უხელფასო შვებულებაში არიან. როგორც ბატონმა თევზაძემ აღნიშნა: **"აქ მხოლოდ ხელფასებზე არ არის ლაპარაკი. საჭიროა თეატრის შენობის შენახვა, კომუნალური გადასახადები, სპექტაკლის ხარჯები. ეს ყველაფერი მთელი წლის პრობლემაა. მართალია, ასეთი პრობლემები მხოლოდ რუსთაველის თეატრს არა აქვს, მაგრამ ჩვენ რაღაც გზა მაინც უნდა გამოვნახოთ. იმედს არ ვკარგავ და ვფიქრობ, მაყურებელი დაუბრუნდება თეატრს. მათ მიერ შეძენილი ყოველი ბილეთი თეატრისთვის მნიშვნელოვანი დახმარება იქნება. ბილეთის ფასი ყველასთვის ხელმისაწვდომია - 2-დან 15 ლარამდე. თუმცა, მთლიანად ამაზე მაინც არ ვართ დამოკიდებული. ვცდილობთ სპონსორის მოძებნას. უკვე სამი თვეა, მთლიანად ამაზე ვართ ორიენტირებული".**

რაც შეეხება რეპერტუარს, დღეს თეატრის 128-ე სეზონი იხსნება და წარმოდგენილი იქნება ზაზა პაპუაშვილისა და რობერტ სტურუას ერთმოქმედებიანი კომედია "დარისპანის გასაჭირი". ეს სპექტაკლი გასული სეზონის უკანასკნელი პრემიერა იყო. 1 ოქტომბერს ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრი გვეწვევა და, როგორც გვითხრეს, ისევ "დარისპანის გასაჭირი" იქნება წარმოდგენილი, ამჯერად განსხვავებული ინტერპრეტაციით. ამავე თეატრის მიერ ნაჩვენები იქნება გიორგი თავაძის "საღამოს ბალში, როგორც ფერად სიზმარში". ცოტა განსხვავებულს და სახეშეცვლილს იხილავს ქართველი მაყურებელი "ჰამლეტსაც". 6-7 ოქტომბერს გაიმართება პრემიერა ირაკლი სამსონაძის პიესის მიხედვით დადგმული რობერტ სტურუასა და ანდრო ენუქიძის სპექტაკლისა "ვანილის მოტკბო სევდიანი სურნელი". მერე თეატრი ძველი რეპერტუარით განაგრძობს მუშაობას.

დაგეგმილია რამდენიმე ახალი პროექტის განხორციელებაც. კერძოდ, ექსპერიმენტული სცენის გახსნა, რომელზეც წაიკითხავენ ახალგაზრდა თანამედროვე დრამატურგების პიესებს, რასაც რეჟისორებიც დაესწრებიან. როგორც თეატრის ხელმძღვანელობა აღნიშნავს, ეს არა მარტო ახალგაზრდა დრამატურგების მხარდასაჭერი პროექტია, არამედ ამით უფრო ნათლად გამოჩნდება, რა კეთდება თეატრისთვის. პროექტში რუსთაველის თეატრის მსახიობებიც იქნებიან ჩართულნი და სცენა ახალგაზრდა რეჟისორებს დაეთმობათ. სცენის გახსნა 4-5 ოქტომბერსაა დაგეგმილი. ამ სცენაზე სომეხი რეჟისორი აკოფოც იმუშავებს "ოტელოს" ექსპერიმენტულ ვარიანტზე. შესაძლოა დაიდგას დათო საყვარელიძის "შეცდომათა კომედია".

კიდევ ერთი პროექტი, რომელსაც რუსთაველის თეატრი განახორციელებს, თეატრის საიტია, სადაც განთავსდება მაქსიმალურად ბევრი ინფორმაცია თეატრის შესახებ: ისტორია, მიმდინარე სპექტაკლები, ინფორმაცია რეჟისორების, მხატვრების შესახებ. საიტი ოქტომბრის შუა რიცხვებისთვის მზად იქნება. 21 ოქტომბრიდან რუსთაველის თეატრის სპექტაკლებში შესაძლებელია გაკეთდეს სინქრონი. დარბაზში შესულ მაყურებელს დახვდება აუდიო-სინქრონი ანუ სასმენი აპარატები. სამომავლოდ კი თანამედროვე თარგმანის მორბენალი სტრიქონის შექმნაც იგეგმება.

**- ბატონო გია, თქვენ ბრძანეთ, რომ თეატრმა მაყურებელი დაკარგა. რამ გამოიწვია ეს?**

- თეატრი სამწელიწადნახევარი დაკეტილი იყო. ეს ძალიან დიდი დროა იმ ადამიანებისთვის, ვინც მიჩვეულია თეატრს, უყვარს ის და მოთხოვნილება აქვს რომ იაროს. სხვა რომ არაფერი, ამ ხალხს ასაკი მოემატა. ის ახალგაზრდები, რომლებიც ჩვენთან დადიოდნენ, უკვე მოზრდილები არიან. მოდიოდნენ და რაკი თეატრი დაკეტილი ხვდებოდათ, ახლა სპექტაკლებზეც აღარ მოდიან. იმედი მქონდა, რომ ჩვენი მაყურებელი იმას მაინც ნახავდა, რა გაკეთდა, მაგრამ, სამწუხაროდ, შევცდი. ახლა ეს პრობლემა მარჯანიშვილის თეატრსაც აქვს. მაყურებელს ალბათ რაღაც უფრო ღირებული აინტერესებს. ვნახოთ, სეზონი გაიხსნება და...

**- რამდენად გემოვნებიანი მაყურებელი გვყავს?**

- მაყურებელი ნამდვილად გვყავს. როდესაც ვამბობ "გვყავს"-მეთქი, მხოლოდ რუსთაველის თეატრს არ ვგულისხმობ. მხედველობაში მყავს მთელი ჩვენი ქვეყანა. სამწუხაროდ, ბოლო დროს მოთხოვნილების დონე ძალიან დაბალია.

GEOCELL
ჯეოსელი

## სიახლე ჯეოსელის აბონენტებისთვის

2006 წლის 22 სექტემბრიდან იცვლება ჯეოსელის საკრედიტო და საავანსო სისტემის აბონენტების მიერ განხორციელებული ლოკალური ზარების დამრგვალების წესი 5 წამიანიდან 1 წამიან დამრგვალებაზე.

1 წამიანი დამრგვალება არ გავრცელდება სპეც-ნომრებზე დარეკვისას.

## ივერია მოტორსი



- ახალი ავტომობილები ხელსაყრელ ფასებში
- გარანტიით
- თვითმცლელები, საწვიმთოები, სპეცავტომობილები, მაღალი ტვირთამწეობის, მრავალღერძიანი ევრო-2, ევრო-3-ის სტანდარტების.

მისამართი: ქ. თბილისი, მტკვრის მარცხენა სანაპირო, გუდაუთის ქ. N7. ტელ: 34-60-03, 34-16-50; მობ.: 899 51 30 49

## განცხადება

სს საქართველოს ბანკის დირექტორატი აცხადებს, რომ 2006 წლის ნოემბრის პირველ ნახევარში განსაზღვრულია სს საქართველოს ბანკის აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ჩატარება.

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით სააღრიცხვო თარიღად განისაზღვრა 2006 წლის 6 ოქტომბერი, 17:00 სთ-ის მდგომარეობით.

აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების დღის წესრიგი და რეკომენდაციები, ისევე როგორც კრების ჩატარების ადგილი, ზუსტი დღე და დრო გამოქვეყნდება მოგვიანებით, კანონის შესაბამისად რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის ოფიციალურად გამოცხადებასთან ერთად.

*სს საქართველოს ბანკის დირექტორატი*

## მკითხველთა საყურადღებოდ!

მცხეთის რაიონის გამგეობა გაცნობებთ, რომ რაიონის გამგეობის 2006 წლის 12 სექტემბრის N 414 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა რაიონის გამგეობის 2006 წლის 8 აგვისტოს N 379 დადგენილება " მცხეთის რაიონის ყოფილი დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე,სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 122.18 ჰა (მიწის სარეგისტრაციო N 721409204) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობის კონკურსის წესით განკარგვის შესახებ". აქედან გამომდინარე გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" 2006 წლის 12 აგვისტოს N156-ში გამოცხადებული კონკურსი რომელიც დანიშნული იყო მიმდინარე წლის 29 სექტემბერს არ შედგება.

## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:
- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით (40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06, 893 65 38 39



## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

განებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**
- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26, 23 56 26
E-mail: info@nautilus.ge, reception@nautilus.ge





24 საათი B
© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



– ფოსტა

*ყოველ სამშაბათს და პარასკევს, ყველას ვისაც სურვილი გაქვთ შეიტყოთ ყველაფერი საბანკო მომსახურების შესახებ, გამოგზავნეთ შეკითხვები თქვენთვის საინტერესო საბანკო თემებზე გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის N51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86 ; e-mail:ngotsadze@tbcbank.com.ge) და თქვენს შეკითხვებს უპასუხებენ თიბისი ბანკის ექსპერტები.*

B2

## ახალი მსხვილი შთანთქმა ფარმაცევტულ ბაზარზე

ბელგიურმა ფარმაცევტულმა კომპანიამ UCB SA-მ გერმანული კონკურენტი Schwarz Pharma AG 4,4 მილიარდ ევროდ შეიძინა. გარიგების პირობების მიხედვით, გერმანული კომპანიის აქციონერები კუთვნილი ერთი აქციის სანაცვლოდ 50 ევროს და გაერთიანებული კომპანიის 0,8735 აქციას მიიღებენ. ეს კი ნიშნავს, რომ Schwarz-ის ერთი აქცია 91,1 ევროდ შეფასდა, რაც მის საბაზრო ღირებულებაზე 20 პროცენტით მეტია. აღნიშნული გარიგების განხორციელებისათვის UCB ახალი აქციების გამოშვებას გეგმავს.

ამ შთანთქმის წყალობით UCB თავის პორტფელს სამ ახალ სამკურნალო პრეპარატს დაუმატებს, რაც კომპანიას ყოველწლიურად 2 მილიარდი ევროს ოდენობის დამატებით მოგებას მოუტანს. გარდა ამისა, UCB-ის და Schwarz-ის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ გაერთიანება ყოველწლიური ხარჯების 300 მილიონი ევროთი შემცირების საშუალებას მისცემს. სულ გაერთიანებული კომპანიის გაყიდვების მოცულობა წლიურად 3,3 მილიარდი ევრო იქნება, ხოლო ახალი პრეპატარების შექმნისათვის საჭირო გამოკვლევებისათვის ყოველწლიურად 770 მილიონი ევრო გამოიყოფა.

## MAN-ს Scania არ ეთმობა

სატვირთო ავტომობილების და ავტობუსების მწარმოებელი გერმანული კონცერნი MAN -ი აპირებს, ამავე სფეროს წარმომადგენელ, შვედური კომპანია Scania-ს აქციონერებს უფრო მომხიბვლელი წინადადებით მიმართოს. ამის შესახებ Wall Street Journal-ს MAN-ის გენერალურმა დირექტორმა ჰაკან სამუელსონმა განუცხადა.

შეგახსენებთ, რომ ახლახან Scania-ს დირექტორთა საბჭომ ერთხმად უარყო 9,6 მილიარდ ევროდ (12,2 მილიარდი დოლარი) შერწყმის შესახებ MAN-ის წინადადება. ასეთივე გადაწყვეტილება მიიღეს შვედური ავტომშენებლის უმსხვილესმა აქციონერებმა: Volswagen-მა და Investor AB-მ.

ამის შემდეგ MAN-მა გადაწყვიტა, აქციონერთა გული სხვაგვარად მოიგოს. ექსპერტთა აზრით, Volswagen-ის შემთხვევაში გადამწყვეტი არა თანხა, არამედ საწარმოო ინტერესებია და, ალბათ, MAN-ი მას სანაცვლოდ თავის აქციებს შესთავაზებს, სხვა აქციონერთა მოსახიბლად კი თავის წინადადებას 10 პროცენტით გაზრდის. სავარაუდოდ, MAN-ი უკან არაფერზე დაიხევს, რადგან Scania-ს შთანთქმით იგი ბაზრის ამ სექტორში უკან ჩამოიტოვებს ისეთ განთქმულ კომპანიებს, როგორებიცაა DaimlerCrysler-ი და Volvo.

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3165 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9847 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4738 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7400 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8128 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1406 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2990 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3034 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2300 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4257 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3346 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1299 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1495 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,3150 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1892 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2478 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,4018 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5579 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,1465 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,4055 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3083 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2676 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5591 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5846 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0652 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,0988 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4531 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5144 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4155 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,4731 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8053 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,0172 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1373 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4422 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2412 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4037 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0782 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2198 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2235 |




# აზიურ-აფრიკული მომავალი

## და ორი რუსეთის უპერსპექტივობა

თორნიკე შარაშენიძე
*ნატო-ს საინფორმაციო ცენტრის დირექტორი*

### "გადავარჩინოთ სახალინელი ვეშაპები"

გასულ კვირას დასავლურმა პრესამ დიდი ადგილი დაუთმო სახალინზე კომპანია "შელის" გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს. რუსეთის ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ ნავთობგიგანტს ლიცენზია შეუწყვიტა და ამით თავდაყირა დააყენა ყველაფერი - პარლამენტის დონეზე გაფორმებული შეთანხმება, ინვესტორთა მიერ წლების განმავლობაში მიმდინარე სამუშაოები, რომელთა ღირებულება მხოლოდ "შელის" მხრიდან 20 მილიარდ დოლარს აღწევს. სახალინზე ნავთობის რეზერვების უტილიზაციას მოუთმენლად ელის მსოფლიო სანავთობო ბაზარი და, პირველ რიგში, მისი უმთავრესი მომხმარებლები - იაპონია და სამხრეთ კორეა. აქაური რეზერვები ხომ 45 მილიარდ ბარელს შეადგენს.

**აფრიკული ექსპორტის 27% აზიაზე, უპირველესად კი, ჩინეთსა და ინდოეთზე მოდის. ეს სამჯერ აღემატება 1990 წლის მონაცემებს. ამავე დროს, აზიური ექსპორტი აფრიკაში ყოველწლიურად 18%-ით იზრდება. რიცხვები იმას მოწმობს, რომ მსოფლიოს ყველაზე ჩამორჩენილი და განუვითარებელი რეგიონი ყველაზე მჭიდროდ აზიის ორ გიგანტთან თანამშრომლობს.**




B3

# თბილისი - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ახალი რეგიონული ცენტრი

დიანა ჩაჩუა

*ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკსა (EBRD) და საქართველოს ურთიერთობებში ახალი ფურცელი ჩაიწერება. თავისი ხელსაყრელი მდებარეობის გამო თბილისში ბანკის რეგიონული ოფისი ჩამოყალიბდა, რომელსაც EBRD-ის დირექტორი კავკასიაში, მოლდოვასა და ბელორუსში მაიკლ დეივი უხელმძღვანელებს.*

**"საქართველო რეგიონულ ცენტრად თავისი მომგებიანი გეოგრაფიული მდებარეობის გამო შეირჩა. მნიშვნელოვანია, უფრო ახლოს ვიყოთ ხალხთან და ჩვენს პროექტებთან. საქართველოდან ადვილია სომხეთსა და აზერბაიჯანში გადაადგილება, ასევე მოლდოვაში გადაფრენა,"** - აცხადებდა გუშინ თბილისში გახსნილი რეგიონული ოფისის ახალი ხელმძღვანელი მაიკლ დეივი.

რეგიონული ოფისის გახსნას ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ბიზნესჯგუფის დირექტორი ოლივიერ დეკამპიც ესწრებოდა. გუშინვე დაიწყო მისი და ოფისის ახალი ხელმძღვანელის მაიკლ დეივის შეხვედრები საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან. კერძოდ, გუშინ სტუმრები რეფორმების კოორდინაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ მიიღო. შეხვედრას ესწრებოდა ასევე EBRD-ის წარმომადგენლობის ყოფილი ხელმძღვანელი ნიკოლაი ჰაჯინსკი, რომელიც ამიერიდან ბულგარეთში EBRD-ის წარმომადგენლობის დირექტორის მოადგილე იქნება.

B2

# 27 მილიონი ევრო გერმანიიდან

## ბანკების საკრედიტო რესურსები 9 მილიონით გაიზრდება

ნინო ნატროშვილი

*ფინანსთა სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე ფინანსთა მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა და საქართველოში გერმანიის ელჩის მოადგილემ კრისტიან პერნფორსტმა მედიის წარმომადგენლებს გერმანია-საქართველოს სამთავრობო მოლაპარაკებების შედეგები გააცნეს, მოლაპარაკება თბილისში 21-22 სექტემბერს გაიმართა, რომელზეც შეთანხმდა გერმანიის მხარდაჭერით საქართველოში დაფინანსებული საინვესტიციო და ტექნიკური მხარდაჭერის პროექტები და საქართველოსთან გერმანიის ფინანსური და ტექნიკური თანამშრომლობის სამომავლო გეგმები.*

მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდა, რომ ორმხრივი ფინანსური და ტექნიკური თანამშრომლობის პროექტების განსახორციელებლად გერმანიის მთავრობა 2006-2007 წლის ფისკალური წლის ფარგლებში საქართველოს, გრანტებისა და შეღავათიანი სესხების სახით, დაახლოებით 27 მილიონ ევროს გამოუყოფს. ფინანსთა მინისტრის ალექსი ალექსიშვილის განცხადებით, აღნიშნული გადაწყვეტილება გერმანიის მთავრობის მხარდაჭერის კიდევ ერთი მაგალითია. მან იმედი გამოთქვა, რომ პროექტების დაწყებისა და თანხების ათვისების პროცესი ისეთივე ეფექტური და შედეგიანი იქნება, როგორც ორ ქვეყანას შორის გამართული მოლაპარაკებები.




B4



*ყოველ სამშაბათს და პარასკევს, ყველას ვისაც სურვილი გაქვთ შეიტყოთ ყველაფერი საბანკო მომსახურების შესახებ, გამოგზავნეთ შეკითხვები თქვენთვის საინტერესო საბანკო თემებზე გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის N51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86 ; e-mail:ngotsadze@tbcbank.com.ge) და თქვენს შეკითხვებს უპასუხებენ თიბისი ბანკის ექსპერტები.*

# თი-ბი-სი ფოსტა

***მინდა ცოტა ხნით ბანკში შევიტანო თანხა, მაგრამ შესაძლოა მისი გარკვეული ნაწილის გამოყენება დამჭირდეს. რა სახის დეპოზიტის გახსნას მირჩევთ ასეთ შემთხვევაში და გაიზრდება თუ არა ჩემი დანაზოგი დარიცხული პროცენტის საშუალებით?***



**ნინო ყაჭეიშვილი, თიბისი ბანკის გაყიდვების განყოფილების უფროსი:**

თიბისი ბანკს აქვს რამდენიმე სახის ანაბარი მაღალი საპროცენტო განაკვეთით. თქვენს შემთხვევაში გირჩევთ გახსნათ ანაბარი "ჩემი სეიფი", რადგან მისი პირობები ერთდროულად იძლევა თანხის თავისუფლად განკარგვისა და მაღალი საპროცენტო სარგებლის მიღების საშუალებას.

ანაბარი "ჩემი სეიფის" მინიმალური პირველადი შენატანი 500 ლარი, დოლარი ან ევროა (გააჩნია, რომელ ვალუტაში გსურთ მისი გახსნა). ანაბარს საპროცენტო სარგებელი 3 თვეში ერთხელ ერიცხება. 3 თვიან პერიოდში ანაბარზე დაფიქსირებულ ხელუხლებელ ნაშთს ერიცხება მაღალი პროცენტი: ლარის ანაბარზე - 6%, დოლარის ანაბარზე - 5% და ევროს ანაბარზე - 4%.

თუ თქვენ ფიქრობთ, რომ ანაბარზე ყოველთვის შეძლებთ ხელუხლებლად გარკვეული თანხის დატოვებას, მაშინ ეს ანაბარი სწორედ თქვენთვის არის შესაფერისი.

აქვე მინდა გირჩიოთ, რომ თუ ანაბრის გახსნას გადაწყვეტთ, ჯობს ეს 30 ნოემბრამდე გააკეთოთ, რადგან ამ პერიოდში თიბისი ბანკში დეპოზიტების საშემოდგომო აქცია მიმდინარეობს და აქციის მანძილზე გახსნილ დეპოზიტებზე არსებული საპროცენტო განაკვეთები 2%-ით გაიზრდება ლარზე გახსნილი ანაბრების შემთხვევაში, ხოლო 1%-ით დოლარსა და ევროში გახსნილ ანაბრებზე. კონკრეტულად "ჩემი სეიფის" წლიური სარგებელი აქციის პირობებში გაიზრდება და გახდება:

ლარის ანაბარზე - 8%
დოლარის ანაბარზე - 6%
ევროს ანაბარზე - 5%

***არის თუ არა შესაძლებელი 100 ლარით ანაბრის გახსნა?***



**ვაჟა ბერიაშვილი, თიბისი ბანკის პროდუქტების განვითარების განყოფილების უფროსი:**

სავსებით შესაძლებელია. 100 ლარით თქვენ შეგიძლიათ თიბისი ბანკში გახსნათ შემნახველი ანაბარი. თუმცა ანაბარზე პროცენტის დარიცხვა იმ შემთხვევაში მოხდება, როდესაც მინიმალური ნაშთი 500 ლარს გადააჭარბებს. თქვენ დაგერიცხებათ წლიური საპროცენტო განაკვეთი - 3% ლარის ანაბარზე, 2% - დოლარის ანაბარზე და 1,5% - ევროს ანაბარზე.

შემნახველ ანაბარზე თანხის დამატება და გატანა შეზღუდული არ არის და თქვენ თქვენი სურვილისამებრ შეძლებთ თქვენი თანხის გამოყენებას.

მაგრამ, თუ ფიქრობთ, რომ ანაბარზე არსებულ თანხას ყოველთვიურად დაამატებთ გარკვეულ დანაზოგს, მაშინ გირჩევთ "ზრდადი შემნახველი ანაბრის" გახსნას. ამ ტიპის ანაბრის გახსნა თიბისი ბანკში თქვენ 50 ლარითაც (დოლარით, ევროთი) შეგიძლიათ და თან გაცილებით მაღალ წლიურ სარგებელსაც მიიღებთ.

"ზრდად შემნახველ ანაბარზე" წლიური საპროცენტო განაკვეთი იმდენად მაღალია, რომ, თუ თქვენს ყოველთვიურ შენატანსაც გავითვალისწინებთ, საბოლოო ჯამში თქვენი დანაზოგი სოლიდური დანამატით დაგიბრუნდებათ უკან. "ზრდადი შემნახველი ანაბრის" საპროცენტო განაკვეთებია: ლარის ანაბარზე - 9%, დოლარის ანაბარზე - 7% და ევროს ანაბარზე - 6%.

***წელს ჩავაბარე ეროვნული გამოცდები და მივიღე 50%-იანი სახელმწიფო დაფინანსება, რაც შეადგენს 750 ლარს, თუმცა ეს თანხა არ არის საკმარისი ჩემი სწავლის სრული საფასურის გადასახდელად. სტუდენტური სესხების გაცემა საქართველოში ბევრმა ბანკმა დაიწყო, თუმცა პირობები ყველას სხვა და სხვა აქვს. რა პირობებით გასცემს სტუდენტურ სესხებს თიბისი ბანკი და რა საბუთები დამჭირდება სესხის ასაღებად?***



**ლელა ჭინჭარაული, თიბისი ბანკის საცალო საკრედიტო რისკების მართვის განყოფილების უფროსი:**

თიბისი ბანკი სტუდენტებს სთავაზობს სესხებს საკმაოდ შეღავათიანი პირობებით. წლიური საპროცენტო განაკვეთი სტუდენტურ სესხებზე 14%-ია. სესხი გაიცემა ლარში.

თუ თქვენ სახელმწიფოსგან 50%-იანი დაფინანსება მიიღეთ, სესხის ასაღებად საჭიროა, რომ თქვენს თანამსესხებელს (ერთ-ერთი მშობელი, ან და, ან ძმა) ჰქონდეს ხელფასი მინიმუმ 300 ლარის ოდენობით. ხოლო თუ მას ხელფასი თიბისი ბანკში ერიცხება, საკმარისია 200 ლარის არსებობა.

სესხის აღების პროცედურა ძალიან მარტივია და დაახლოებით 1 საათს გრძელდება. იშვიათ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელი იქნება თანამსესხებლის შემოსავლის გადამოწმება, სესხის გაცემა მოხდება არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.

ამასთან, სტუდენტური სესხის მფლობელს ბანკი დამატებით საჩუქრად გადასცემს ჩიპურ ვიზა ელექტრონ ბარათს, რომელიც მომავალში ძალიან გაგიადვილებთ სესხის დაფარვას - სესხის გადახდა შეგეძლებათ ბანკის ფილიალებში მიუსვლელად, თიბისი ბანკის ბანკომატების მეშვეობით, საიდანაც არა მხოლოდ თანხის გატანა, არამედ შეტანაც არის შესაძლებელი. ბარათს სესხის გაცემიდან მეორე დღესვე მიიღებთ ბანკის იმ ფილიალში, რომელსაც საკუთარ მომსახურე ფილიალად აირჩევთ.

კიდევ ერთი საჩუქარი სტუდენტური სესხის მფლობელთათვის არის ინტერნეტ ბანკი, რომლითაც სტუდენტები შესძლებენ თავიანთი საბანკო ანგარიშების კონტროლს, სესხის დისტანციურ მართვას და სხვა.

***რეკლამიდან შევიტყვეთ, რომ თქვენს ბანკში დაიწყო ანაბრების აქცია, რომლის დროსაც, საპროცენტო განაკვეთების გაზრდასთან ერთად, თიბისი ბანკი უფასო სადაზღვევო მომსახურებასაც გვთავაზობს. გთხოვთ ამიხსნათ, რა შედის ამ მომსახურებაში და ვის შეუძლია ამ მომსახურების მიღება?***



**დავით კენჭაძე, თიბისი ბანკის მარკეტინგის მენეჯერი:**

ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც დეპოზიტების საშემოდგომო აქციის ფარგლებში თიბისი ბანკში გახსნის ვადიან ან ვადიან პლიუს ანაბარს, მინიმუმ 4.000 დოლარის, 4.000 ევროს ან 8.000 ლარის ოდენობით, თიბისი ბანკი უფასოდ გადასცემს ჯიპიაი ჰოლდინგის ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისს - "პოლისი მეანაბრე", რომელიც, გამომდინარე ანაბრის მოცულობიდან, შეიძლება მოიცავდეს A ან B პაკეტებს:

"პოლისი მეანაბრე - A" - გაიცემა მეანაბრეებზე, რომელთა ანაბრის მოცულობა შეადგენს 4.000 დოლარიდან 50.000 დოლარამდე. პაკეტი მოიცავს:

■ უფასო ასისტანსი (დახმარება ჯანმრთელობის გაუარესების დროს, სატელეფონო კონსულტაცია, სასწრაფო დახმარების გამოძახება და სხვა).
■ პირადი ექიმი - ანაზღაურდება ხარჯების 100%.
■ სასწრაფო სამედიცინო დახმარება - ანაზღაურდება ხარჯების 100%.
■ ამბულატორიული მომსახურება და მკურნალობა - ანაზღაურდება ხარჯების 50%, მაქსიმუმ 500 ლარის ოდენობით.
■ მედიკამენტები - ანაზღაურდება ხარჯების 10%.
■ ჰოსპიტალიზაცია - ანაზღაურდება ხარჯების 80%, მაქსიმუმ 5.000 ლარის ოდენობით.
■ გადაუდებელი სტომატოლოგია - ანაზღაურდება ხარჯების 100%.
■ სტომატოლოგია - ანაზღაურდება ხარჯების 10% სადაზღვევო კომპანია "ჯიპიაი ჰოლდინგის" პარტნიორ სტომატოლოგიურ კლინიკებში, მაქსიმუმ 200 ლარის ოდენობით.

"პოლისი მეანაბრე - B" - გაიცემა მეანაბრეებზე, რომელთა ანაბრის მოცულობა აღემატება 50.000 აშშ დოლარს და იგი მოიცავს შემდეგი სამედიცინო მომსახურებების დაფინანსებას:

■ უფასო ასისტანსი (დახმარება ჯანმრთელობის გაუარესების დროს, სატელეფონო კონსულტაცია, სასწრაფოს გამოძახება და სხვა).
■ პირადი ექიმი - ანაზღაურდება ხარჯების 100%.
■ სასწრაფო სამედიცინო დახმარება - ანაზღაურდება ხარჯების 100%.
■ ამბულატორიული მომსახურება და მკურნალობა - ანაზღაურდება ხარჯების 100%.
■ მედიკამენტები - ანაზღაურდება ხარჯების 100%.
■ ჰოსპიტალიზაცია - ანაზღაურდება ხარჯების 100%.
■ გადაუდებელი სტომატოლოგია - ანაზღაურდება ხარჯების 100 %.
■ სტომატოლოგია - ანაზღაურდება ხარჯების 10% "ჯიპიაი ჰოლდინგის" პარტნიორ სტომატოლოგიურ კლინიკებში, მაქსიმუმ 200 ლარის ოდენობით.

საშემოდგომო აქციის განმავლობაში გახსნილი ანაბრების მფლობელებს უფასოდ ჩაუტარდებათ ნებისმიერი გადაუდებელი მკურნალობა, ქირურგიული ოპერაციები, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები, ანალიზები და ა.შ.

სადაზღვევო პოლისის მოქმედების ვადა შეესაბამება ანაბრის ვადას, მაგრამ არ აჭარბებს 1 წელიწადს. რაც უფრო გრძელი ვადით იხსნება საბანკო ანაბარი, მით უფრო ხანგრძლივია საჩუქარი სადაზღვევო პოლისის სახით.

# თბილისი - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ახალი რეგიონული ცენტრი

პირველი გვერდიდან

შეხვედრაზე საქართველოში რეგიონული წარმომადგენლობების გახსნის საკითხი, ასევე საქართველოსათვის 2006 - 2008 წლებში ევრობანკის ახალი სტრატეგია განიხილეს. ორი კვირის შემდეგ EBRD-ის საბჭო საქართველოს ახალ, ორწლიან სტრატეგიას დაამტკიცებს, რომელიც, როგორც გუშინ რეგიონული ოფისის გახსნის ცერემონიაზე აცხადებდნენ, საკმაოდ ამბიციური იქნება. რატომ ამბიციური? პასუხი მარტივია - EBRD-ი მიესალმება საქართველოში მიმდინარე რეფორმებს.

უკვე ცნობილია, რომ სამომავლოდ EBRD-ის ინვესტიციები საგრძნობლად გაიზრდება და 125-135 მილიონ დოლარს მიაღწევს, რომელიც 20-25 პროექტზე გაიხარჯება. EBRD-ის პრიორიტეტები ენერგეტიკის, ინფრასტრუქტურის, საბანკო სექტორებს და ადგილობრივ წარმოებას უკავშირდება.

საქართველოში ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის პორტფელის ზრდის ხელშემწყობ მიზეზად ბანკის წარმომადგენლობაში 2004 წელს გარდამავალი ეკონომიკის ადრეულ ეტაპზე მყოფი ქვეყნების ინიციატივის (ETCI) ჩამოყალიბებას ასახელებენ. ETCI-ის მიზანი ახალი "გამარტივებული მეთოდით" საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ყირგიზეთში, მოლდოვაში, ტაჯიკეთსა და უზბეკეთში საბაზრო აქტივობის ხელშეწყობაა, რაც მეტი რაოდენობით მცირე პროექტების დაფინანსებას, ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკური რეფორმების წახალისებას გულისხმობს.

# Euro Class Technology srl ქართულ კომპანიებს ტექნოლოგიურ ხაზებს სთავაზობს

იტალიური ფირმა "Euro Class Technology srl"-ის მომსახურებით საქართველოში რამდენიმე კომპანია - "ქართუ-უნივერსალი," "ნიკორა," "ყაზბეგი," "სამგორი," "7-პურის ქარხანა," "1-პურის ქარხანა," "მომავალი-2000" და "ქუთაისის რძის კომბინატი" სარგებლობს. როგორც იტალიური კომპანიიდან სააგენტო GBC-ს აცნობეს, იგი ქართულ კომპანიებს იტალიური მწარმოებელი ფირმებისგან მოწოდებული 16 სახის მოწყობილობა-დანადგარებს სთავაზობს:

- დასაფასოებელი ავტომატები რძის, კეფირის, ხაჭოს, წვენების, კონფიტიური, თაფლის, კარაქის, ყველის და სხვა, აგრეთვე ფხვიერი პროდუქტების პლასტმასის ჭიქებში და ყუთებში
- პოლივინილქლორიდის და პოლიეთილენის გრანულებისგან გაბერვის წესით ბოთლების საწარმოებელი დანადგარი, რომელიც გამოიყენება საკვები ზეთისათვის, არაყის, ღვინისა და წყლისთვის;
- არაყის, ღვინის, ლუდის, შამპანურის, სასმელი წყლის და წვენის ჩამოსასხმელი ხაზები, მზესუმზირის გადასამუშავებელი ხაზები, ზეთის ჩამოსასხმელი ხაზები;
- საკონდიტრო ნაწარმის დამამზადებელი მანქანები, პურ-ფუნთუშეულის საცხობები;
- საფქვავი წისქვილები, მაკარონის მწარმოებელი მოწყობილობა;
- რძის ქარხანა, ყველის სახარში დანადგარები რბილი და მაგარი ყველის დასამზადებლად;
- ხილის და ბოსტნეულის გადამამუშავებელი მოწყობილობა, წვენის, კონცენტრატის წარმოება;
- საბავშვო კვების საწარმოებელი ტექნოლოგიური ხაზები;
- ნაყინის საწარმოებელი მინი-ქარხანა - გამაციებელი სისტემები;
- ძეხვეულის საწარმოებელი მინი-ქარხანა, ხორცის კონსერვების საწარმოებელი ხაზები, ნებისმიერი ფხვიერი და მყარი პროდუქტების დამფასოებელი და შემფუთავი მანქანები, ვაკუუმ-შემფუთავი მანქანები;
- სამაცივრო და სავაჭრო მოქყობილობები, დახლები და ვიტრინები;
- მოწყობილობები, აქსესუარები და ავეჯი ბარებისა და რესტორნებისათვის. კომპანია დაინტერესებულ კომპანიებს ასევე სთავაზობს სამონტაჟო სამუშაოებს, პერსონალის მომზადებას, სათადარიგო ნაწილებს, ტექნიკურ მომსახურებას. "Euro Class Technology srl-ს გააჩნია ფილიალები ზაპოროჟიეში, ხარკოვში, დნეპროპეტროვსკში, ლუგანსკში, დონეცკში, ოდესაში, ლვოვსა და ალმა-ატაში. **GBC**




## თელავში კონცენტრატების ქარხანა იხსნება

თელავში კონცენტრატების ქარხანა იხსნება. ქარხანა სეზონის განმავლობაში 30 ტონა ყურძნის შესყიდვასა და გადამუშავებას შეძლებს. როგორც კახეთში პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილემ თემურ ლამაზოშვილმა განაცხადა, ქარხანა მთლიანად ქართულ კაპიტალზეა დაფუძნებული.

"ქარხნის მშენებლობა 13-14 ათასი დაჯდა და ის წლის მანძილზე 30 ტონა ყურძნის გადამუშავებას შეძლებს. საბოლოო პროდუქტი კი ყურძნის წვენი იქნება, რომელიც სხვადასხვა მარკით როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ გაიყიდება," - განაცხადა თემურ ლამაზოშვილმა.

მისივე განმარტებით, ქარხნის მიერ გადამუშავებული წვენი ნატურალური სახით გაიყიდება. სხვადასხვა ბაზრების ათვისება კი მთლიანად მის მწარმოებელზეა დამოკიდებული.

კონცენტრატების ქარხნის ოფიციალურ გახსნას პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხო სვიმონიშვილი და პრეზიდენტის რწმუნებული პეტრე ცისკარიშვილი დაესწრნენ. . **ჯი-ეიჩ-ენი**

## ქართული ღვინის გასაცნობად თბილისს უცხოელი ჟურნალისტები ესტუმრებიან

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ინიციატივით თბილისს უცხოელი ჟურნალისტები ესტუმრებიან.

როგორც "ინტერპრესნიუსს" სავაჭრო პალატაში განუცხადეს, ჟურნალისტები თბილისში დღეს ჩამოვლენ და ქართული ღვინის ტექნოლოგიებს გაეცნობიან.

სავაჭრო პალატის ინფორმაციით, აღნიშნული პროექტი ქართული ღვინის მხარდასაჭერად და პოპულარიზაციისთვის ხორციელდება. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ღვინის ქარხნების დათვალიერება, ქართული ღვინისა და ნაციონალური კერძების დეგუსტაცია. სტუმრები გაეცნობიან ქართული მეღვინეობის და სამზარეულოს ისტორიას და ამ სექტორში დღეს არსებულ მდგომარეობას.

თბილისს "საქართველოს ღვინის ენციკლოპედიის" ავტორი, ჰოლანდიური გამოშვებების ჟურნალისტი კრისტიან კალეკი, უმსხვილესი დანიური ჟურნალის "Fyens Stifstidende" რედაქტორი იორგენ ალდრიჩი და ღვინისა და ალკოჰოლურ სასმელების შესახებ მწერალ ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი, პოლონეთის ვაზისა და ღვინის ინსტიტუტის დამფუძნებელი ვიქტორ ბრუზევსკი ესტუმრება. ჟურნალისტები საქართველოში 28 სექტემბრამდე დარჩებიან. **ინტერპრესნიუსი**

## ონიშჩენკო ქართული ალკოჰოლური სასმელების წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობს

რუსეთის მომხმარებელთა უფლებების დაცვის ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელის გენადი ონიშჩენკოს მითითებით რუსეთის ტერიტორიაზე სპირტიანი სასმელების მწარმოებლების შემოწმება დაიწყო. შემოწმების მიზანი ქართული წარმოების ღვინომასალების აღმოჩენაა. როგორც ონიშჩენკოს უწყებაში აცხადებენ, მოსკოვში აღმოჩნდა "ხვანჭკარას," "ალაზნის ველის," "ახაშენისა" და სხვა დასახელების ქართული ღვინოების საწყობები. ონიშჩენკოს განცხადებით, ჩამოთვლილი ღვინოები არ შეესაბამებოდნენ დაწესებულ ნორმებს. მისი თქმით, მსგავსი დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, ღვინოების მფლობელებს ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის სასჯელი ელით. გარდა ამისა, რუსეთის მომხმარებელთა უფლებების დაცვის ფედერალური სამსახური, რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენლებთან ერთად, 3-7 ოქტომბერს მოლდოვის რამდენიმე ღვინის ქარხნის ინსპექტირებას ჩაატარებს, რის შედეგადაც მიიღებენ მოლდოვური ღვინოების რუსულ ბაზარზე დაბრუნება-არდაბრუნების გადაწყვეტილებას. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სადაზღვევო კომპანია "ბი სი აიმ" ახალი პროდუქტი შექმნა

სადაზღვევო კომპანია "ბი სი აიმ" სადაზღვევო პროგრამა "ჩემების" ფარგლებში ჯანმრთელობის დაზღვევის ახალი უნივერსალური პროდუქტი "ჩემები-უნივერსალი" შექმნა. როგორც კომპანიის პრესსამსახურში განმარტეს, "ჩემები-უნივერსალი" მომხმარებელს საშუალებას მისცემს, თავად აირჩიოს სასურველი სამედიცინო მომსახურება და შექმნას ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისი თავისი მოთხოვნების შესაბამისად. **ჯი-ეიჩ-ენი**.

### Samsung-ს Intel-ის უკან ჩამოტოვება სურს

საყოფაცხოვრებო ტექნიკის მწარმოებელი, მსოფლიოს უმსხვილესი კომპანია, სამხრეთ კორეული Samsung-ი სულ უფრო აფართოებს ნახევარგამტარული მიკროჩიპების, ინტეგრალური მიკროსქემების და პროცესორების წარმოებას და ამ მიმართულებით გრანდიოზული გეგმები აქვს. კომპანიის ხელმძღვანელობის განცხადებით, Samsung-ს დაგეგმილი აქვს, 2010 წლისათვის დაეწიოს და გაუსწროს მიკროელექტრონული პროდუქციის მწარმოებელ ისეთ გიგანტს, როგორიც კალიფორნიული კომპანია Intel-ია. სამხრეთ კორეული კომპანიის ანალიტიკოსთა გათვლით, 21-ე საუკუნის პირველი ათწლეულის ბოლოსთვის მიკროელექტრონული პროდუქციის ბაზარზე Samsung-ის გაყიდვების მოცულობამ 40 მილიარდ დოლარს უნდა მიაღწიოს, რასაც Intel-ის ბატონობის დამხობა მოჰყვება. გეგმის მიხედვით, უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში Samsung-ი ნახევარგამტარულ ბაზარზე თავის წილს ყოველწლიურად 20 პროცენტით გაზრდის და 2010 წლისათვის პროდუქციის მიწოდების გაორმაგებას მიაღწევს.

### Banco Santander-მა Drive Financial Services-ის აქციების 90 პროცენტი იყიდა

ესპანეთის ერთ-ერთმა უმსხვილესმა ბანკმა Banco Santander Central Hispano-მ ამერიკული საავტომობილო ფინანსური კომპანიის Drive Financial Services-ის აქციების 90 პროცენტი 651 მილიონ დოლარად შეიძინა. გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, Banco Santander-ი ბრიტანეთის სიდიდით მეოთხე ბანკს HBOS Plc-ის მის მფლობელობაში არსებული Drive Financial Services-ის აქციების 64,5 პროცენტის სანაცვლოდ 465 მილიონ დოლარს გადაუხდის, აქციების დარჩენილ ნაწილს კი თავად Drive Financial-ისაგან იყიდის. Banco Santander-ის წარმომადგენლის განცხადებით, ესპანურ ბანკს Drive Financial Services-ის დარჩენილი 10 პროცენტის შეძენაც აქვს განზრახული. თუ 2007 და 2008 წლებში კომპანიის შემოსავალი პროგნოზებს გაამართლებს, მაშინ 2009 წლისათვის ესპანური მხარე Drive Financial Services-ის დარჩენილ აქციებში 175 მილიონ დოლარს გადაიხდის.

### საქართველოში საბირჟო საქმიანობის პოპულარიზაცია იწყება

Forex საბირჟო საქმიანობის განვითარების ასოციაციის პრეზენტაცია შაბათს სასტუმრო "სიმპათიაში" გაიმართა. პრაიმ-ნიუს ბიზნესს ასოციაციის პრეზიდენტმა გივი ლომიძემ განუცხადა, რომ ასოციაცია მიზნად ისახავს საბირჟო საქმიანობის განვითარებას, მოსახლეობის ფართო სეგმენტის ჩართვას ამ პროექტებში, დაინტერესებულთათვის კვალიფიკაციის ამაღლების პროფესიული ფორმებისა და მეთოდების შემუშავებას, ასევე საბირჟო პროექტების განხორციელებას და ე.წ. "სავალუტო დილინგის" განვითარებას საქართველოში. მისი თქმით, ასოციაცია გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო კურსების ჩატარებას გეგმავს, რომლის მონაწილეებს საშუალება მიეცემათ, შეისწავლონ სავალუტო და საფონდო ბირჟაზე მუშაობის როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ასპექტები. Forex-ი საქართველოს მოსახლეობისთვის სიახლეს წარმოადგენს. ამდენად, მისი პოპულარიზაცია როგორც მოსახლეობაში, ასევე ქვეყნის ფინანსურ-ეკონომიკური სისტემის განვითარებას შეუწყობს ხელს და მოსახლეობას ბიზნესში ჩართავს, რომელიც საკმაოდ წარმატებულია განვითარებულ მსოფლიოში. ლომიძის თქმით, ასიცაციის საქმიანობის დაწყება საქართველოს პრეზიდენტის აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში, საფონდო ვაჭრობებში ქართული კომპანიების ჩართვასთან დაკავშირებით ლონდონის ბირჟაზე გაკეთებულ განცხადებას სიმბოლურად დაემთხვა. თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის გენერალური დირექტორის მოადგილე ვახტანგ ხომიზურაშვილმა პრაიმ-ნიუს ბიზნესთან საუბარში აღნიშნა, რომ ასოციაციის დაარსება საკმაოდ მნიშვნელოვანი წამოწყებაა, რადგან საბირჟო საქმიანობა საბაზრო ეკონომიკის განუყოფელ ელემენტს წარმოადგენს, ხოლო მისი განვითარება საქართველოში ქვეყნის ფინანსურ-ეკონომიური სისტემის განვითარებას და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას შეუწყობს ხელს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

# აზიურ-აფრიკული მომავალი და ორი რუსეთის უპერსპექტივობა

პირველი გვერდიდან






სამინისტრომ თავისი გადაწყვეტილება ეკოლოგიაზე ზრუნვით ახსნა, უპირველესად კი რუხ ვეშაპებზე ზრუნვით (აქამდე მივიწყებული რუსი ვეშაპებიდან ყველაზე დიდ ზრუნვის საგნად რატომღაც სწორედ სახალინელი ვეშაპები იქცა), რომელთაც თურმე საფრთხე ემუქრებათ. ამ ახსნა-განმარტებამ ვერავინ დააკმაყოფილა, მით უმეტეს - ინვესტორები. განსაკუთრებით მწვავე რეაქცია ამ გადაწყვეტილებას იაპონიაში მოჰყვა. ტოკიოსა და მოსკოვს შორის ტერიტორიული დავის გამო წლების განმავლობაში ისედაც საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ბოლო ხანებში კიდევ უფრო დამძიმდა იაპონელი მეზღვაურის დაღუპვის გამო, რასაც ახლა სახალინის ამბებიც დაერთო. საქმე ისა, რომ ამ პროექტში, "შელის" გარდა (რომელიც პროექტის 55% აკონტროლებს), იაპონური "მიცუბიში" (20%) და "მიცუი" (25%) მონაწილეობენ. სამინისტროს გადაწყვეტილების შემდეგ მათი აქციები ტოკიოს საფონდო ბირჟაზე საგრძნობლად დაეცა. გასაგებია, რომ პროექტის რეალიზაცია გადაიდო და ინვესტორებს დამატებითი ხარჯების გაღება მოუწევთ. რუსეთის გადაწყვეტილებას ევროკომისიაც გამოეხმაურა, მაგრამ დიდი შედეგი არც ამას მოჰყოლია. სამინისტრო თავის პოზიციას იცავს - ინვესტორებმა ექსპერტთა რეკომენდაციებიდან თითქმის ნახევარი არ შეასრულეს. ინვესტორები კი აცხადებენ, რომ ეს ნახევარი სულაც არაა საკმარისი ლიცენზიის ჩამოსართმევად.

არაა გამორიცხული, "შელის" ბედი რუსეთში მოღვაწე სხვა ნავთობგიგანტებმაც გაიზიარონ - "ექსონმობილმა," "ბრიტიშ პეტროლიუმმა" და "ტოტალმა." გამორიცხული არაფერია. თუმცა, აი, პუტინმა ორიოდე დღის წინ ელისეის სასახლეში საფრანგეთის პრეზიდენტ ჟაკ შირაკთან შეხვედრის წინ "ტოტალს" ხელშეუხებლობა აღუთქვა. სხვანაირად, ალბათ, არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან "ტოტალი" ფრანგული კომპანიაა. პუტინი, ისევე, როგორც ბოლო ერთი საუკუნის განმავლობაში რუსეთის ნებისმიერი მმართველი, პარიზთან კარგ ურთიერთობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. თანაც, პარიზში ამჟამინდელ ვიზიტს ერთი კონკრეტული მიზანი დაემატა - რუსეთის პოზიციები ევროპულ საავიაციოკოსმოსურ კონცერნ "იეიდიესში" - ავიამწარმოებელ "ეარბასის" მამობილ კომპანიაში. როგორც ახლახან გაირკვა, რუსული "ვნეშტორგბანკი" თავის დროზე ფარულად იძენდა "იეიდიესის" აქციებს და როცა მათმა რაოდენობამ 5%-ს მიაღწია, ამის შესახებ კომპანიას ამცნო (სხვანაირად უკვე აღარ შეიძლებოდა). აქციების შესყიდვა მაშინ ხდებოდა, როცა მათი ფასი დაცემული იყო. ეს დაცემა "ეარბასის" ახალი მოდელის "ეი 380"-ის წარმოებაში ჩაშვების დაგვიანებამ გამოიწვია, რის შედეგადაც ახლა რუსეთის ხელში თითქმის მილიარდი დოლარის ღირებულების აქციებია. ამის შესახებ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ ბოლო მომენტში გახდა ცნობილი.

## ძველი მითი ორ რუსეთზე

ამ სიახლემ არანაკლები შოკი გამოიწვია სახალინზე, რადგან რუსებმა კონცერნის დირექტორთა საბჭოში ადგილი მოითხოვეს (თანაც, პარალელურად 22 ცალი "ეარბასის" შესყიდვის შესახებ განაცხადეს). დირექტორთა საბჭოში ადგილი ტექნოლოგიასა და ინფორმაციაზე დაშვებას ნიშნავს. ეს კი მეტად ართულებს საქმეებს, რადგან "იეიდიესი" სამხედრო შეკვეთებზეც მუშაობს, ევროპული არმიების უმრავლესობას ამარაგებს და პენტაგონთან თანამშრომლობას აფართოებს.

რუსული პრესის მიხედვით, "იეიდიესის" აქციებს გაერთიანებული ავიასამშენებლო კორპორაცია მიიღებს, რომლის შექმნასაც პუტინი ახლა აპირებს, საბჭოთა საავიაციო მრეწველობის ნარჩენების ფონზე. წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირი თავის თვითმფრინავებს საკუთარ სატელიტებზე ჰყიდდა, რომლებიც უარის თქმას ვერ ახერხებდნენ. ახლა პუტინს ძლიერი და კონკურენტუნარიანი ავიამრეწველობის შექმნა სურს და ეს სრულიად ლეგიტიმურია. "იეიდიესის" მეშვეობით რუსეთი ახალ ტექნოლოგიებს მიიღებს და შედარებით კარგ თვითმფრინავებსაც გამოუშვებს. სხვა თუ არაფერი, რუსული წილი კონცერნში ახლა ესპანურს უტოლდება. ესპანეთი კი პაქტის წევრია, რომელიც "იეიდიესიში" მასთან ერთად საფრანგეთს (აქაურ მედია-ჯგუფ "ლეგარდერს") და გერმანიას ("დაიმლერკრაისლერს") აერთიანებს. ერთობლივად ისინი 51%-ს აკონტროლებენ.

ასე რომ, პარიზში ჩასული პუტინისგან ყველა ამ საკითხის დაყენებას მოელოდა. მით უმეტეს, რომ შირაკის გარდა, იგი გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელს შეხვდა. თუმცა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, რუსეთის პრეზიდენტი ამჯერადაც მოერიდა შემაშფოთებელი განცხადებების გაკეთებას და მედიას აუწყა, რომ რუსეთი "იეიდიესის" ხელმძღვანელობის შეცვლას არ ლამობს. მისი თქმით, გადაწყდა მხოლოდ საექსპერტო ჯგუფების შექმნა საფრანგეთსა და გერმანიასთან ერთად შემდგომი თანამშრომლობის გასაფართოებლად. მოკლედ, პუტინი მოვლენათა დაჩქარებას ჯერჯერობით არ აპირებს. მას არ მოუთხოვია ადგილი დირექტორთა საბჭოში, მაგრამ ეს, ალბათ, არ ნიშნავს, რომ ამ მხრივ მუშაობა არ გაგრძელდება. ისევე, როგორც საბჭოთა კავშირის დროს, ახლაც დაიწყება დასავლეთში რომანტიკოსი პოლიტიკოსებისა და ინტელექტუალების ძებნა, რომელთაც დაარწმუნებენ, რომ საჭიროა რუსეთის უფრო მეტად ჩართვა (engagement) დასავლურ საქმეებში, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსეთში "ბნელი და ანტიდასავლური ძალები" გაძლიერდებიან. არაა გამორიცხული, რომ ზოგიერთ "რომანტიკოსს" პენსიაზე გასვლის შემდეგ კარგი სამსახურიც შესთავაზონ (თუნდაც იგივე "გაზპრომში," როგორც გერმანიის ყოფილ კანცლერს). როგორც ჩანს, ამგვარი ხერხი ისევ ჭრის და კრემლი მას აქტიურად იყენებს.

ორიოდე კვირის წინ სანამ კლუბ "ვალდაიში" პრეზიდენტ პუტინის წინაშე წარდგებოდნენ, დასავლელი პოლიტოლოგები და ჟურნალისტები ჯერ კრემლის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა მიიღო, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მოთმინებით უხსნიდა მათ, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ახლა დასავლეთის მხრიდან რუსეთისადმი რბილ დამოკიდებულებას. საქმე ისაა, რომ თურმე პუტინის მემკვიდრის პოსტის გამო უკვე აპოკალიფსური ბრძოლა მიმდინარეობს. ასეთ სიტუაციაში რუსეთის მიმართ პოლიტიკის ნებისმიერი განმტკიცება საეჭვო ძალების წისქვილზე დაასხამს წყალს. მაგალითად, ამერიკის ხისტი პოზიციის გამო წელს რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლა ჩაიშალა, რამაც სერიოზულად შეარყია ლიბერალთა პოზიციები. ბუში 2008 წელს წავა ისე, როგორც მიდის ნებისმიერი ამერიკელი პრეზიდენტი, პუტინმა კი მემკვიდრე უნდა შეარჩიოს.

## სუვერენული დემოკრატია დასავლური ექსპანსიის წინააღმდეგ

სანამ რუსეთის ნათელი ძალები დასავლეთისგან შველას ითხოვენ, რუსეთის ბნელი ძალები ვაშინგტონის "მზაკვრული და ანტირუსული" გეგმის განეიტრალებაზე მუშაობენ. სახელმწიფო დუმაში დარიგდა ისტორიული მოხსენება სათაურით "2006-2008 წლებში რუსეთთან მიმართებაში აშშ-ს მოქმედებათა შესაძლო სცენარის შესახებ." ავტორების (ერთ-ერთი მათგანი - ყოფილი ელჩი გერმანიაში და ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივანი, მეორე კი - საგარეო დაზვერვის თანამშრომელი და გენერალი) მოხსენება მართლაც შთამბეჭდავია. დოკუმენტის მიხედვით, ვაშინგტონში იგეგმება რუსეთის ხელმძღვანელობის, "სილოვიკებისა" და მსხვილი ბიზნესმენების იზოლაცია, რისთვისაც შესაძლოა, მათზე კორუფციული კომპრომატის მოგროვება და დასავლურ სასამართლოებში მათ წინააღმდეგ საქმეების აღძვრა მოხდეს. იგეგმება შიდაპოლიტიკურ ფრონტზე ვითარების არევა არჩევნების არცნობის გზით. ამაში ვაშინგტონი რომელიმე ოპოზიციური პარტიის ლიდერს დაიხმარს, რომელიც შეგნებულად დაარღვევს კანონმდებლობას და ამ გზით ხელისუფლებას არჩევნებიდან მის კანდიდატურას მოახსნევინებს. დასავლეთისათვის ამ ბნელ გეგმაში ყველაზე რეალურ მოკავშირედ მიხაილ კასიანოვი განიხილება. ამავე დროს, დასავლეთი აქტიურად იმუშავებს ახალი ოპოზიციური ბლოკების შექმნაზე, რომელთაგან ყველაზე პერსპექტიულად რიჟკოვ-როგოზინის (?!) ალიანსს განიხილავენ.

ცხადია, მოხსენებაში დიდი ადგილი ეთმობა რუსეთის "ენერგეტიკული სუვერენიტეტის შერყევის მცდელობის" შესაძლო სცენარებსაც. თუმცა, ამ მხრივ ახალი არაფერია ნათქვამი: რუსეთის ბაზარზე დასავლური კომპანიების შეღწევა, რუსეთის გვერდის ავლით ალტერნატიული ენერგოდერეფნების განვითარება (რასთან დაკავშირებითაც გაძლიერდება ვაშინგტონის დაწოლა აზერბაიჯანზე, ყაზახეთზე, უზბეკეთსა და თურქმენეთზე) და რუსეთ-ჩინეთის ენერგოსფეროში თანამშრომლობისათვის ძირის გამოთხრა.

ერთ-ერთ ბოლო აკორდს რუსეთის დანგრევის სცენარში საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში მიღება წარმოადგენს. როგორ უნდა გადარჩეს რუსეთი ასეთ საშინელ სცენარში? ავტორები გამოსავალს დემოკრატიულ მოდერნიზაციაში ხედავენ, რომელიც რუსეთის თაოსნობით მთელ პოსტ-საბჭოთა სივრცეში უნდა განხორციელდეს. ჩანს, საუბარია "სუვერენული დემოკრატიის" გავრცელებაზე. ამ ტერმინის აზრი ბოლომდე ჯერ ვერავის გაუგია, მაგრამ, ამის მიუხედავად, რუსი პოლიტოლოგები უკვე ხმამაღლა საუბრობენ იმაზე, რომ "სუვერენული დემოკრატია" მალე ტრადიციული და ნორმალური დასავლური დემოკრატიის სერიოზულ ალტერნატივად იქცევა და რუსეთი მისი წყალობით თავის დაუძინებელ მტერთან იდეოლოგიურ ბრძოლასაც მოიგებს. ანტირუსული სცენარის განეიტრალების მიზნით, რუსეთის მიერ "სუვერენული დემოკრატიის" შუქურად ქცევის პარალელურად უნდა დაიწყოს ერთიანი ეკონომიკური სივრცის განმტკიცება (მოხსენების ავტორთა სამწუხაროდ, უკრაინის გარეშე) და რუსეთ-ბელორუს-ყაზახეთის ბირთვის განმტკიცება. ყველაზე უკეთ "სუვერენული დემოკრატიის" გავრცელების საქმეს, ალბათ, რუსეთისა და ბელარუსის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება წაადგება. მოკლედ, იწყება გადამწყვეტი ბრძოლა დასავლეთთან.

## აზია-აფრიკის ტანდემი - მსოფლიო ეკონომიკის მომავალი?

ასეთ დროს კი საინტერესო სტატისტიკას აქვეყნებს მსოფლიო ბანკი - აფრიკული ექსპორტის 27% აზიაზე, უპირველესად კი, ჩინეთსა და ინდოეთზე მოდის. ეს სამჯერ აღემატება 1990 წლის მონაცემებს. ამავე დროს, აზიური ექსპორტი აფრიკაში ყოველწლიურად 18%-ით იზრდება. რიცხვები იმას მოწმობს, რომ მსოფლიოს ყველაზე ჩამორჩენილი და განუვითარებელი რეგიონი (რომელსაც სწორედ ამ მიზეზის გამო ზრდისა და განვითარების ყველაზე კარგი პერსპექტივა გააჩნია) ყველაზე მჭიდროდ აზიის ორ გიგანტთან თანამშრომლობს. ორივე მათგანს ძალიან სჭირდება ბაზარი თავისი პროდუქციისათვის და ასევე სჭირდება იგივე აფრიკული ენერგორესურსები. ჯერჯერობით ამ ენერგორესურსებს, ძირითადად, ისევ და ისევ დასავლური კომპანიები ითვისებენ, მაგრამ ბოლო დროს განვითარებული ენერგოსექტორის პრივატიზაციის ტალღამ უკვე აფრიკის არაერთ სახელმწიფოს გადაუარა, რასაც აუცილებლად მოჰყვება დიდი ცვლილებები. გამორიცხული არ არის, აქ ჩინურ და ინდურ კომპანიებსაც გაუჩნდეთ შეღწევის კარგი შანსები. მით უმეტეს, რომ მათ აფრიკაში მუშაობის უკვე კარგი გამოცდილება აქვთ. მაშინ, როცა რუსეთი დიდძალ ფულს ყრის ბირთვული არსენალის მოდერნიზაციაში, ვენესუელის ექსცენტრულ პრეზიდენტს იარაღს აწვდის და ანტირუსული შეთქმულებების წინააღმდეგ კონტრზომებს ამზადებს, ჩინეთი და ინდოეთი მომავლისკენ იყურებიან. ეს მომავალი მათთვის აფრიკასთან თანამშრომლობაა.

თუკი დაახლოების ეს ტენდენცია გაგრძელდა, აფრიკული სახელმწიფოები ჩინეთისა და ინდოეთისგან თანდათანობით აითვისებენ იმ ცოდნასა და უნარებს, რასაც ამ დიდ სახელმწიფოებში ეკონომიკური ბუმი მოჰყვა. აფრიკისათვის ყველაზე იოლი, ალბათ, სწორედ ჩინური და ინდური გამოცდილების მიღება, რადგან ამ სახელმწიფოებმა განვითარება ერთობ დაბალი დონიდან დაიწყეს. აფრიკასთან თანამშრომლობა გაცილებით უფრო პერსპექტიულია ჩინეთისათვის. ეს გრძელვადიან და ორმხრივად მომგებიან თანამშრომლობას გულისხმობს, რომელიც მთელი მსოფლიოს ეკონომიკას წაადგება.

### კლება აშშ-ს ბირჟაზე










გასული კვირის ბოლოს ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა კლება დაფიქსირდა. ინვესტორები შიშობენ, რომ აშშ-ს ეკონომიკური ზრდის ტემპი უფრო სწრაფად ნელდება, ვიდრე მოსალოდნელი იყო, რის გამოც ისინი მსხვილი კომპანიების აქციებს ყიდიან. ინვესტორთა განწყობაზე კიდევ უფრო უარყოფითი გავლენა მოახდინა ფილადელფიის სარეზერვო ბანკის ინდექსის გამოსვლამ, რომელიც აშშ-ს შუაატლანტიკური რეგიონის საწარმოო სექტორის კონიუნქტურას ასახავს. პირველად სამი წლის განმავლობაში ინდექსი ნულს ქვემოთ დაეშვა, რამაც ეკონომიკის მდგომარეობისა და კომპანიათა მოგების შესახებ პესიმიზმი გააღრმავა.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,22 პროცენტით, 11.508,10 პუნქტამდე შემცირდა. 0,84 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 2.218,93 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,25 პროცენტით, 1.314,78 პუნქტამდე მოიკლო.

### ნავთობის ფასი ვარდნას განაგრძობს

პარასკევს ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების კლება გაგრძელდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 60,41 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 60,55 დოლარი/ბარელამდე გაიაფდა, რაც ბოლო ექვსი თვის განმავლობაში დაფიქსირებული მინიმალური მაჩვენებელია.

"შავი ოქროს" გაიაფებას ხელი შეუწყო ირანის ბირთვული პროგრამის ირგვლივ არსებული პროგრამის მოგვარების იმედმა, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე ამ ქვეყნის პრეზიდენტის მაჰმუდ აჰმადინეჯადის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ განაპირობა. აჰმადინეჯადის თქმით, ირანი მზად არის, გარკვეული პირობების სანაცვლოდ ურანის გამდიდრების პროგრამაზე უარი თქვას. დამატებითი გავლენა აშშ-ში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საკმარისი რაოდენობით არსებობის შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ განაპირობა.

შედეგად, "ოპეკის სანავთობე კალათის" ფასი პირველად ექვსნახევარი თვის განმავლობაში 56 დოლარი/ბარელის ნიშნულს ჩამოსცდა და 55,99 დოლარი/ბარელი შეადგინა.

შეგახსენებთ, რომ ტერმინი "ოპეკის კალათა" (OPEC Reference Basket of Crudes) ოფიციალურად 1987 წლის 1 იანვრიდან შემოიღეს და იგი კარტელის წევრი 11 ქვეყნის მიერ მოპოვებული ამდენივე მარკის ნავთობის ღირებულების საშუალო არითმეტიკულით გამოითვლება. ესენია: ალჟირული Saharan Blend, ინდონეზიური Minas, ირანული Iran Heave, კუვეიტური Kuwait Export, ლიბიური Es Sider, ნიგერიული Bonny Light, ყატარული Qatar Marine, Arab Light (საუდის არაბეთი), Murban (არაბეთის გაერთიანებული საემიროები) და ვენესუელური BCF 17.

1999 წლიდან ოპეკის ქვეყნებმა გააუქმეს 22-28 დოლარი/ბარელის ფარგლებში არსებული ოფიციალური "ფასთა დერეფანი", 2006 მარტიდან კი "კალათის" ფასების საზღვარი დეკლარაციულად 50 და 60 დოლარი/ბარელით განისაზღვრა. "ოპეკის" კალათის" ფასის ისტორიული მაქსიმუმი 71,71 დოლარი/ბარელი 2006 წლის 14 ივლისს დაფიქსირდა.

### ძვირფასი ლითონების ფასმა მოიმატა

პარასკევს, ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე, ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასების ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 უნცია ოქროს ღირებულებამ 1,2 პროცენტით მოიმატა და 595,4 დოლარი შეადგინა. ვერცხლის ფასმა 0,58 პროცენტით, 11,31 დოლარი/უნციამდე მოიმატა. პლატინა 0,76 პროცენტით, 1148,1 დოლარი/უნციამდე, პალადიუმი კი 4,1 პროცენტით, 321,65 დოლარი/უნციამდე გაძვირდა.

ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების გაძვირება დოლარის კურსის ვარდნამ განაპირობა, რისი მიზეზიც, თავის მხრივ, აშშ-ს ეკონომიკის არადამაიმედებელ მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციები გახლდათ. როგორც ცნობილია, როცა გეოპოლიტიკური დაძაბულობა კლებულობს, ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების ფასის განმსაზღვრელად დოლარის კურსი რჩება.

### აზერბაიჯანული ნავთობის ფასები: კვირის შედეგები (18-22 სექტემბერი)

აზერბაიჯანული AZERI LT (CIF) ნავთობის ფასმა 18-22 სექტემბერს საშუალოდ ბარელზე 61,72 აშშ დოლარი შეადგინა, რაც გასული კვირის საშუალო ფასთან შედარებით 2,9%-ით ნაკლებია. სააგენტო "ტრენდი" იტყობინება, რომ AZERI LT (CIF) მაქსიმალური ფასი, 18-22 სექტემბერს, ბარელზე 63,96 აშშ დოლარი, ხოლო მინიმალური - ბარელზე 60,50 აშშ დოლარი დაფიქსირდა. AZERI LT (CIF) ნავთობს აზერბაიჯანი საქართველოდან, ბათუმისა და სუფსას პორტებიდან ყიდის. 18-22 სექტემბერს URAL (EX-NOVO) ნავთობის საშუალო ფასი, რომელსაც აზერბაიჯანი ნოვოროსისკის პორტიდან ყიდის, ბარელზე 56,82 აშშ დოლარს შეადგენდა. აღნიშნულ პერიოდში, URAL-ის მაქსიმალურმა ფასმა ბარელზე 59,19 აშშ დოლარი, ხოლო მინიმალურმა - ბარელზე 55,58 აშშ დოლარი შეადგინა. Brent (DTD)-ის ნავთობის საშუალო ფასმა ბარელზე 18-22 სექტემბერს 60,19 აშშ დოლარი შეადგინა. ბარელი Brent (DTD)-ის მაქსიმალური ფასი აღნიშნულ პერიოდში 62,55 აშშ დოლარი, ხოლო მინიმალური - 58,87 აშშ დოლარი დაფიქსირდა. Azeri Light-ის სიმკვრივე API-ის შკალით 34,6 გრადუსია, გოგირდის შემცველობა - 0,14%. URAL-ის სიმკვრივე 32 გრადუსს შედაგენს, გოგირდის შემცველობა - 1,3%-ს. DTD-ის სიმკვრივე - 38,2 გრადუსი, გოგირდის შემცველობა - 0,36%. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

# ვარსკვლავები ვენახში

ზვიად რუაძე
კახეთიდან

*გასულ კვირას კახეთში ვარსკვლავთცვენა იყო. კულტურის სამინისტრომ გლეხების გასახალისებლად ვენახებში შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები და ცნობილი სპორტსმენები ჩაიყვანა.*

"ვარსკვლავური რთველი" სოფელ წინანდალში შედგა. "ლენტი" ვენახში მომღერალმა თემურ თათარაშვილმა გაჭრა, რომლის შემდეგაც სპორტსმენები და მომღერლები ერთმანეთს შეეჯიბრნენ, თუ ვინ რამდენ ვედრო ყურძენს მოკრეფდა. თიკა ჯამბურიამ, რომელიც რთველში პირველად იყო, დიდი მცდელობის მიუხედავად ოც კილო ყურძენზე მეტი ვერ მოკრიფა. შოუ ბიზნესის წარმომადგენლებიდან ყველაზე მეტად კახა ცისკარიძე და სტეფანე აქტიურობდნენ. რთველი დამღლელი მხოლოდ ოლიმპიური ჩემპიონის ნესტორ ხერგიანისთვის აღმოჩნდა. მას ვენახებში მუშაობას ტატამზე გორაობა ურჩევნია. "მართალია მე კახეთში პირველად არ ვარ, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ვენახში მუშაობა რთული ყოფილა. ამიტომ მირჩევია ისევ ტატამზე ვიგორაო", - ამბობს ხერგიანი. ის კი ვისთვისაც ვანახი უცხო არ იყო, თავს მხოლოდ ყურძნის ჭამით იქცევდა და მეგობრების რეპლიკებსაც მშვიდად უსმენდა. "ზვიადაურს თავისი მოსავალი ვერ დაუბინავებია და აქ მოკრეფს ყურძენს?", - ასე ეხუმრობდა გიორგი ასანიძე ზურაბ ზვიადაურს.

ვარსკვლავების რთველი ერთ საათს გაგრძელდა, რომელიც ბოლოს სიმღერით ჯგუფმა "სეიშენმა" დაასრულა. "რთველი 2006-"ის მიმდიანრეობით კი კმაყოფილებას სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხო სვიმონიშვილი ვერ ფარავდა. "კახეთში რთველი წარმატებით მიმდინარეობს. ამ დროის მონაცემებით 42 ქარხანა ამუშავებს ყურძენს. მთლიანობაში კი დაახლოებით მოსავლის 40 პროცენტია დაბინავებული. გარდა ამისა, ძალიან დიდი რაოდენობის ყურძენია გასული სხვადასხვა რეგიონებში, რადგან პრეზიდენტის ინიციატივას მცირე თუ მსხვილი საწარმოები გამოეხმაურნენ და ათასობით ტონა ყურძენი შეიძინეს", - აცახდებს სოფლის მეურნეობის მინისტრი და იქვე დასძენს, რომ რთველი კახეთში ორ კივირაში დასრულდება.

მიუხედავად ასეთი განცახდებისა, მოსახლეობის ნაწილი მთავრობის მიმართ მაინც უკმაყოფილებას გამოთქვავს. სამთაწყაროელებმა ჯერ კიდევ არ იციან რა უყონ მოწეულ მოსავალს, რადგან მათ ყურძენი უკვე ულპებათ.

# კოდორში ბიზნესის რეგისტრაციის სამსახური გაიხსნება

თინა შავაძე

14-წლიანი შესვენების შემდეგ, ხვალ, გულრიფშის რაიონში, კოდორის ხეობის სოფელ ჩხალთაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი აფხაზეთის საგადასახადო სამსახურისთვის ოფისს გახსნის. ოფისში განთავსდება ზემო აფხაზეთის გადამხდელთა მომსახურების (რეგისტრაციის) განყოფილება. მისი მთავარი ამოცანა კოდორში ეკონომიკური აქტივობის ხელშეწყობა იქნება.

საგადასახადო დეპარტამენტში აცხადებენ, რომ ადგილობრივ მცხოვრებთ საშუალება მიეცემათ, ერთი დღის ვადაში დარეგისტრირდნენ ინდივიდუალურ მეწარმეებად, ან სხვადასხვა ტიპის კომპანიები დააფუძნონ. ამის გარდა, რეგისტრაციის განყოფილების გახსნით მოწესრიგდება უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებით შესაბამისი ცნობების გაცემის საკითხი.

ზემო აფხაზეთის რეგისტრაციის ოფისში დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა (თავდაპირველად ერთი ადამიანი). აფხაზეთის საგადასახადო სამსახურის მთლიანი საშტატო რაოდენობა 5 ერთეულით განისაზღვრება. ინსპექტორის საშუალო ხელფასი 350 ლარი იქნება.

აფხაზეთის საგადასახადო ინსპექციის ხელმძღვანელის ირაკლი ბოლქვაძის განცხადებით, ოფისი მოწყობილია თანამედროვე სტილში, რომელსაც 70 კვადრატული მეტრი ფართი უჭირავს. საგადასახადო ინსპექცია აღიჭურვება საგადასახადო დეპარტამენტის ერთიან გლობალურ ქსელსა და სპეციალურ საცნობარო სისტემებში ჩართული თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკითა და ინფორმირების სხვა საშუალებებით. ზემო აფხაზეთის გადამხდელთა მომსახურების (რეგისტრაციის) განყოფილება ფუნქციონირებას 1 ოქტომბრიდან დაიწყებს.

## ამინდი

| | 26/09 | 27/09 | 28/09 |
|---|---|---|---|
| კიევი | 23 | 23 | 24 |
| რიგა | 22 | 20 | 20 |
| ვილნიუსი | 20 | 17 | 19 |
| მოსკოვი | 19 | 16 | 14 |
| მინსკი | 21 | 20 | 20 |
| პარიზი | 18 | 20 | 19 |
| რომი | 21 | 18 | 23 |
| ლონდონი | 21 | 21 | 19 |
| მადრიდი | 25 | 28 | 25 |
| ბონი | 18 | 19 | 18 |
| ვარშავა | 23 | 23 | 23 |
| ათენი | 22 | 24 | 25 |
| ბერნი | 17 | 20 | 22 |
| ამსტერდამი | 17 | 18 | 18 |
| ოსლო | 18 | 18 | 16 |
| ანკარა | 26 | 26 | 26 |
| ვარნა | 23 | 20 | 23 |
| დელი | 39 | 38 | 39 |
| ტოკიო | 23 | 26 | 27 |
| კოპენჰაგენი | 18 | 16 | 13 |
| ბაქო | 26 | 26 | 23 |
| ერევანი | 28 | 28 | 27 |
| ასტანა | 5 | 13 | 17 |
| ჰელსინკი | 14 | 17 | 13 |
| დუბლინი | 16 | 15 | 13 |
| ლისაბონი | 28 | 26 | 23 |
| პრაღა | 24 | 24 | 26 |
| სოფია | 18 | 22 | 20 |
| ბუდაპეშტი | 24 | 21 | 21 |
| ბუხარესტი | 23 | 22 | 20 |

# 27 მილიონი ევრო გერმანიიდან

## ბანკების საკრედიტო რესურსები 9 მილიონით გაიზრდება

პირველი გვერდიდან

ფინანსთა მინისტრმა გერმანიის ელჩის მოადგილეს ფინანსთა სამინისტროს სახელით მადლობის წერილი გადასცა.

ორმხრივი ფინანსური და ტექნიკური თანამშრომლობის პროექტების განსახორციელებლად გამოყოფილი 27 მილიონი ევროდან:

■ 14 მილიონი ევრო მოხმარდება ქ. ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროექტის (ბათუმის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემის კომპლექსური გაუმჯობესება) მეორე ფაზის განხორციელებას. აღნიშნული თანხიდან 13 მლნ ევრო გამოიყოფა შეღავათიანი სესხის სახით (ხანგრძლივობა 40 წელი, შეღავათიანი პერიოდი 10 წელი, 0,75% წლიური საპროცენტო განაკვეთი), ხოლო 1 მლნ ევრო - გრანტის სახით. ეს თანხა დაემატება პროექტის პირველი ფაზის განსახორციელებლად გერმანიის მთავრობის მიერ წინა წლებში გამოყოფილ თანხას (დაახლოებით 18 მილიონი ევრო), რომლის განხორციელებას ბათუმში კომუნალური და სოციალური პირობების გაუმჯობესება მოჰყვება.

■ 4 მილიონი ევრო მოხმარდება კრედიტების საგარანტიო ფონდის მეორე ფაზის განხორციელებას, რაც ქართულ კომერციულ ბანკებს საშუალებას მისცემს, უცხოურ კომერციულ ბანკებთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებების მეშვეობით დაახლოებით 9 მილიონ აშშ დოლარამდე ოდენობის საკრედიტო რესურსი მოიპოვონ, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს ფინანსური სექტორის შემდგომ განვითარებას და საქართველოში ახალი ფინანსური პროდუქტების დანერგვას.

■ 2 მილიონ ევრომდე მოხმარდება სწავლების და ექსპერტთა ფონდს", რომლის ფარგლებში დაფინანსდება საქართველო-გერმანიის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარე და დაგეგმილი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევები და საკონსულტაციო მომსახურება.

ქართული მხარის თხოვნით, გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების სამინისტროს "კავკასიის ინიციატივის" ფარგლებში მოხდება ამჟამად წარმატებულად მიმდინარე, "ტუბერკულოზთან და ლეიკემიასთან ბრძოლის რეგიონული პროგრამის" გაგრძელება.

ორმხრივი ტექნიკური თანამშრომლობის ფარგლებში გერმანიის მხარდაჭერით განხორციელდება შემდეგი მიმდინარე და ახალი პროექტები:

■ პროექტი "ადგილობრივი თვითმმართველობის ხელშეწყობა საქართველოში" (ახალი პროექტი, პროექტის განხორციელება დაიწყება 2007 წელს, პირველი ფაზა - 3 წელი);

■ პროექტი "საქართველოში სამართლისა და სასამართლოს სისტემის განვითარების ხელშეწყობა" (მიმდინარე პროექტი, გაგრძელდება 2009 წლამდე);

■ პროექტი "საქართველოს კონტროლის პალატის მხარდაჭერა" (მიმდინარე პროექტი, გაგრძელება 2008 წლის ბოლომდე).

ორმხრივი ტექნიკური თანამშრომლობის ფარგლებში გათვალისწინებულია კიდევ სამი პროექტის მხარდაჭერა, რომელიც მიმართულია საქართველოში მეღვინეობის სფეროს განვითარებასა და საზღვარგარეთ ქართული ღვინის პოპულარიზაციისათვის. ეს პროექტებია:

■ პროექტი "საქართველოში ღვინის ხარისხის სისტემის და მეღვინეობის განვითარება" (მიმდინარე პროექტი, გაგრძელება 2008 წლის ბოლომდე)

■ პროექტი "საქართველოში კერძო სექტორის განვითარება" (ქართული ღვინოს საერთაშორისო პოპულარიზაცია-მარკეტინგი, ტურიზმის განვითარება), (მიმდინარე პროექტი, გაგრძელება 2009 წლამდე)

■ პროექტი "საქართველოს აგრარული სექტორის გაძლიერების ხელშეწყობა, სურსათის ხარისხისა და უვნებლობის გაუმჯობესება" (მიმდინარე პროექტი, გაგრძელება 2008 წლის ბოლომდე).

დამატებით, გერმანული მხარე იხილავს ტექნიკური მხარდაჭერის შესაძლებლობას, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის მიხედვით, საქართველოს მიერ გასატარებელი რეფორმების ხელშეწყობის მიზნით. მოსალოდნელია, გერმანიის მხარდაჭერა საქართველოში მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის რეფორმის გატარების კუთხით.

გერმანია საქართველოსთვის მნიშვნელოვანი დონორი სახელმწიფოა. 1992-2005 წლებში ამ ქვეყანამ ფინანსური თანამშრომლობის მიმართულებით საქართველოს დაახლოებით 210 მლნ ევროს, ხოლო ტექნიკური თანამშრომლობის კუთხით, დაახლოებით 40 მილიონი ევროს ოდენობის მხარდაჭერა გაუწია.

გერმანიის მთავრობა საქართველოს გრანტებისა და შეღავათიანი სესხების სახით 27 მილიონ ევროს გამოუყოფს.

IEDC-Bled School of Management

IEDC Bled School of Management

INTERNATIONAL EXECUTIVE MBA PROGRAM

A School with a View


"Bled in Slovenia has the best small business school in Europe." (The Independent, UK)

მენეჯმენტის სკოლა IEDC, გეპატიჟებათ ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის (EMBA) პროგრამის პრეზენტაციაზე, რომელიც გაიმართება ხუთშაბათს, 12 ოქტომბერს 18 საათზე სასტუმრო ქორთიარდ-მერიოტში, ქ. თბილისში.

პრეზენტაცია ჩატარდება ინგლისურ ენაზე. პრეზენტაციაზე საშუალება მოგეცემათ შეხვდეთ ჩვენს კურსდამთავრებულებს და მიმდინარე მონაწილეებს. დასწრება უფასოა.

რეგისტრაციისათვის და დამატებითი მონაცემებისათვის ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერდს: www.iedc.si/presentations



You are kindly invited to the **upcoming IEDC EMBA Information Session in Tbilisi, on Thursday, 12 October, at 18.00 hrs,** at the Courtyard by Marriott Hotel.

Information session will be held in English. During the Information Session you will have the opportunity to meet our alumni and current participants. There is no entrance fee.

**Scholarship possibility!**

**Interviews with potential candidates already on 12 October in Tbilisi.**

Registration and more information: **www.iedc.si/presentations**

**Welcome!**

**The next EMBA programs start on January 7, 2007 (one-year format) and on June 11, 2007 (two-year format).**

**IEDC-Bled School of Management**
Prešernova 33, 4260 Bled, Slovenija
Phone: + 386 4 57 92 500
info@iedc.si, **www.iedc.si**

## სემეკ-მა 33 ჰესის ლიცენზია და ტარიფი გააუქმა

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ 33 მცირე ჰესის ლიცენზია და ტარიფი გააუქმა. ჰესების რეგულირებისგან გათავისუფლების გადაწყვეტილება სემეკ-მა დღეს გამართულ სხდომაზე მიიღო. ახლახან კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, მცირე ჰესები, რომელთა საპროექტო სიმძლავრე არ აღემატება 10 მეგავატს, დერეგულირებას დაექვემდებარა. აქედან გამომდინარე, საჭირო გახდა მათთვის ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიებისა და ტარიფების გაუქმება. როგორც სემეკ-ის თავმჯდომარე გიორგი თავაძემ განაცხადა, აღნიშნული გადაწყვეტილება სამომხმარებლო ტარიფზე ცვლილებას ვერ მოახდენს. "ამავდროულად, სემეკ-ის რეგულირებისგან გათავისუფლება ჰესების ფუნქციონირებისა და მშენებლობის წამახალისებელი ფაქტორი იქნება," - იმედოვნებს თავაძე. 33 მცირე ჰესი წელიწადში 41 მილიონ კვტ-სთ (7,7 მილიონი ლარის ღირებულების) ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. მათ შორისაა: "სიონიჰესი", "მაშავერაჰესი", "ინწობაჰესი", "მისაქციელი ჰესი", "იგოეთჰესი", "კეხვი ჰესი", "ხერთვისი ჰესი", "აჭიჰესი", "მექვენაჰესი", "მაჭახელაჰესი", "ჩალაჰესი" და სხვ. **ინტერპრესნიუსი**

## ბათუმსა და ქობულეთში გაზსადენების პრივატიზაციის კონკურსში გამარჯვებული კომპანია ხვალ გამოვლინდება

ბათუმსა და ქობულეთში მდებარე 8,2 კმ-ისა და 23 კმ-ის სიგრძის გაზსადენების პრივატიზაციის კონკურსში გამარჯვებული კომპანია ხვალ გამოვლინდება. როგორც "ინტერპრესნიუსს" აჭარის ფინანსთა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განუცხადეს, კონკურსი ბათუმისა და ქობულეთის, ასევე დაბა ხელვაჩაურისა და აჭარის ზღვისპირა ზოლის (მდინარე ჩოლოქიდან სარფამდე) გაზიფიცირებისა და ბუნებრივი აირით მომარაგების მიზნით ტარდება. საპრივატიზაციო ობიექტის საწყისი ფასი 1 მილიონი აშშ დოლარია. საკონკურსო პირობების მიხედვით, გამარჯვებულმა კომპანიამ გამოსასყიდი თანხა ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 დღეში უნდა დაფაროს. ასევე, უნდა უზრუნველყოს გაზიფიცირების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, გაზსადენის მიყვანა უშუალოდ მომხმარებლამდე და მათი ბუნებრივი აირით მომარაგება. **ინტერპრესნიუსი**

## თბილისში ტელეკომუნიკაციების სფეროში მაღალი დონის შეხვედრა ჩატარდება

ტელეკომუნიკაციების სფეროში, ევრაზიის ქვეყნების თანამშრომლობის პროექტის ფარგლებში, დღეს თბილისში, სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" მეორე მაღალი დონის შეხვედრა ჩატარდება. ევრაზიის ქვეყნების თანამშრომლობის პროექტს, თურქეთის მარეგულირებელი ორგანოს ინიციატივით, საფუძველი 2003 წელს ჩაეყარა. პროექტის ფარგლებში, ხელი მოეწერა ტელეკომუნიკაციების რეგულირების დარგში ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომელიც ითვალისწინებს მხარეთა თანამშრომლობას სატელეკომუნიკაციო სექტორის რეგულირების საკითხებთან დაკავშირებით, ინფორმაციის ურთიერთგაცვლასა და, საჭიროების შემთხვევაში, დაინტერესებული მხარისთვის კონსულტაციების გაწევას. გარდა ამისა, მემორანდუმი გულისხმობს რეგიონში სატელეკომუნიკაციო სექტორის განვითარებასა და მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებას, სატელეკომუნიკაციო დარგის რეფორმის, კონკურენციის პოლიტიკის, რეგულირებისა და რეგულირების მეთოდების, ლიცენზირების რეჟიმის, ნუმერაციის საკითხების, უნივერსალური მომსახურების, სტანდარტიზაციისა და სერტიფიცირების, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების თაობაზე სემინარებისა და ტრენინგების ჩატარებას. მე-2 შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, თურქეთის ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს და მარეგულირებელი ორგანოს, აზერბაიჯანის კომუნიკაციებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამინისტროს და რეგულირების დეპარტამენტის, მონღოლეთისა და ტაჯიკეთის მარეგულირებელი ორგანოების წარმომადგენლები. კახელ გლეხებს ნაჩუქარი ტრაქტორების აღჭურვილობებს უახლოეს მომავალში დაურიგებენ. **ინტერპრესნიუსი**

## ინფოთეკა

### ასათიანი ითამაშებს

როგორც იცით, რუსეთის ჩემპიონატის უკანასკნელი ტურის შეხვედრაში მალხაზ ასათიანმა ტრავმა მიიღო. გუშინ რუსულმა საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელს მოსკოვის "ლოკომოტივის" ექიმის ალექსანდრე იარდოშვილის ინტერვიუ, რომელში ასათიანის ტრავმაზეც არის საუბარი. "საბედნიეროდ, მალხაზს მოტეხილობა არა აქვს. უეფას თასის განმეორებით მატჩში ალბათ ვერ ითამაშებს, თუმცა მომავალ კვირაში უკვე მწყობრში იქნება", - აცხადებს იარდოშვილი.

### ბრიტანული სკანდალი

მომავალ კვირას ბრიტანეთში უნდა გამოქვეყნდეს სპეციალური ანგარიში, რომელიც არაკანონიერ ტრანსფერებს ეხება. ბრიტანული მედიის ცნობით, ამ ანგარიშში საკმაოდ დიდ ადგილს დაუთმობენ "მანჩესტერ იუნაიტედს". მთლიანობაში ლორდ სტივენსის დამოუკიდებელი კომისია დაახლოებით 80 არაკანონიერ ტრანსფერს იხილავს.

### ფიფა დათმობაზე მიდის

ფიფა აპირებს სპეციალური ფონდის ჩამოყალიბებას, რომელიც კლუბების ანგარიშზე გადარიცხავს თანხებს იმ შემთხვევაში, თუ სანაკრებო შეკრების შემდეგ ფეხბურთელი ეროვნული ნაკრებიდან კლუბში ტრავმირებული დაბრუნდა. ამას უკვე დიდი ხანია ითხოვენ წამყვანი ევროპული კლუბები. პირველად ეს იდეა ორგანიზაცია G14-ის წარმომადგენლებმა წაუყენეს ფიფას, თუმცა მსოფლიო ფეხბურთის სათავო ორგანიზაცია ამ თემას არც კი განიხილავდა. ახლა, როდესაც G14-სა და ფიფას შორის ურთიერთობა მეტისმეტად დაიძაბა, ეტყობა, ბლატერი დათმობაზე მიდის და წამყვან ევროპულ კლუბებს გარკვეულ მოთხოვნებს მაინც უსრულებს.

### კამორანეზი "იუვეს" დატოვებს

იტალიის ნაკრებისა და ტურინის "იუვენტუსის" ნახევარმცველი მაურო კამორანეზი "ბებერი ქალბატონის" დატოვებას აპირებს. არგენტინული წარმოშობის იტალიელის შეძენა "არსენალსა" და "მანჩესტერს" სურთ. სავარაუდოდ, ტრანსფერი ზამთარში შედგება.

### ჰოლანდიური ბუნტი

"ლივორნოსა" და "მილანის" მატჩის 35-ე წუთზე ერთი საინტერესო რამ მოხდა, რაც სატელევიზიო ეთერშიც კი გამოჩნდა. ანჩელოტიმ თავისთან უხმო ზეედორფს. ფეხბურთელსა და მწვრთნელს შორის მცირე საუბარი გაიმართა, რის შემდეგაც ჰოლანდიელმა მწვრთნელს წყლით სავსე ბოთლი ესროლა. თავად ანჩელოტიმ მატჩის შემდეგ ეს მომენტი თითქმის უკომენტაროდ დატოვა. "საუბარი მინდორზე შედგა და ყველაფერი იქვე დასრულდა", - განუცხადა ანჩელოტიმ ჟურნალისტებს.

### "დეზები" ვუნდერკინდზე ნადირობენ

ინგლისური "ტოტენჰემის" ხელმძღვანელები მზად არიან გადაიხადონ 15 მილიონი ევრო "ტრუას" ახალგაზრდა ფეხბურთელ ბლაისი მატუდში.

ბრიტანული მედია ირწმუნება, რომ "დეზების" ჰოლანდიელ მწვრთნელს მარტინ ჯოუელს ჯერ კიდევ ზაფხულში სურდა ამ ფეხბურთელის შეძენა, მაგრამ "ტრუას" 10 მილიონი ევრო ეცოტავა. ახლა კი თანხა 5 მილიონით გაიზარდა. სავარაუდოდ, ტრანსფერი იანვარში შედგება.

### "რეალი" მცველს ყიდულობს

სულ ცოტა ხნის წინ სერიოზულად დაშავდა "რეალის" ბრაზილიელი მცველი სისინიო. მადრიდული კლუბის მესვეურთა თქმით, "რეალი" სისინიოს შემცვლელს უახლოეს პერიოდში იყიდის. "სისინიოს ტრავმა ჩვენთვის სერიოზული დარტყმაა. იძულებული გავხდით კიდევ ერთი ფეხბურთელი შევიძინოთ. ამას სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე გავაკეთებ", - აცხადებს "სამეფო კლუბის" სპორტული დირექტორი პრედრაგ მიატოვიჩი.

### "ინტერი" მალუდას ყიდულობს

საფრანგეთის ნაკრებისა და "ლიონის" შემტევი ნახევარმცველის შეძენით მილანური "ინტერი" დაინტერესდა. როგორც იტალიური მედია ირწმუნება, იანვარში მალუდა "ინტერთან" ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს. ჯერჯერობით უცნობია, თუ რა თანხას გადაიხდის 26 წლის ფეხბურთელში მილანური კლუბი.

### დომენეკის ნოვატორული იდეა

საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რაიმონ დომენეკმა მოუწოდა საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციას, რომ საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩებში ნოვაცია დაინერგოს და მატჩს ორი მთავარი არბიტრი მოემსახუროს. "ჩემი აზრით, მინდორზე ორმა არბიტრმა უნდა იმუშაოს. მათ მუდმივი კავშირი უნდა ჰქონდეთ თანამსაჯებთან. კარგი იქნება, თუ ამ ექსპერიმენტს საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩებში გამოვცდით", - აცხადებს რაიმონ დომენეკი.

### ბაპტისტას ლონდონში დარჩენა სურს

ჟულიო ბაპტისტა ლონდონის "არსენალში" ამჟამად იჯარის წესით იმყოფება. მადრიდის "რეალმა" ლონდონელებს სეზონის ბოლომდე ათხოვა ფეხბურთელი. ბრაზილიელს სურს, რომ "არსენალმა" მთლიანად გამოისყიდოს მისი ტრანსფერი და ლონდონური კლუბის სრულუფლებიანი წევრი გახდეს. ფეხბურთელის განცხადებით, ის დაუმტკიცებს არსენ ვენგერს, რომ მასთან სრულფასოვანი კონტრაქტის გაფორმება გუნდსაც წაადგება.

# ბედინაძის ბედი ვერცხლი ყოფილა

გიგა გურასაშვილი

*სექტემბრის ბოლო კვირას საჭიდაო სამყაროს ყურადღება გუანჩჟოუსკენ (ჩინეთი) არის მიპყრობილი. დაიწყო ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა 27-ე მსოფლიო ჩემპიონატი. წლის მთავარ შეჯიბრებაზე 94 ქვეყნის 600 სპორტსმენთან ერთად ქართველი ფალავნებიც არიან. ჩემპიონატი ბერძენ-რომაელთა ორთაბრძოლებით დაიწყო. პირველი დღე 55, 60 და 66 კგ წონით კატეგორიებს დაეთმო. დავით ბედინაძემ (60 კგ) ფინალში იასპარეზა.*

ჩემპიონობა, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ყოველთვის ისე არ ხდება, როგორც ჩვენ და, პირველ ყოვლისა, დავით ბედინაძეს გვინდოდა. ქართველმა ფალავანმა ამერიკელ ჯოზეფ უორენთან ფინალი წააგო. მათ ორთაბრძოლაში, რომელიც სამ სეტს გაგრძელდა, უორენი გამარჯვებას იმსახურებდა. პირველი სეტი ქართველის გამარჯვებით დასრულდა, მეორე - ამერიკელის. დაინიშნა გადამწყვეტი სეტი. ბედინაძემ ერთ წუთში ამერიკელს ქულა აართვა და ჩემპიონობას მიუახლოვდა. ოქროს მედლამდე 15 წამი აშორებდა, მაგრამ... ამერიკელი სიხარულისგან ატირდა. ქართველს კი დანა პირს არ უხსნიდა. კვარცხლბეკზეც განზე გადგა. ასეთივე დღეში იყო მესამე ადგილზე გასული რუსი ვიაჩესლავ ჯასტეც. ვისაც საკუთარი შედეგით კმაყოფილება ეტყობოდა, ეს, ამერიკელის გარდა, მესამე ადგილზე გასული თურქი ბუნიამინ ემიკი გახლდათ.

ჩემპიონატი წარუმატებელი გამოდგა ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორ ირაკლი ჭოჭუასა (55 კგ.) და ლაშა ლომაძისთვის (66 კგ.). ჭოჭუა პირველი შეხვედრის მოგების შემდეგ მეორეში დამარცხდა, ლომაძისთვის კი დებიუტი გამოდგა წარუმატებელი.

დღეს მთელი გულისყური 74, 84 და 96 კგ წონებისკენაა მიპყრობილი. 74-ში მსოფლიო ჩემპიონმა და ბრინჯაოს მედლის, ასევე ევროპის ჩემპიონატების მეორე და მესამე ადგილების მფლობელმა მანუჩარ კვირკველიამ უნდა იჭიდაოს, 84-ში - მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა, ევროპის ოქროსა და ბრინჯაოს მედლების მფლობელმა ბადრი ხასაიამ, ხოლო 96 კგ წონაში - ათენის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორმა, მსოფლიოსა და ევროპის ბრინჯაოსა



*პირველ დღეს ვერცხლი გვერგო.*

და ოქროს მედალოსანმა რამაზ ნოზაძემ.

ჩემპიონატამდე ერთი დღით ადრე ჭიდაობის მამებმა მომავალი წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლის სტატუსზე იმსჯელეს. ცნობისთვის: 2007 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის ბაქოს უნდა ემასპინძლა, მაგრამ ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის მოხელეებმა გადაწყვიტეს, ბაქოსთვის ეს პატივი ჩამოერთმიათ. თუ რომელი ქალაქი მიიღებს მასპინძლის სტატუსს, ამას ოქტომბერში შევიტყობთ. ორი სიტყვა იმაზე, თუ რატომ დაკარგა ბაქომ ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება. აზერბაიჯანელებს ჩემპიონატის ყველა მონაწილისთვის ვიზების გაცემის გარანტია ვერ მიუციათ. ასე რომ არ ყოფილიყო, მსოფლიო პირველობას ბაქოელები 17-23 ოქტომბერს უმასპინძლებდნენ, რასაც, იმავდროულად, 2008 წლის პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის მთავარი საკვალიფიკაციო სტატუსის დატვირთვა ექნებოდა. და კიდევ: "პრობლემურ რეგიონებში" საკვალიფიკაციო ოლიმპიური ტურნირების ჩატარება მიზანშეწონილი არ არისო.

შესაძლოა, ამაზე არც გაგვემახვილებინა ყურადღება, მაგრამ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციაში დიდად არ გახარებიათ ჩემპიონატის მეზობლად გამართვა - მიკერძოებული მსაჯობა იქნება და ლიცენზიების აღებაშიც ხელი შეგვეშლებაო.

# კვართი შავი, საპროტესტო?

საქართველო რაგბის 2007 წლის მსოფლიო თასის შესარჩევებში ებმება და თუ 7 ოქტომბერს რუმინეთს სტუმრად ძლევს, პირდაპირ გავა ფინალში და "გ" პულში ზელანდიასა და შოტლანდიას დაუჯდება, თუ არა და ნოემბერში თავისზე სუსტ ერთათასელთან მოუწევს ჯახი ჯერ შინ და მერე გარეთ, რათა "დ" პულში საფრანგეთს, ირლანდიასა და არგენტინას მიაკითხოს.

ბორჯღალოსანთა ქართველ მწურთნელთა სამეულმა 35-კაციანი საშემოდგომო რაზმი დაასახელა. უფროსობა საფრანგეთს ერთ კვირაში მიემგზავრება, რათა ბიჭები პარიზის მახლობლად, დაბა მასში შეკრიბოს, იქიდან კი ხუთშაბათს რუმინეთს გაფრინდეს. მატჩი ორი კვირის თავზე, ჩვენებურად დღის ოთხ საათზე (16.00) ბუქარესტში, გენჩას ტყე-პარკშია. მსაჯობს 27 წლის ინგლისელი ვეინ ბარნსი, რომელიც მაისიდან ირბ-ის 21-კაცა პანელის წევრია და წლევანდელ "წყნარი ოკეანის ხუთ ერზე" სამ მატჩს გაუძღვა.

საქართველო რუმინეთში თეთრი კვართებით ითამაშებს, ტრადიციულ ღვინისფერს კი სამომავლოდ ინახავს. ზაფხულში რაგბის კავშირში შეიცვალა ის პასუხისმგებელი პირი, ვისაც კვართების დიზაინი ებარა. ახალმა მუშაკმა რაღაც ფრიად გრანდიოზული ჩაიფიქრა და რუმინეთის გასაოცებლად ბრწყინვალე თარგი მოიფიქრა, მაგრამ რევოლუციური კვართის ძირითად ფერად შავი შეარჩია, ღვინისფერი და თეთრი კი მხოლოდ სოლურ ჩანართებში გამოიყენა.

ვიმეორებთ, შავი კვართი ჩინებულია და თბილისის ყოჩებს ძალიანაც მოუხდებათ, მაგრამ ბორჯღალოსანთა შესამოსად ვერ გამოდგება, რადგან ღვინისფერს ჩვეული საზოგადოება იოლად ვერ შეიწყნარებს სიახლეს და ვარდულ ხელისუფლებასაც მოუმდურებს ისედაც ათვალწუნებულ ოვალურბურთა თამაშს. რაგბის სამყაროშიც მსოფლიოს მე-17 გუნდს ღვინისფერი სამოსის მატარებლად იცნობენ, შავი კი ახალი ზელანდიის ოლ ბლექსის ფერია. თუ საკითხს უფრო ჩავუღრმავდებით, დაახლოებით ასეთი, შავწითელი ფორმა ოზირულზის კლუბს, ესენდონ ბომერზს აცვია.



*შარშან, თედო ზიბზიბაძის ლელოთი რუმინეთი თბილისში დავამარცხეთ.*

ბორჯღალოსნები გენჩაზე შავი ფორმით მოთელვას ჩაატარებენ, თამაშის წინ კი ღვინსფერით შემკულ თეთრში გამოეწყობიან. გუნდი თალხ სამოსს საგანგებო შემთხვევისთვის მაინც ითადარიგებს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ხელისუფლება განახლებულ ეროვნულ სტადიონზე ქვეყნის საუკეთესო მობურთალი გუნდის შეშვებას აღარ აპირებს. ჰოდა, თუ რაგბის თემის საფუძვლიანი ეჭვი გამართლდა (ეჭვი არსებობს, რადგან პაიჭაძეზე რაგბის კარების ჩასასობი ფოსოები საგულდაგულოდ ამოქოლეს), ბორჯღალოსნები შავს ჩაიცვამენ და ბურთის მოყვანილობის მიხედვით დისკრიმინაციის წინააღმდეგ ამგვარად გამოხატავენ პროტესტს.

**ბეკები [უკანა ხაზი]**

ოთარ ბარკალაია, პალიკო ჯიმშელაძე, თემურ სოხაძე, გიორგი ელიზბარაშვილი, გიორგი შკინინი, ბესიკ ხამაშურიძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, რევაზ გიგაური, ირაკლი გიორგაძე, თედო ზიბზიბაძე, ირაკლი აბუსერიძე, ბიძინა სამხარაძე, გიორგი კაჭარავა, მერაბ კვირიკაშვილი, ირაკლი მაჩხანელი.

**ფორვარდები [შერკინება]**

გოდერძი შველიძე, ავქსენტი გიორგაძე, დავით ზირაქაშვილი, ავთანდილ კოპალიანი, გიორგი კუთარაშვილი, დავით ხინჩაგიშვილი, დავით გასვიანი, მამუკა მაგრაქველიძე, ილია ზედგინიძე, მამუკა გორგოძე, ლევან დათუნაშვილი, ვიქტორ დიდებულიძე, ზურაბ მჭედლიშვილი, რატი ურუშაძე, გია ლაბაძე, ბესიკ უდესიანი, ილია მაისურაძე, ზვიად მაისურაძე, გიორგი ჩხაიძე.

**მწვრთნელები:** მალხაზ ჭეიშვილი, დავით ჩავლეიშვილი, პაატა ნარიმანაშვილი.

მასალა მომზადებულია საიტზე http://www.geocities.com/Msoflioshi/index.htm

# ულიეს რეცეპტი - მოთმინება

"ლიონის" წარმატებები უკვე აღარავის უკვირს. საფრანგეთის ჩემპიონატში ამ გუნდს კონკურენტი ფაქტობრივად არ ჰყავს, ევროპულ არენაზე კი შედარებით მოკრძალებული ფინანსური შესაძლებლობების ფრანგული გუნდი ტოლს არ უდებს ისეთ გრანდებს, როგორებიც არიან "რეალი", "მილანი", "ჩელსი" და სხვები.

ამას წინათ უეფას ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა "ლიონის" მწვრთნელის ჟერარ ულიეს ინტერვიუ.

**- ევროპულ არენაზე თქვენ არაერთი წარმატებისთვის მიგიღწევიათ. "ლივერპულთან" ერთად ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალშიც გახვედით. როგორ აფასებთ ამ ტურნირს?**

- ჩემპიონთა ლიგა ბრწყინვალე ტურნირია, საუკეთესო ნებისმიერი მწვრთნელისა თუ ფეხბურთელისთვის. მიხარია, რომ ჩემი გუნდები რეგულარულად თამაშობენ ამ ტურნირში. იმედია, მომავალშიც ასე იქნება.

**- ბოლო სამი წლის განმავლობაში "ლიონი" მეოთხედფინალამდე სულ გადიოდა...**

- თავისთავად ეს საკმაოდ კარგი მიღწევაა. 7 წლის განმავლობაში "ლიონი" მუდმივად თამაშობს ჩემპიონთა ლიგის ძირითად ბადეში, სამჯერ კი მეოთხედფინალში გავიდა. ვფიქრობ, ისეთი გუნდისთვის, როგორიც "ლიონია", ეს მიღწევადაც უნდა ჩაითვალოს.

**- რა არის საჭირო იმისთვის, რომ უფრო მეტს მიაღწიოთ?**

- მოთმინება. ჩემპიონთა ლიგაში წარმატება თანდათანობით მოდის. თუმცა მიმაჩნია, რომ ჩემპიონთა ლიგაში კარგად თამაში თვითმიზნად არ უნდა გვექცეს. ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია, რომ კიდევ ერთხელ მოვიგოთ საფრანგეთის ჩემპიონის ტიტული, თუნდაც იმიტომ, რომ მომავალ სეზონშიც ვითამაშოთ ჩემპიონთა ლიგაში. ჩემპიონთა ლიგაში წარმატებისთვის კი გარკვეული იღბალიც არის საჭირო. კონკრეტულ მომენტში ფორმის პიკში უნდა იყო და ყველა წამყვანი ფეხბურთელი მწყობრში გყავდეს. არსენ ვენგერი და მისი "არსენალი" რა ხანია ჩემპიონთა ლიგაში თამაშობენ და ფინალში მხოლოდ გასულ სეზონში გავიდნენ.

**- რით განსხვავდება წლევანდელი "ლიონი" შარშანდელი გუნდისგან?**

- ვფიქრობ, ყოველწლიურად ვიღებთ უნიკალურ გამოცდილებას და ფეხბურთელები უფრო დაღვინდნენ. მიმაჩნია, რომ წელს უფრო ძლიერები ვართ და მეოთხედფინალსაც უნდა გავცდეთ. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ზედიზედ მეექვსედ მოვიგოთ საფრანგეთის ჩემპიონის ტიტული და ჩემპიონთა ლიგაშიც უფრო მეტს მივაღწიოთ, ვიდრე გასულ სეზონში.

**- ზაფხულში თქვენი გუნდი რამდენიმე ნახევარმცველით გაძლიერდა...**

- ეს აუცილებელი იყო. გახსოვთ გასული სეზონი და ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური მატჩი "მილანთან"? პირველ თამაშში ჟუნინიო გვყავდა და ყველაფერი რიგზე იყო, განმეორებითში კი ერთი ნახევარმცველის არყოფნის გამო მთელი შრომა წყალში ჩაგვეყარა.

**- თავდამსხმელი არ გჭირდებოდათ?**

- ბევრს ჰგონია, რომ ჩვენთვის მაღალი კლასის ფორვარდის შეძენა პრიორიტეტული უნდა იყოს. მე კი ვფიქრობ, რომ ეს უსამართლობაა, მით უმეტეს, რომ საკმაოდ კარგი თავდამსხმელები გვყავს. მერე რა, რომ გასულ სეზონში "მილანს" ორ მატჩში მხოლოდ ერთი გოლი გავუტანეთ. ამაზე მეტი ხომ "ბარსელონამაც" ვერ გააკეთა.

**- როგორ შეიცვალა ფეხბურთი მას შემდეგ, რაც დაიწყო თქვენი კარიერა?**

- თამაში უფრო სწრაფი და ტექნიკური გახდა, ფეხბურთელები კი ნამდვილ ათლეტებად იქცნენ. რაც შეეხება ტურნირებს, მიმაჩნია, რომ ჩემპიონთა ლიგას ვერც ერთი ვერ გაუწევს კონკურენციას. ეს ევროპული ფეხბურთის ელიტური ტურნირია.





# ჩემი საყვარლები

ამერიკის შეერთებულ შტატებში მაშინ ვცხოვრობდი, როცა მთელი მსოფლიო ახალ ათასწლეულს ელოდა და გაცხარებით კამათობდა - 2000 წელს დაიწყებოდა 21-ე საუკუნე თუ 2001-ში. ამ დავაში საბოლოო გამარჯვებული ვერ დადგინდა და არც არავის უდარდია: ახალი მილენიუმი, ასეც და ისეც, 2001 წლის პირველ იანვარს ნამდვილად დაიწყო.

1999 წლის 30-31 დეკემბერს მუსიკალურმა არხმა BET, რომელზეც მხოლოდ ზანგი მუსიკოსების შემოქმედებას აჩვენებენ, ძალიან საინტერესო პროექტი გაუშვა: მეოცე საუკუნის ასი საუკეთესო სიმღერა (მხოლოდ ზანგების შესრულებით) მაყურებელთა აზრით. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რა ფანტასტიკური კონცერტი გამოვიდა და ალბათ ისიც გაინტერესებთ, ვინ გავიდა პირველ ადგილზე. მარვინ გეი? არა. მაიკლ ჯექსონი? არა. არეტა ფრანკლინი? არა. თუფაქ შაქური? არა. იქნებ მაილს დევისი? არც ეგ. აბა, ლუი არმსტრონგი? არც ლუი. მოდი, ასეთი ექსპერიმენტი ჩავატაროთ - პასუხს სვეტის ბოლოს გეტყვით, თქვენ კი ათი ადამიანი ჩამოწერეთ და ვნახოთ, თუ გაარტყამთ.

მანამდე სპორტს დავუბრუნდები და ასეთ ჰიტ-ათეულს შემოგთავაზებთ: ჩემთვის ყველაზე საყვარელ ათ სპორტსმენს ჩამოგითვლით. ხაზს ვუსვამ - **საყვარელს** და არა **საუკეთესოს**. ასე უფრო საინტერესოა, რადგან საუკეთესოების ვინაობა ყველამ ვიცით და ამ ათეულის შემადგენლობაც თითქმის ერთნაირი იქნება ჩემს ვარიანტშიც, თქვენსაშიც და, საერთოდ, ყოველი ჩვენგანი მიღწევებს გაიხსენებს. სტატისტიკა კი სიყვარულსა და გემოვნებას არ უხდება.

ბოლო, მეათე ადგილიდან დავიწყებ და ბარემ იმასაც მოგახსენებთ, რომ სუბიექტურობის გამოსარიცხავად ჩამონათვალში შეგნებულად არ შევიყვანე ქართველები. გარდა ამისა, შეიძლება ვინმე არ გამახსენდა ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რისთვისაც ამ გამორჩენილებს ვუბოდიშებ.

დავიწყოთ: მანუელ ფრანსისკუ დუშ სანტუში, მეტსახელად გარინჩა. ფეხბურთის ხეიბარი ილუზიონისტი, სულელობამდე გულუბრყვილო ადამიანი, რომელიც მთელი ცხოვრება ერთი და იგივე ფინტს აკეთებდა და ამ ფინტის წინააღმდეგ ვერც ერთმა მცველმა, ვერც ერთმა დიდმა მწვრთნელმა ვერაფერი გააწყო. ის სიღარიბეში გარდაიცვალა, მაგრამ ისეთი გრანდიოზული დაკრძალვა ბრაზილიას დღემდე არ ახსოვს. მე ბევრი არაფერი მინახავს გარინჩას კარიერიდან, სულ რამდენიმე ეპიზოდი, მაგრამ მისი ცხოვრება კარგად ვიცი (წიგნი ვთარგმნე მასზე) და ეს საკმარისია ჩემი უდიდესი მოკრძალებისთვის ამ ზღაპრული ფეხბურთელის მიმართ.

იანიკ ნოა, ფრანგი ჩოგბურთელი, რომელიც კორტზე ფინტებს აკეთებდა და მასხარაობდა. ნოას დროს მეც ჩოგბურთელი ვიყავი და ყველაზე მეტად მისი ყურება მიყვარდა. არავის ჰგავდა.

ფერნანდო რედონდო, ყველაზე სუფთა დამლაგებელი (საყრდენი ნახევარმცველი) ფეხბურთის ისტორიაში. არგენტინელი არასდროს მინახავს აქოშინებული და პადკატებში მოსრიალე, თეთრებში გამოწყობილი ყოველთვის ახალი მერსედესივით დასრიალებდა.

მაიკ ტაისონი, ნამდვილი ნადირი, რომელიც მტრედებზე გიჟდებოდა, სახლშიც ჰყავდა მოშენებული და ერთხელ კინაღამ ადამიანი ცემით მოკლა მათი გულისთვის. ერთხანს ყურების ჭამასაც მიჰყო ხელი და... ზუსტად იქ დამთავრდა მისი ქარიშხალივით კარიერა. ტაისონს ჭკუა არ ეყო საკუთარი ცხოვრების მოსაგვარებლად. მაგრამ მას რომ ჭკუა ჰქონოდა, ვერასდროს იჩხუბებდა ისე, როგორც სხვას არავის შეეძლო.

მეჯიკ ჯონსონი: კეთილი სახე და მზაკვრული გადაწყვეტილებები. იყურებოდა სხვაგან, იღიმებოდა და პასს სულ სხვაგან აკეთებდა. ასეთი რბილი კალათბურთელი არასდროს მინახავს.

ზინედინ ზიდანი. 1998 წელს მეზიზღებოდა ბრაზილიელთა მოსპობისთვის. წლეულს კიდევ ერთი გაკვეთილი ჩაუტარა მათ და საბოლოოდ დაამტკიცა, რომ პელესა და მარადონას ეპოქებს ზიდანის ეპოქა შეემატა. თავის დროზე მისმა ძმამ თქვა, ბავშვობაში თამაშის დროს რომ ვუყურებდი, მეგონა ფეხების მაგივრად ხელები ჰქონდაო. მე კი დავამატებ, რომ ხელების მაგივრად თავი აქვს და მაგრადაც იქნევს.

მაიკლ ჯორდანი - დაფრინავდა.

რონალდო - დაფრინავდა.

რომარიო. ეს იყო ფეხბურთელი, რომელიც ყველაზე სწრაფად აზროვნებდა და ყველაზე სწრაფად აკეთებდა იმას, რასაც ფიქრობდა. შორიდან კი ისე ჩანდა, თითქოს შენელებული კადრია, თითქოს ეზარება, თითქოს დაიღალა და ამ დროს ბურთი კარში იყო. საიდან? როგორ? ვინ გაიტანა? რომარიომ? კი მაგრამ, როდის მოასწრო? სპორტული აფერისტობისთვის სასჯელი რომ იყოს, რომარიო მთელი ცხოვრება ციხეში იჯდებოდა, მაგრამ არ ზის და ათას გოლამდე 16 ბურთი უკლია.

მარკო ვან ბასტენი. ელეგანტურობის განსახიერება და მგონი ერთადერთი ფეხბურთელი, ვისაც სხეულის ყველა ნაწილით გაუტანია გოლი. ყოველთვის იმას აკეთებდა, რაც მინდოდა, რომ გაეკეთებინა. ალბათ ამიტომ შემიყვარდა.

რაც შეეხება BET-ის ამბავში გამარჯვებულს... გაიმარჯვა მარტინ ლუტერ კინგის სიტყვამ!

*მომავალ სამშაბათამდე*

## განცხადება

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია აქვეყნებს იმ სტამბების სიას, სადაც 2006 წლის 5 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებისათვის საარჩევნო ბიულეტენები დაიბეჭდება:

1. "პოლიექსპრესი" - მის.: ვ.ფშაველას N104;
2. "ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი" - მის.: მარჯანიშვილის N5;
3. "კეგელი" - მის.: ვ.ფშაველას N29ა;
4. "კაბადონი" - მის.:კოსტავას N14;
5. "ფორმა" - მის.:ხახანაშვილის N37.

ს.ს.ი.პ -საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს სატენდერო კომისიის მიერ 2006 წლის 16 სექტემბერს გაზეთ 24 საათში გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში დაშვებულია შეცდომა.

მე-13 პუნქტში ნაცვლად სიტყვისა **"სატენდერო კომისიის აპარატის უფროსი"** უნდა იკითხებოდეს **"სატენდერო კომისიის აპარატის წევრი".**

*სატენდერო კომისია*

## საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ 2006 წლის 11 სექტემბერს გამოქვეყნებულ განცხადებაში ტენდერის ჩატარების შესახებ შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1. თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 2006 წლის 2 ოქტომბერი ხოლო საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადების წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 2006 წლის 3 ოქტომბერი.

## სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციებისა და ტენდერებში მონაწილე ფირმების საყურადღებოდ!

კონსალტინგი და ტრენინგი პროკურმენტის საკითხებზე:
**ეკონომიკისა და მენეჯმენტის კონსულტანტთა ასოციაცია**
**ქ. თბილისი, ბულაჩაურის ქ. N 8,**
**ტელ./ფაქსი: (995 32 ) 91-21-13;**
**e-mail: aemc-05@yahoo.com**

## ცვლილება სატენდერო განცხადებაში

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2006 წლის 8 სექტემბერს კომპიუტერებისა და კომპიუტერული მოწყობილობების შესასყიდად გამოქვეყნებული სატენდერო განცხადების პირველ პუნქტში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო აცხადებს ტენდერს **კომპიუტერებისა და კომპიუტერული მოწყობილობების შესასყიდად** ერთ ლოტად და გიწვევთ მასში მონაწილეობის მისაღებად.

| N | დასახელება | სპეციფიკაცია | რაოდენობა | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|
| 1 | პერსონალური კომპიუტერი 1 | AMD 3000+, 512 Mb DDR (up to 4 Gb), 80 SATA, Xpress 200 chipset with PCI-express slot, DVD-ROM, 6 rear and 2 front USB 2.0 ports, PS/2 Keyboard, optical mouse PS/2, 250-watt PFC power supply, monitor 15'' TFT LCD (Viewable Image Area 15'') 1024x768 dpi 75 Hz, 250:1 Brightness, Contrast 450:1, 3 years warranty | 30 | ქ.თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ ნ.ჩხეიძის ქ.N2 |
| 2 | პერსონალური კომპიუტერი 2 | AMD 3000+, 1024 Mb DDR (up to 4 Gb), 80 SATA, Xpress 200 chipset with PCI-express slot, DVD-RW, 6 rear and 2 front USB 2.0 ports, PS/2 Keyboard, optical mouse PS/2, 250-watt PFC power supply, monitor 17'' TFT LCD (Viewable Image Area 17'') 1280x1024 dpi 75 Hz, 300:1 Brightness, Contrast 500:1, Pixel Pitch 0.26 mm, Response Rate 8 ms or less, 3 years warranty | 20 | |
| 3 | უწყვეტი კვების წყარო UPS | 600 VA, Input Voltage :140V – 285V, Frequency : 50Hz Voltage Regulation : 10%, Back up time : 20 to 40 minutes, with surge protection, 1 year warranty | 70 | |
| 4 | სერვერი | Laser printer A4, speed: up to 12 ppm, monthly volume: up to 3000 pages, Print quality up to 600 x 600 dpi (1200 dpi effective output), USB 2.0, 150-sheet input tray, 1 year warranty | 1 | |
| 5 | პრინტერი ლაზერული | AMD Dual-core, Dual processor, Opteron 280 (2.4 GHz/1MB), 4 GB RAM PC 3200 400 MHz DDR Memory (up to 8 Gb), AMD Opteron 8000 series Chipset, Ultra 320 Smart Array 6i, Support six Ultra 320 SCSI hot plug HDD, 2x72 Gb HDD 15K rpm, Dual Port PCI-X Gigabit Server Adapter, DVD-RW, 2x575 Watt hot plug power supply, 1U Rack mountable, Keyboard with USB, optical mouse, 3 years warranty | 50 | |
| 6 | პრინტერი ლაზერული | Laser printer A4, speed: up to 19 ppm, monthly volume: up to 8000 pages, Print quality up to 1200 x 1200 dpi, RAM 8MB, 1xUSB 2.0, 1xEthernet, 1x wireless Ethernet 802-11b/g technology, 10-sheet priority feed slot, 250-sheet input tray, 1 year warranty | 1 | |
| 7 | თაგვი | wireless optical mouse with USB receiver, 1 year warranty | 4 | |

კომპიუტერული ტექნიკის მომწოდებელ კომპანიას უნდა გააჩნდეს ავტორიზაციის ფორმა და ავტორიზებული სერვის-ცენტრი.

საკონტაქტო ტელეფონი: 91-05-17

მისამართი: ქ.თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.N2, სააგენტოს შესყიდვების სამსახური (IIIსართული).

*სააგენტოს სატენდერო კომისია*


# საქართველო-იტალია: დაპირისპირება № 5

მიხეილ აბაიშვილი

11 ოქტომბერს კიდევ ერთხელ გავხდებით დიდი ფეხბურთის მომსწრენი. პირველად ქართული ფეხბურთის ისტორიაში თბილისს ეწვევა მოქმედი მსოფლიო ჩემპიონი - იტალიის ნაკრები. შეგახსენებთ, რომ ეს "სკუადრა აძურას" მესამე სტუმრობა იქნება საქართველოში. 1997 წელს საქართველოსა და იტალიის ეროვნულ ნაკრებთა მატჩი 0:0 დასრულდა. დაკარგულმა ორმა ქულამ იტალიელებს ძალზე გაურთულა საქმე - აწ უკვე ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონებს პლეიოფიდან მოუხდათ საგზურის მოპოვება და ამ ამოცანას წარმატებით გაართვეს თავი: ორრაუნდიან ორთაბრძოლაში რუსეთის ნაკრები დაამარცხეს და მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური საგზური მოიპოვეს. მომდევნო ქართულ-იტალიური დაპირისპირება თბილისში 2001 წლის 2 ივნისს გაიმართა, რომელიც იტალიელებმა 2:1 მოიგეს. გოლები "რომას" თავდამსხმელებმა დელ ვეკიომ და ტოტიმ გაიტანეს. საქართველოს ნაკრების მხრიდან ერთადერთი საპასუხო გოლი გოგა გახოკიძის ანგარიშზეა (გახოკიძე ჯერჯერობით ერთადერთი ქართველია, ვინც იტალიელთა კარში გოლის გატანა შეძლო). აქვე შეგახსენებთ, რომ ამ გუნდების ორივე იტალიური დაპირისპირება მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა. 1996 წელს პერუჯაში გამართულ მატჩში "სკუადრა აძურამ" პირველი ტაიმის მიწურულს ფაბრიციო რავანელის გოლით იზეიმა გამარჯვება. 2000 წელს ანკონაში პირველი ტაიმი 0:0 დასრულდა, მეორე ნახევარში კი ფრანჩესკო ტოტიმ თავისი არტისტული ნიჭის წყალობით ორი პენალტი დაანიშნინა მსაჯს და ორივე თვითონ გამოიყენა. ტოტი, რომელსაც საქართველოს ნაკრების კარში სულ სამი გოლი აქვს გატანილი, ამჯერად "სკუადრას" ვერ დაეხმარება. მას უთანხმოება აქვს ნაკრების მთავარ მწვრთნელ დონადონისთან და, როგორც თავად განაცხადა, საქართველო-იტალიის მატჩს გამოტოვებს.

ერთადერთი გამარჯვება, რომელიც მოვახერხეთ იტალიელებთან, პირველ თბილისურ მატჩს სამიოდე საათით უსწრებდა: რუსთავში, საქართველოსა და იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებთა შეხვედრაში ჩვენმა ოცდაერთწლამდელებმა სრულიად მოულოდნელად შეძლეს "იუვენტუსის", "მილანის", "ინტერისა" და სხვა გრანდების ახალგაზრდებით დაკომპლექტებული იტალიის ნაკრების დამარცხება (2:0).


გოჩიტა ბახაიძის ფოტო

*ასათიანის ტრავმა მძიმე არ აღმოჩნდა.*

თუმცა, იმ დღიდან ხუთ წელზე მეტი გავიდა და იტალიის ნაკრები მისთვის ჩვეულ რანგში - მსოფლიო ჩემპიონის ტიტულით ჩამოდის. ჩვენს მომავალ მეტოქეს მიმდინარე შესარჩევ ციკლში, მეტი რომ არ შეიძლება, ისეთი ცუდი სტარტი აქვს. იტალიელებმა ჯერ საკუთარ მოედანზე ვერ შეძლეს ლიტველთა დამარცხება (მხოლოდ ქულას დასჯერდნენ), შემდეგ კი ფრანგებთან გასვლით მატჩში დამარცხდნენ (1:3). ახლა იტალიის ნაკრებს ერთი ქულა აქვს და სწორედ მომდევნო ორ შეხვედრაში შეეცდება წარმატების მიღწევას. 7 ოქტომბერს იტალია უკრაინის ნაკრებს უმასპინძლებს. ბოლო ხუთი თვის განმავლობაში ეს ამ გუნდების მესამე მატჩი იქნება. პირველი (მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე) ამხანაგური მატჩის სტატუსით იტალიაში გაიმართა და 0:0 დასრულდა. მეორე უკვე მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალის სტატუსს ატარებდა, რომელშიც მომავალმა ჩემპიონმა 3:0 დაამარცხა უკრაინის გუნდი. როგორ დამთავრდება მესამე მატჩი, ჩვენთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია, მაგრამ ერთი რამ უდავოა: საქართველოსთან თამაშის წინ იტალიას მშვენიერი სპარინგპარტნიორი ეყოლება. თუმცა, არც ჩვენი ფედერაციაა გულხელდაკრეფილი. მიუხედავად იმისა, რომ 7 ოქტომბერს საქართველოს ნაკრებს შესარჩევ ციკლში დასვენება უწევს, სპარინგისთვის კარგი მეტოქე გვეყოლება. ეს გახლავთ მსფოლიოს სამგზის ჩემპიონი გერმანიის ნაკრები. მატჩი ქალაქ როსტოკში გაიმართება. საწვრთნელ შეკრებას კლაუს ტოპმიოლერი გერმანიაში 2 ოქტომბერს დაიწყებს. ყვითელი ბარათების გამო იტალიასთან ვერ ითამაშებენ კობიაშვილი, დემეტრაძე და გოგუა. ამის მიუხედავად, ისინი ნაკრებში გამოიძახეს. შეკრებაზე ტოპმიოლერი ოცდაათამდე ფეხბურთელს წაიყვანს. ეგრეთ წოდებული B ნაკრები 5 ოქტომბერს როსტოკის "ჰანზას" ეთამაშება. ამ ნაკრებში "ხუთჯვაროსანთა" გერმანელი თავკაცი იმ ფეხბურთელებს გამოცდის, რომლებიც ეროვნული გუნდის უახლოეს რეზერვად ითვლებიან.

ორიოდე სიტყვა ტრავმირებულებზე. სასტარტო სამ მატჩში მონაწილეობა ვერ მიიღეს კახა კალაძემ, გოგა გახოკიძემ და ლევან ცქიტიშვილმა. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი. სამი დღის წინ რუსეთის ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში ტრავმა მიიღო მალხაზ ასათიანმა, თუმცა, სერიოზული არაფერია და ჩვენი ნაკრების ცენტრალური მცველი ერთ კვირაში შეუდგება ვარჯიშს.

შეკრებაზე გამოძახებულთა შემადგენლობას ტოპმიოლერი უახლოეს დღეებში დაასახელებს. ის პირდაპირ გერმანიაში შეუერთდება ნაკრებს, რომელიც გერმანიასთან მატჩის შემდეგ დაბრუნდება სამშობლოში და თბილისში, ბასა ღოღობერიძის სახელობის ბაზაზე გააგრძელებს იტალიისთვის მზადებას.

# ფერგიუსონს რევანში სწყურია

დღეს ჩემპიონთა ლიგის მეორე ტურის პირველი რვა მატჩი გაიმართება. ასპარეზობაში ოთხი ჯგუფი ჩაებმება, ხვალ კი დარჩენილი რვა მატჩიც შედგება და მეორე ტური დასრულდება, რის შემდეგაც უკვე გარკვეულ დასკვნებზეც შეიძლება საუბარი.

**E ჯგუფი**
**რეალი - დინამო**
**სტიაუა - ლიონი**

E ჯგუფში მთავარი მატჩი, ცხადია, მადრიდში, "სანტიაგო ბერნაბეუზე" გაიმართება. პირველი ტურის ორი უიღბლო ერთმანეთს დაუპირისპირდება და დამარცხებული ალბათ შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსს დაკარგავს. ფავორიტი, რა თქმა უნდა, კაპელოს "რეალია", რომელიც, მართალია, ტრავმირებული სისინიოს გარეშე ითამაშებს, მაგრამ ბრაზილიელის დანაკლისმა "რეალს" კიევის "დინამოს" დამარცხებაში ალბათ ხელი არ უნდა შეუშალოს. თუ მადრიდულმა კლუბმა შემთხვევით წაიფორხილა, "რეალი" შეიძლება უმძიმეს ვითარებაში აღმოჩნდეს.

რაც შეეხება მეორე მატჩს, "ლიონის" ძალა ყველამ კარგად იცის, თუმცა არც რუმინული კლუბია სუსტი, რაც პირველ ტურშიც გამოჩნდა, როდესაც "სტიაუამ" გასვლით მატჩში შეძლო კიევის "დინამოს" დამარცხება.



*ევრა და რუნი "ბენფიკასთან" საომრად ემზადებიან.*

**F ჯგუფი**
**ბენფიკა - მანჩესტერი**
**სელტიკი - კოპენჰაგენი**

ამ ჯგუფში, ცხადია, უდიდეს ინტერესს იწვევს პორტუგალიურ-ბრიტანული დაპირისპირება. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ბოლო ხანს პორტუგალიელებსა და ინგლისელებს ერთმანეთში განსაკუთრებული ანგარიში აქვთ. გავიხსენოთ თუნდაც გასული ჩემპიონთა ლიგა, როდესაც "ბენფიკამ" "მანჩესტერი" ჯგუფურ ეტაპზე ჩატოვა, ან ამ ორი ქვეყნის ნაკრები გუნდების საოცრად დრამატული მატჩები. მოკლედ, ფერგიუსონის გუნდს რევანში აქვს ასაღები. ალბათ იმის თქმაც შეიძლება, რომ ეს დღის ცენტრალური მატჩი იქნება. რაც შეეხება ამ ჯგუფის მეორე შეხვედრას, აშკარაა, რომ "ბენფიკა"-"მანჩესტერის" დაპირისპირების ფონზე დანიურ-შოტლანდიური დავა მეორე პლანზე გადადის.

**G ჯგუფი**
**ცსკა - ჰამბურგი**
**არსენალი - პორტო**

მოსკოვის არმიელებმა ჩემპიონთა ლიგა კარგად დაიწყეს და თუ ახლა ვან დერ ვაარტის არყოფნით დასუსტებულ "ჰამბურგს" ძლევენ, ალბათ შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსიც გაუჩნდებათ. არანაკლებ საინტერესოა ლონდონური "არსენალისა" და "პორტოს" თამაშიც, თუნდაც იმიტომ, რომ ეს დღის მეორე პორტუგალიურ- ინგლისური ჯახია. აღსანიშნავია, რომ "არსენალს" გარკვეული საკადრო პრობლემები აქვს. მსუბუქი ტრავმა აწუხებს ტიერი ანრის.

**H ჯგუფი**
**აეკი - ანდერლეხტი**
**ლილი - მილანი**

ჯგუფის ფავორიტი "მილანი" საფრანგეთში გამართავს გასვლით მატჩს. ანჩელოტის გუნდი გარკვეული საკადრო პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. ტრავმირებულ კალაძეს პაოლო მალდინიც დაემატა. ამრიგად, ანჩელოტის დაცვაში მთლად კარგად ვერ ექნება საქმე. თავის მხრივ, დაცვაში არც "ლილს" ულხინს, რომელიც საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში "ლიონთან" 1:4 განადგურდა.

# მარცხენა ფლანგის მეფე

მარი ჯავახიშვილი

1996 წელს ფაბიო კაპელოს მადრიდის "რეალის" ხელმძღვანელობა შეეხმიანა. "სამეფო გუნდის" მაშინდელი პრეზიდენტი ლორენსო სანსი იტალიელ სპეციალისტს გუნდის სათავეში მისვლას სთავაზობდა. კაპელო დათანხმდა. "სანტიაგო ბერნაბეუზე" მისულმა იტალიელმა კლუბში რამდენიმე ახალი ფეხბურთელიც მიიყვანა. დავორ შუკერი, კლარენს ზეედორფი, პრედრაგ მიატოვიჩი და რობერტო კარლოსი სწორედ ის მოთამაშეები არიან, ვინც 1996 წლის 1 ივლისს "სამეფო გუნდის" მაისურა მოირგეს.

ათი წლის შემდეგ ფაბიო კაპელო და პრედრაგ მიატოვიჩი ისევ "რეალს" დაუბრუნდნენ, რობერტო კარლოსი კი, ზეედორფისა და შუკერისგან განსხვავებით, არსად წასულა. წლევანდელი სეზონი ბრაზილიელი მცველისთვის "სანტიაგო ბერნაბეუზე" გატარებული რიგით მეთერთმეტე გახლავთ, სევილიის "ბეტისთან" პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში გამართული შეხვედრა კი მეხუთასე გამოდგა.

რობერტო კარლოსს დიდი დრო არ დასჭირვებია "რეალის" შემადგენლობაში ადგილის დასამკვიდრებლად - მან პირველივე სეზონში მოიპოვა ესპანური ინჩადის სიყვარული და მარცხენა ფლანგის მეფის ტიტულიც. ინდივიდუალურის გარდა, ამ ხნის განმავლობაში ბევრი იყო საკლუბო თუ სანაკრებო ჯილდოც, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

"ბეტისთან" მატჩი მეხუთასე იქნება? ყოველი მატჩის შემდეგ ისეთი დაღლილი ვარ, მგონია, "რეალში", სულ მცირე, რვაასი თამაში მაინც მაქვს ჩატარებული. მაგრამ ეგ არაფერი. ისე კარგად ვგრძნობ თავს და თამაშის ისეთ მადაზე ვარ, რვაასამდეც მივალ, თუ, რა თქმა უნდა, მწვრთნელი მოედანზე ხშირად შემიშვებს ხოლმე. ისე კი, რაღაცას გეტყვით: შეიძლება უკვე ვეტერანად ვითვლები, მაგრამ ბავშვივით ვგრძნობ თავს..." - გამოუტყდა ვეტერანი ბრაზილიელი ესპანური სპორტული გამოცემა "ას"-ის ჟურნალისტებს.

"რეალის" რამდენიმეწლიანი ჩავარდნის მიუხედავად, რობერტო კარლოსი წლევანდელ სეზონს იმედიანად უყურებს და ფიქრობს, რომ ფაბიო კაპელოს დაბრუნება გუნდს ტიტულების მოპოვებაში დაეხმარება: "დარწმუნებული ვარ, წლეულს "რეალთან" ერთად შიდა ჩემპიონატშიც ვიმარჯვებთ და ევროსარბიელზეც. გუნდი ყოველდღიურად ძლიერდება. ერთადერთი, რაც გვჭირდება, პოზიციურად შეთამაშებაა, რადგან ბევრი ახალი ფეხბურთელი გვყავს. მთავარია, მოთმინება და იმის რწმენა, რომ ფაბიო კაპელო "რეალის" ისტორიაში ახალ ფურცელს ჩაწერს".

"რატომღაც ყველას ჰგონია, რომ პრიმერადივიზიონში ჩვენი მთავარი მეტოქე "ბარსელონაა". ეს ასეც არის, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს "ვალენსია" და "სევილია", რომლებიც საკმაოდ მაღალი დონის ფეხბურთელებით არიან დაკომპლექტებული. თუმცა, მე მაინც მგონია, რომ წელს "ბარსას" დიდ წინააღმდეგობას გავუწევთ. ვფიქრობ, გულშემატკივარი "ბეტისთან" შეხვედრაშიც დარწმუნდა, რომ აშკარად გაუმჯობესებულ ფეხბურთს ვთამაშობთ. ეს, პირველ რიგში, კაპელოს დამსახურებაა, ბევრს და ნაყოფიერად გვავარჯიშებს, რაც აუცილებლად გამოიღებს შედეგს. კაპელოსთან ერთად ადრეც მიმუშავია და ვიცი მისი შესაძლებლობები. ის გენიოსია. თუ გინდა რამე ისწავლო, აუცილებლად უნდა დაუჯერო კაპელოს - აი, დონ ფაბიოს მთავარი საიდუმლო", - ასე ახასიათებს ყოფილ და ახლანდელ დამრიგებელს მსოფლიოს ყველაზე სწრაფი და ზუსტი საჯარიმო დარტყმის მქონე ფეხბურთელი.

33 წლის ვეტერანზე მავანმა, შესაძლოა, იფიქროს, ნუთუ ეს კაცი არ დაიღალა ამდენი თამაშითო, მაგრამ თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი ბუცების საბოლოოდ გახდას არ ჩქარობს და "სამეფო გუნდთან" ერთად მოპოვებული ტიტულების გამრავლებაზე ოცნებობს: "თუ ერთ დღეს "რეალში" გმირად მოგნათლეს, მეორე დღეს შეიძლება სრულიად მადრიდის ანტიგმირად იქცე, წარმატებას წარუმატებლობა მოჰყვეს, მაგრამ მე მაინც არსად წასვლა არ მინდა. კლუბთან კონტრაქტი ივნისის ბოლოს მიმთავრდება, თუმცა, ძალიან მინდა, სულ მცირე, 2009 წლამდე "სანტიაგო ბერნაბეუზე" ვაგორო ბურთი. ხელშეკრულებას იმ შემთხვევაში გავახანგრძლივებ, თუ ჩემს თავს შევატყობ, რომ ძველებურად მიჭრის ფეხი. რა თქმა უნდა, ფულიც მნიშვნელოვანია, მაგრამ ცხოვრებაში მასზე უფრო მნიშვნელოვანი რამეებიც არსებობს".


## საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მსურველთათვის დამატებითი ინფორმაცია

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და იფორმაციას:

1)იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა რეგისტრაციის შესახებ (ამონაწერის სამეწარმეო რეესტრიდან);

გ) ცნობა პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

გ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არ ქონის შესახებ.

2)ფიზიკური პირისათვის: პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ცნობა ნასამართლეობის შესახებ.

3)ინდივიდუალური მეწარმისათვის: ინდივიდუალური მეწარმის მოწმობა (საგადასახადო ორგანოდან);

ყველა დაინტერესებული პირისათვის: ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური საქმიანობის შესახებ;

4) ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილ უნდა იქნეს ერთ ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით და ორი ეგზემპლარი - ქსეროასლით სახით.

5) დაინტერესებული პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას:

ა) თუ პირი 2006 წლის 11 ოქტომბრის 17 საათამდე არ წარმოადგენს ყველა ცნობას და ინფორმაციას;

ბ) თუ წარმოდგენილი ინფორმაცია ან/და ცნობა ყალბი აღმოჩნდება.

# შპს "ახალშენის მეურნეობის" გაკოტრების მმართველი აცხადებს აუქციონს

აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება:

1. შპს "ახალშენის მეურნეობის" საკუთრებაში რიცხული:

ა) პავილიონის შენობა;

ბ) ტარის საწყობის შენობა;

გ) წყლის აუზი მდებარე პავილიონის ტერიტორიაზე;

დ) 10-ტონიენი სასწორის შენობა და მასზე დამაგრებული 6 517 (ექვსი ათას ხუთას ჩვიდმეტი) კვ მ მიწის ფართობი.

2. ქონების საწყისი გასაყიდი ფასი განისაზღვროს 90 000 (ოთხმოცდაათი ათასი) ლარით, ბიჯი 1000 (ათასი) ლარი.

3. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია:

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და ვალდებულებები:

- აუქციონში მონაწილეობისათვის შესატანი ბე-ს მოცულობა შეადგენს 10 000 (ათი ათას) ლარს, ხოლო ბილეთის შესაძენი ფასი, ფიზიკურ პირთათვის 10 ლარი, იურიდიულ პირთათვის 20 ლარი, რომელიც შეტანილ უნდა იქნეს შემდეგ მისამართზე: სახალხო ბანკის ხელვაჩაურის ფილიალი, ანგ. № 36020077, საიდენტიფიკაციო კოდი 220101457.

5. მყიდველი ვალდებულია დამტკიცებული აუქციონის შედეგების ოქმის გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გასაყიდი ფასი. წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება ქონებაზე და ბე-ს შენატანი არ დაუბრუნდება. ბე-ს შენატანი არ დაუბრუნდება ასევე აუქციონის შედეგების ოქმზე ხელმოწერის უარისმთქმელ გამარჯვებულ მონაწილეს.

6. ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:

ა) აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება მიმდინარეობს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 2006 წლის 26 სექტემბრიდან 2006 წლის 2 ოქტომბრამდე, 10-დან 18 საათამდე (შპს "ახალშენის მეურნეობის" ადმინისტრაციულ შენობაში);

ბ) აუქციონი გაიმართება 2006 წლის 3 ოქტომბერს, 15 საათზე, "შპს ახალშენის მეურნეობის" ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართულზე.

7. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად აუქციონის კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) ბე-ს შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, აუქციონში მონაწილეობის მისაღებად შესაძენი მონაწილის ბილეთის საბანკო ქვითარი;

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი;

დ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი გამოდის სხვა პირის სახით;

